ომარ ფარტენაძე

სისხლისსამართლებრივი სანჯელის აღსრულება

(მიზნები და ეფექტურობა)

ბათუმი
1998

ომარ ფარტენაძე

სისხლისსამართლებრივი

ს ა ს ჯ ე ლ ი ს ა ღ ს რ უ ლ ე ბ ა

(მიზნები და ეფექტურობა)

გამომცემლობა "ბათუმის უნივერსიტეტი"

ბათუმი - 1998

ავტორი ულოცავს მშობლიურ უნივერსიტეტს და მთელს კოლექტივს საიუბილეო თარიღს, 60 წლისთავს

წინამდებარე წიგნში განხილულია სასჯელ-აღსრულებითი სამართლის ფუნდამენტალური თეორიები. დაწვრილებით არის გაშუქებული სასჯელის ცნება და სასჯელის გამოყენების ეფექტურობის პრობლემის სხვადასხვა მხარე. გაკეთებულია ანალიზი სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობასა და სასჯელის აღსრულების პრობლემატიკის კავშირზე. ახალი სისხლისა და სასჯელ-აღსრულებითი სამართლის კანონმდებლობის შემუშავების გათვალისწინებით ნაშრომში მოცემულია მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტების ფართო მიმოხილვა და საქართველოში მათი შესაძლებელი განხორციელების გზები.

წიგნი შეიძლება გამოყენებული იქნას ლექციების კურსად იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასპირანტებისათვის, იურიდიული სასწავლებლების მასწავლებლებისათვის, კვალიფიკაციის ასამაღლებელი სისტემისათვის, საქართველოს შ.ს.ს. აკადემიის მსმენელებისათვის, აგრეთვე აღნიშნული პრობლემით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: ვაჟა ხახუტაიშვილი

რეცენზენტები:
1. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბადრი ნაკაშიძე
2. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი გივი დიასამიძე
3. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე ვაჟა ხახუტაიშვილი

თარგმანი:
ინგლისურიდან - ირმა ცენტერაძე
რუსულიდან - ომარ ფარტენაძე, ირმა ცენტერაძე

გამომცემლობა "ბათუმის უნივერსიტეტი" - 1998

რ.ნ. 01/04-849

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი ----------4

თავი 1. პენიტენციარული სისტემა ისტორიული რაკურსით

§ 1. პენიტენციარული სისტემის დაარსება და განვითარება ----------5
§ 2. რეჟიმი პენიტენციარულ დაწესებულებებში ---15
§ 3. პენიტენციარული პოლიტა და მეცნიერება ---22

თავი 2. სასჯელის მნიშვნელობა

§ 1. სასჯელის ცნება ----------25
§ 2. სასჯელის მიზნები ----------37
§ 3. სასჯელის გამოყენების ეფექტურობა ---------58

თავი 3. სასჯელის აღსრულება და სამართლებრივი სახელმწიფო

§ 1. სასჯელის აღსრულება თანამედროვე ეტაპზე ----------64
§ 2. შრომა, განათლება და თავისუფალი დრო სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებებში ----72
§ 3. გამასწორებელი ზემოქმედების ცნება და მოდელი ----------76
§ 4. საპყრობილური გარემოს არაბუნებრიობა და განკერძოებულობა ----------79
§ 5. სოციალური რეაბილიტაცია ----------84

თავი 4. მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტები

§ 1. მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტების ცნება და კლასიფიკაცია ----------89

§ 2. თავისუფლების აღკვეთის დროს მსჯავრდადებულებთან მოპყრობის სპეციალური საერთაშორისო სტანდარტები ----------103

§ 3. საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები სასჯელის ცალკეულ სახეებთან და სამართალდა მრღვევებთან დამოკიდებულებაში. ----------133

თავი 5. მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტების განხორციელების მიმართულებები და პრობლემები საქართველოში.

§ 1. მსჯავრდადებულებებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტების გავლენა საქართველოს სისხლისსამართლებრივ სასჯელ-აღსრულებით პოლიტიკასა და კანონმდებლობაზე. ----------143

§ 2. მსჯარვდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტების რეალიზაციის პრობლემები საქართველოს სასჯელ-აღსრულებით სისტემაში. ----------150

დასკვნა ----------157

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მოცემული ნაშრომი საშუალებას იძლევა გავეცნოთ სისხლის სამართლის კურსის ისეთ ახალ და სპეციფიკურ განხრას, როგორიცაა სასჯელის შესახებ მეცნიერება. სასჯელის შესახებ მეცნიერება შეიცავს წარსულისა და ახლანდელი დროის მრავალრიცხოვან თეორიებს, რომლებიც მოწმობენ ხალხის დაუცხრომელ ინტერესზე ისეთი რთული სოციალური მოვლენისადმი, როგორიცაა სასჯელი. სასჯელის საკითხი იმდენად რთული და საჭიროა, რომ სისხლის სამართლის დარგის თვით დასახელებაც სხვადასხვა ხალხის ენებზე, უკავშირდება სასჯელის ცნებას. ასე მაგალითად, გერმანული ენიდან თუ ვთარგმნით სისხლის სამართალს, ის გამოითქმება, როგორც დამსჯელობითი სამართალი. ასეთივეს ვხვდებით ბულგარეთშიც.

მოცემული ნაშრომის მიზანია სასჯელის შესახებ მეცნიერების ძირითადი ცნებების ახსნა და გადმოცემა, აგრეთვე ამ ძნელი და მეტად აქტუალური მოვლენის შემსწავლელი ძირითადი მიმართულებების მოკლე დახასიათება. მოცემული არის საინტერესო რეკომენდაციები და შეხედულებები.

ნაშრომში მოცემულია მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტები. ადამიანის უფლებათა დაცვის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ცოდნისა და ინფორმაციის გავრცელება, როგორც მოცემული საერთაშორისო დოკუმენტების შინაარსზე, ასევე თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფუნქციებსა და საქმიანობაზე. ეს ასპექტი აუცილებელია იმიტომაც, რომ ბოლო დროს საერთაშორისო საზოგადოებრიობა სულ უფრო მეტად უსვამს ხაზს ადამიანის კიდევ ერთი ახალი უფლების მნიშვნელობას თითოეული ადამიანის უფლებას იცოდეს თავისი უფლებები.

თავი 1

პენიტენციარული სისტემა ისტორიული რაკურსით

§ 1. პენიტენციარული სისტემის დაარსება და განვითარება

პენიტენციარული სისტემა, როგორც სისხლის სამართლებრივ დანაშაულებებთან ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი ხერხი, არის სახელმწიფოსა და შეიძლება ითქვას, ძირითადად საზოგადოების წარმონაშობი. მონათმფლობელური და ფეოდალური წყობილების დროს საპყრობილეები გამოიყენებოდნენ გამოძიებაში მყოფი პირების სასამართლო პროცესამდე დამწყვდევისათვის. საპყრობილე გადაიქცა სასჯელის აღსრულების ადგილად მხოლოდ XVI საუკუნის ბოლოს. მათი რიცხვი იყო უმნიშვნელო. ასეთი მდგომარეობა ასახავდა მონათმფლობელური და ფეოდალური სისხლის სამართლის კანონმდებლობის ხასიათს, როდესაც ფართოდ გამოიყენებოდა სიკვდილით დასჯა, ასოთდამშავებლობა, დანაწევრება და სხვადასხვა სასტიკი ფიზიკური სასჯელები. აღნიშნული დროისათვის თითქმის არ გამოიყენება სასჯელის ისეთი ღონისძიება, როგორიცაა თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ კი თავისუფლების აღკვეთა გადაიქცა სასჯელის მთავარ სახედ ქვეყნების სამრეწველო განვითარების ეპოქაში. მართალია პირველი საპყრობილეები, სამუშაო სახლები და სხვა სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულებები გამოჩნდნენ პირველადი კაპიტალის დაგროვების პერიოდში (XVI საუკუნის დასასრული, XVII საუკუნის დასაწყისი), მაგრამ მათი ფართო ქსელი, სადაც იხდიდნენ სასჯელს თა-

ვისუფლების აღკვეთით, წარმოიშვა მხოლოდ XVIII საუკუნეში.[1]

დღევანდელ დღეს წარმოდგენაც კი ძნელია იმისა, თუ როგორი იყო შუასაუკუნეების ინგლისის, საფრანგეთის და სხვა ევროპის ქვეყნების საპყრობილეები.

"ეხლა ჩვენ დიდი ინტერესით ვათვალიერებთ,—წერს დიდი რუსი რევოლუციამდელი კრიმინალისტი ტაგანცევი,—ევროპის ძველ ქალაქებში ფეოდალიზმის დროინდელ მიწისქვეშა ქვის "კუბოებს", სადაც შუქისა და ჰაერის უკმარისობა არის, ან ასეთივე გალიებს გამახურებადი ტყვიის სახურავით..." ასეთი იყო ე.წ. საპყრობილეები. ერთი წუთით მაინც წარმოვიდგინოთ ის დრო, როცა ასეთ ადგილებში წლეებს, ათეულ წლეებს და ზოგჯერ მთელ სიცოცხლესაც კი ატარებდნენ... დამარხულნი, კედელზე მიჯაჭვულნი, თუნდაც თავისუფალი მიმოსვლის საშუალებაც რომ ჰქონდათ, ორ-სამ ადგილიან "ბუნაგებში" ცხოვრებისათვის აუტანელი პირობები იყო".[2]

ფეოდალიზმის ეპოქის დამახასიათებელი სასჯელების შეცვლას თავისუფლების აღკვეთით ჰქონდა დიდი პროგრესული ხასიათი და გამოწვეული იყო აღნიშნული გადასვლა არა ჰუმანურობით, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისით. ერთის მხრივ, აღნიშნულ ეპოქაში არახელსაყრელი ხდება სიკვდილით დასჯის ფართო გამოყენება, რადგანაც მმართველი ფენები ამით კარგავდნენ მრავალ მუშა ხელს. მეორეს მხრივ, კი თავისუფლების აღკვეთით, სასჯელის მთლიანი ვადა გამოიყენებოდა მსჯავრდადებულის უფასო ექსპლუატაციისათვის.

---

1. Исправительно - трудовое право. М.1971 г. с-175

2. З. М. Черниловский - Всеобщая история государства и права . М. 1996г с - 200

თავისუფლების აღკვეთის გადაქცევამ სასჯელის მთავარ და ძირითად სახედ მოითხოვა სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების არა მარტო რიცხობრივი ზრდა, აგრეთვე მათი გაახლებული ორგანიზებაც, სადაც გამოიხატებოდა მმართველი კლასის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები.

პენიტენციარულ სისტემაში "მოდის" წამყვანი კანონმდებლები იყვნენ და შეიძლება ითქვას დღესაც არიან ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი. გატარებული იქნა რეფორმები.

ახალი პენიტენციარული პოლიტიკის მოთხოვნილებების გათვალისწინებით 1786 წელს ქალაქ ფილადელფიაში (პენსილვანიის შტატი, ა.შ.შ.) გაიხსნა საპყრობილე, სადაც გათვალისწინებული იყო მსჯავრდადებულის მოთავსება მკაცრი განმარტებით, მისი შემდგომი გაძლიერებული რელიგიური დამუშავებით. მსჯავრდადებული თავისი საკანიდან არ გამოდიოდა სასჯელის სრული დროის მოხდამდე. ლაპარაკი აკრძალული იყო.[1]

საპყრობილის დამაარსებლები - ამერიკელი კვაკერების რელიგიური სექტა - იმედოვნებდნენ, რომ მსჯავრდადებულის იზოლირება გარე სამყაროდან და რაც მთავარია ერთმანეთისაგან, ამასთანავე რელიგიური ლიტერატურის კითხვა და მღვდლის მიერ მათი სისტემატიური მონახულება, გამოიწვევს მსჯავრდადებულის სულიერად აღზრდას და სწორი ცხოვრებისაკენ მისწრაფების გაღვივებას.[2]

---

1. З. М. Черниловский - Всеобшая история госу-дарства и права . М. 1996 г с - 403

2. პენსილვანიის სისტემის საპყრობილეებში სამუშაო ეძლეოდათ მსჯავრდადებულთ მხოლოდ მათი დაჟინებული თხოვნით.

პენსილვანიის საპყრობილური სისტემის შენებისა და მსჯავრდადებულთა განთავსების პრინციპები მალე გადაღებული იქნა როგორც ამერიკის სხვა შტატების, ასევე სხვადასხვა ქვეყნების მიერაც, უმნიშვნელო ცვლი-ლებებით და მალე დაიკავა ცენტრალური ადგილი პენი-ტენციარულ დაწესებულებათა საერთო სისტემაში.

საფრანგეთში განმარტოებით დამწყვდევა შემოღებული იქნა 1875 წელს და განსაზღვრული იყო მცირე ხნით. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი კი განსაზღვრავდა განმარტოებით დამწყვდევას სამი წლით. ბელგიაში შესაბამისად 10 წლით, ჰოლანდიაში 5 წლით.

გერმანიაში პენსილვანიის სისტემის განსახიერება იყო ბერლინის საპყრობილე მოაბიტი. ის გაიხსნა 1844 წელს. მის 12 ცენტრში გაერთიანებულ სადარბაზოებში განლაგებული იყო 520 საკანი. საპყრობლის ეკლესიაშიც კი მსჯავრდადებული არ გამოჰყავდათ განსაკუთრებული ბუდკიდან. გასეირნების დროს კი იკეთებდა ნიღაბს, რათა არ ეცნოთ.

"სამარისებული სიჩუმე, - წერს ტაგანცევი, - სრული უსაქმურობა, განძრევის შეუძლებლობა მოქმედებდა ისევე დამანგრეველად, გამანადგურებლად პიროვნებაზე, როგორც რეფორმამდელ საპყრობილეებში".[1]

მალე გამოიკვეთა პენსილვანიის სისტემის უუნარობა, დასახული მიზნების განხორციელების საქმეში. მკაცრ იზოლირებას და რელიგიურ დამუშავებას მოყვებოდა ტუსაღის არა გამოსწორება, არამედ მასიური ფსიქოლოგიური დაავადება. მუშაობისათვის უაღრესად შეზღუდული პირობები დაბრკოლებას ქმნიდა მსჯავრდადებულის ეფექტური ექსპლუატაციისათვის, რაც იწვევდა მათი სამუშაო კვალიფიკაციის დაქვეითებას. თითქმის გაუნძრევლად ყოფ-

1. З. М. Черниловский - Всеобщая история государства и права . М. 1996 г с - 403

ნა, ცუდი კვება და მკაცრი მოპყრობა არღვევდა მათი ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას.) პენსილვანიის საპყრობილური სისტემა პრაქტიკულად გადაიქცა მსჯავრდადებულთა, ფიზიკური, მორალური, სულიერი დაჩაგვრისა და მათი შემდგომი ნელი მოკვდარუნების მკაცრ ადგილად. მარქსი და ენგელსი აღნიშნავდნენ: „როგორ პუმანურად მოსჩანს, პენსილვანიის სისტემასთან შედარებით, ჩვეულებრივი სასჯელის თეორია, რომელიც უბრალოდ თავს კვეთს ადამიანს, როდესაც სურს მისი განადგურება“.[1]

პენსილვანიის სისტემაში გულგატეხილობამ გამოიწვია საპყრობილური პოლიტიკის ახალი ფორმების ძებნა. ამის შედეგად ისევ ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოიშვა და შემდეგ მრავალ ქვეყანაში ვრცელდება ეგრეთწოდებული ობორნისტული საპყრობილური სისტემა (სახელწოდება მოდის ქალაქ ობორნედან, ნიუ-იორკის მახლობლად, სადაც 1820 წელს პირველად გაიხსნა საპყრობილე). საპყრობილის დაშაარსებლობის აზრით აცილებული იქნა პენსილვანიის სისტემის უარყოფითი მხარე და შედარებით უკეთესად იქნა ასახული ბურჟუაზიული საპყრობილური პოლიტიკა.

ახალი სისტემა ძირითადად იმით განსხვავდებოდა პენსილვანიის სისტემისაგან, რომ დაშვებული იყო მსჯავრდადებულთა ერთობლივი მუშაობა და კვება, მაგრამ შენარჩუნებული იყო სიჩუმის პრინციპი. სამუშაოსაგან თავისუფალ დროს და დაღამებისას ისინი იმყოფებოდნენ განცალკევებულად საკნებში. იმის გამო, რომ მსჯავრდადებულები მუშაობდნენ აბსოლიტურ სიჩუმეში, ერთმანეთთან ლაპარაკის უფლება არ ჰქონდათ, მკაცრი იზოლირების პრინციპის უარყოფა ატარებდა პირობით ხასიათს. ძველებურად შენარჩუნებული იყო აღკვეთის მკაცრი რეჟიმი და მსჯავრდადებულთა იძულებითი რელიგიური დამუშავება.

1.К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т.2, стр.197

ობორნისტული პენიტენციარული სისტემა, რომელიც ყოველგვარი დათმობის გარეშე ექსპლუატაციას უწევდა მსჯავრდადებულებს, პასუხობდა მაშინდელი სახელმწიფოს ეკონომიკურ ინტერესებს. აღნიშნულ პერიოდში არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისებმა და უმუშევართა რიცხვის მკვეთრმა ზრდამ გამოიწვია მსჯარდადებულთა შრომაში მოთხოვნილების შემცირება. იწყება მათი გამოუყენებელი, უაზრო ექსპლუატაცია, (უზარმაზარი ორმოების ამოთხრა და შემდეგ ამოვსება, სხვადასხვა სიმძიმეების უაზრო გადაადგილება), რამაც გამოიწვია მათი გაბოროტება და შრომისადმი სიძულვილი.[1]

აქედან გამომდინარე ობორნისტულმა სისტემამ მიიღო სრულიად საპირისპირო შედეგი იმ მიმართულებისა, რაც დაფუძნებიდან ჰქონდა დასახული. აღნიშნული სისტემის (ასევე პენსილვანიის სისტემის) დიდი ნაკლი იყო ის, რომ მსჯავრდადებულისათვის არ არსებობდა გამოსწორების რაიმე მატერიალური და მორალური სტიმული.

პენსილვანიისა და ობორნეს პენიტენციარული სისტემების ბანკროტობამ გამოიწვია 1838 წელს ინგლისში ეგრეთწოდებული პროგრესიული (საფეხურებრივი) სისტემის დაარსება, რომელიც უმნიშვნელო ცვლილებებით გადაღებული იქნა სხვა ქვეყნების მიერ და სხვადასხვა ფორმით შემორჩენილია დღესაც. საჭიროა ავღნიშნოთ ისიც, რომ თავის პირველ საწყის მდგომარეობაში პროგრესიული სისტემა არ იყო რაღაც პრინციპულად ახალი ან დიდად განსხვავებული წინა სისტემებისაგან. ის იყო ადრეული სისტემების მოდერნიზებული მხარე, საპყრობილური პოლიტიკის გატარების შედარებით მსუბუქი ფორმა.

პროგრესიული სისტემის არსი მდგომარეობდა თავისუფლების აღკვეთით სასჯელის ვადის რამოდენიმე ეტაპად დაყოფაში, მსჯავრდადებულისათვის სხვადასხვა

1.Исправительно-трудовое право. М., 1971, С-177

შეზღუდვებით. თუ პირველ ეტაპზე სასჯელის მოხდა ხდება მკაცრი იზოლირებისა და სასტიკი რეჟიმის პირობებში, შემდეგ ეტაპებზე კი აღკვეთის პირობები შედარებით მსუბუქი ხდება. აღნიშნული სისტემის დამაარსებლების აზრით, მას უნდა, პირველყოვლისა, მიეცა მსჯავრდადებულისათვის სტიმული კარგი მოქცევისა და ინტენსიური შრომისათვის (რაზეც დამოკიდებული იყო მისი ეტაპობრივი წინსვლა) და მეორეც, თანდათანობით მიეჩვია იგი გათავისუფლების შემდგომ ცხოვრების პირობებს (რადგანაც ბოლო ეტაპი იყო მსჯავრდადებულისათვის ნაწილობრივ შეზღუდული თავისუფალი არსებობა). არასათანადო ქცევისათვის და სხვადასხვა დარღვევებისათვის გათვალისწინებული იყო მსჯავრდადებულის უკუსვლა ეტაპების მიხედვით, ე.ი. რეჟიმის თანდათანობით გამკაცრება.[1]

ამერიკის შეერთებულ შტატებში პროგრესიულმა სისტემამ განხორციელება ჰპოვა ევრეთ წოდებულ რეფორმატორიებში, რომლებიც განკუთვნილი იყო ახალგაზრდა (30 წლამდე ასაკის) დამნაშავეებისათვის. რეფორმატორებში მსჯავრდადებულთა მოთავსება ხდებოდა ვადის განსაზღვრის გარეშე, მაგრამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში, რისი მიხედვითაც მათ მსჯავრი დაედოთ. პროგრესიული სისტემის აღნიშნული სახეცვლილებების რეაქციული ხასიათი იმდენად ნათელი იყო და მისი პრაქტიკული შედეგები იმდენად მავნე, რომ 1900 წელს საერთაშორისო პენიტენციარულმა კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება ევროპის ქვეყნებში მისი გამოყენების შეუძლებლობის შესახებ.

ძირითადად XVIII საუკუნიდან იწყება ევროპის ქვეყნებში, საპყრობილეში მოთავსებით, სასჯელის შეცვლა კოლონებში გაგზავნით. ამით მიღწეული იქნა ორმაგი მოგება: პირველყოვლისა გათავისუფლდა გადატვირთული საპყრობილეები და მეორეც, გარკვეულად დაკმაყოფილებული იქნა

1. Исправительно-трудовое право. М., 1971, С-178

მუშა ხელის უკმარისობა.[1]

პენიტენციარული პოლიტიკის გარკვეულმა ლიბერალიზაციამ, რომელიც ასახული იყო პროგრესულ სიტემაში, იარსება არც თუ ისე დიდი ხნით. პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობების გამწვავებამ და დანაშაულებათა რიცხვის მკვეთრმა ზრდამ, პოლიტიკური რეაქციის გაძლიერებამ და ფაშიზმის ჩასახვამ გამოიწვია პენიტენციარული პოლიტიკის ახალი ტენდენციების ჩასახვა: ეს იყო დაუფარავი, ღია ტერორი, რეჟიმის გამკაცრება, მსჯავრდადებულთა მიმართ არაადამიანური, მხეცური მოპყრობა. ფაშისტური გერმანია, იტალია და სხვა ევროპის ქვეყნები დაფარული იყო კონცენტრაციული ბანაკების ქსელით.[2] მათ რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ საბჭოთა კავშირიც თავისი განსაკუთრებული პენიტენციარული დაწესებულებების ფართო ასორტიმენტით. კონცენტრაციულ ბანაკებში, ცხოვრებისათვის აუტანელ პირობებში მოთავსებული იყო ასი ათასობით ადამიანი, რაც აურაცხელ მსხვერპლს იწვევდა, რამაც მსოფლიო საზოგადოების დიდი აღშფოთება გამოიწვია. გავა დრო და მსოფლიო გაიგებს სტალინის დროინდელი "სუკ"-ის წამების პროცესის ფორმებისა და მეთოდების შესახებ. არამგონია ისინი დიდად განსხვავდებოდნენ შუა საუკუნეებისაგან.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ და დღემდე ისმის მოწოდებები პენიტენციარული პოლიტიკის ჰუმანიზაციისაკენ. ომის შემდგომ საერთაშორისო კონგრესებზე განხილვის საგნად გადაიქცა პენიტენციარული დაწესებულებების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების

---

1. З. М. Черниловский - Всеобшая история госуда-рства и права . М. 1996 г с - 404
2. Исправительно-трудовое право. М., 1971, С-179

საკითხები. (ჟენევის 1955 წელს, ლონდონის - 1960 წელს; სტოკჰოლმის - 1965 წელს; ტოკიოს - 1970 წელს), რომელთა გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია მსჯავრდადებულთა მიმართ ჰუმანურად მოპყრობის აუცილებლობა, მათი ექსპლუატაციის დაუშვებლობა, ჯანმრთელობისათვის მავნე და მკაცრი მეთოდების გამოყენების მიუღებლობა. აღნიშნულის საფუძველზე მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ პენიტენციარულ პოლიტიკაში განახორციელა ლიბერალური რეფორმები: მოხდა პროგრესული სისტემების მოდერნიზება, გაუმჯობესდა მოპყრობა არასრულწლოვანთა მიმართ.[1]

მაგრამ პენიტენციარული პოლიტიკის ლიბერალიზაცია შეიძლება ითქვას არ შეხებია ბევრ ქვეყანასაც. ბოლო დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში (მხედველობაშია ზოგიერთი შტატი) შემოღებულია კატორღული საპყრობილეები, ჩეჩნეთის რესპუბლიკაში სჯიან შარიათის კანონებით. იაპონიის საპყრობილეში კი ხელმძღვანელობენ 1908 წლის კანონით, ცვლილებები და დამატებები შეაქვთ კანონში სისტემატიურად, რასაც მოჰყავს თანდათანობითი რეჟიმის გამკაცრებისა და ადმინისტრაციის უფლებების გაფართოებისაკენ. განმარტებით დამწყვდევა თავისუფლების აღკვეთის დროს დასჯის გავრცელებული ფორმაა. ხშირად გამოიყენება დამამშვიდებელი პერანგები, ბორკილები, ჯაჭვებით ჯგუფური გადაბმა და სხვა.

აღინიშნება დარგის ლიბერალიზაციაც ინგლისში სასჯელის აღსრულება თავისუფლების აღკვეთის სახით დაფუძნებულია პროგრესიული სისტემის პრინციპებზე. საწყის ეტაპზე მსჯავრდადებულს ენიშნება ყველაზე მკაცრი რეჟიმი, მაქსიმუმი რაც დაშვებულია მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის. შემდგომში კი, თუ ადგილი ექნება მისგან კარგ ყოფაქცევას, დაამტკიცებს გამოსწორებისაკენ ლტოლვას. ასეთ შემთხვევაში მსჯავრდადებული

---

1. Исправительно-трудовое право. М., 1971, С-180

გადაიყვანება ეტაპობრივად გაუმჯობესებულ აღკვეთის პირობებში, შედარებით მსუბუქ რეჟიმში და ბოლოს ე. წ. ღია საპყრობილეში, ყოველგვარი შემოღობვისა და დაცვის გარეშე. მას შეუძლია იმუშაოს ახლომდებარე საწარმოებშიც. თუ მსჯავრდადებული დაამტკიცებს თავის გამოსწორებას, ის შეიძლება გათავისუფლდეს ვადამდე ადრეც. სრული იზოლირების პრინციპი არ გამოიყენება რეციდივისტების და მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართაც კი. ისინი მხოლოდ განმარტოებით განთავსდებიან საკნებში, დღითი კი უფლება აქვთ თავისი ბლოკის საზღვრებში გადაადგილდნენ თავისუფლად.

ახალგაზრდა სამართალდამრღვევთათვის არსებობს პენიტენციარულ ორგანოთა ფართო და დიფერენცირებული ქსელი. ისინი მოთავსდებიან აღმზრდელობით ცენტრებსა და ბორსტალის დაწესებულებებში. ბორსტალის დაწესებულებები თავის მხრივ, რეჟიმის მიხედვით იყოფა ექვს სახელობად, ამასთან ერთად არსებობს დახურული (განკუთვნილი რეციდივისტებისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირთათვის) და ღია (ყოველგვარი შემოღობვისა და დაცვის გარეშე) დაწესებულებები, სადაც დომინირებენ აღმზრდელობითი ხასიათის ზომები.

ინგლისის სასამართლოები განსაზღვრავენ მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის ვადას, ხოლო სასჯელის მოხდის ადგილსა და რეჟიმს მსჯავრდადებულთათვის აწესებს პენიტენციალურ დაწესებულებათა ადმინისტრაცია.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ ქვეყანაში პენიტენციარული პოლიტიკის შედარებითი ჰუმანიზაცია ატარებდა იძულებით ხასიათს, რაც გამოწვეული იყო ქვეყნების ეკონომიკური სიძნელეებით. ამ ქვეყნებში დანაშაულებათა მკვეთრმა ზრდამ გამოიწვია საპყრობილეთა გადატვირთვა. ადრინდელი საპყრობილური სისტემის შენარჩუნებისათვის კი საჭირო იყო ახალი, ძვირად ღირებული პენიტენციარული დაწესებულებების მშენებლობა, რისი ეკონომიკური საშუალებაც არ არსებობდა.

ასეთმა ვითარებამ გამოიწვია პირობითი მსჯავრის ფართო გამოყენება და იაფადღირებული პენიტენციარული დაწესებულებების მშენებლობა (დაცვის, შემოღობვის, განმარტოებითი საკნების გარეშე).

რაც შეეხება სიკვდილით დასჯას, დღესდღეობით აკრძალულია გერმანიაში, იტალიაში, შვეიცარიაში, ინგლისში, საფრანგეთში, საქართველოში, სულ მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში. ეს ტენდენცია გრძელდება. მომავალშიც ალბათ კიდევ ბევრი სახელმწიფო შეუერთდება ამ აკრძალვას.

ზემოთ თქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ პენიტენციარული სისტემა, რომელიც განიცდის ლიბერალიზაციას, ატარებს წინააღმდეგობრივ ხასიათს.

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პენიტენციარული სისტემის ლიბერალური პოლიტიკა თანამედროვე სახელმწიფოებში შენარჩუნებულია მანამდე, სანამ მმართველი წრეები თავს გრძნობენ სავსებით მყარად ან მანამ, სანამ ხელისუფლებაში, სახელმწიფოს სათავეში არ მოვა ყველაზე რეაქციული ძალა.

§ 2. რეჟიმი პენიტენციარულ დაწესებულებებში.

რეჟიმის კონკრეტული შინაარსი თანამედროვე პენიტენციარულ დაწესებულებებში დამოკიდებულია ქვეყნის პოლიტიკური რეჟიმის თავისებურებაზე, დანაშაულებათა მდგომარეობასა და სტრუქტურაზე, კრიმინოლოგიური, სისხლის სამართლებრივი და პენიტენციარული თეორიების მმართველ ხასიათზე და მრავალ სხვა ფაქტორებზე. ამასთან ერთად, აღნიშნული რეჟიმის შინაარს გააჩნია დამახასიათებელი საერთო თვისებები, რომლებიც

განპირობებულია სოციალური ფუნქციების ერთობლიობით. შესრულებული სხვადასხვა ქვეყნის პენიტენციარული ორგანოების მიერ.

რეჟიმის საერთო თვისებებიდან ერთ-ერთია მისი სიმკაცრე, რომელიც აიხსნება ძირითადად რეპრესიული (და არა გამოსასწორებლად—აღმზრდელობითი) შინარსით, რითაც შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე პენიტენციარული პოლიტიკა უძლურია დანაშაულებასთან ბრძოლაში, (დანაშაულებათა რიცხვის შემცირებით დღეს-დღეობით ვერც ერთი ქვეყანა ვერ დაიკვეხნის).

პენიტენციარული პოლიტიკის სიმკაცრე ძირითადად განპირობებულია სისხლის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური თეორიების გაბატონებული ხასიათიდან. თუ კრიმინოლოგები ადამიანის ამა თუ იმ თვისებებში ხედავენ დანაშაულის მიზეზებს, სისხლის სამართლის თეორიტიკოსები კი აქედან გამომდინარე აკეთებენ დასკვნებს, რომ სასჯელის მიზანი უნდა იყოს „მონანიება", „შურისძიება" და ასე შემდეგ.

გერმანელი კრიმინოლოგი გ. ველცელი ამბობს: „სასჯელი არის ბოროტება, რომელიც განესაზღვრება დამნაშავეს დანაშაულებრივი ქმედებისათვის; ის დამყარებულია სამართლიანი შურისძიების პოსტულატზე, იმისათვის რომ კანტის სიტყვებით—ყველას უნდა მიეძღვნას ის, რაც ღირს მისი ქმედება".[1]

ბუნებრივია ასეთ პირობებში პენიტენციარული პოლიტიკა ვერ უარყოფს მთლიანად რეპრესიულ და სასტიკ ხასიათს. შეუძლია მხოლოდ წამოაყენოს შეზღუდული წინადადებები და მოუწოდოს ყველას ჰუმანურობისაკენ.

რეჟიმის სიმკაცრე უპირველეს ყოვლისა მიიღწევა გარკვეული მოცულობით მსჯავრდადებულთა შენახვისა და მათდამი მოპყრობის ძველი ფორმების შენარჩუნებით, (ესე-

1. Исправительно-трудовое право. М., 1971, С-181

ნია სამუდამო პატიმრობა, კატორღული საპყრობილეების არსებობა, სრული იზოლირება და სიჩუმე, მსჯავრდადებულთა უუფლებობა და ადმინისტრაციის უფლებების განუსაზღვრელობა, მსჯავრდადებულთა პირადი ღირსების შემლახავი ფიზიკური სასჯელების გამოყენება და მრავალი სხვა).

„უსახო ურჩხული, რომელიც გამოდგება მხოლოდ იმისათვის, რომ დაატერროროს თავისი უბედური კლიენტები, შელახოს მათი ადამიანური ღირსება, შეარყიოს მათი ფიზიკური ჯანმრთელობა და გაანადგუროს ისინი როგორც პიროვნებები“ ასე ახასიათებენ საპყრობილურ სისტემას ამერიკელი მეცნიერები კლემერი, საიკსი და კრესი. ცნობილი კრიმინოლოგები ბარნსი და ტიტერსი იტყობინებიან, რომ ამერიკის პენიტენციარულ დაწესებულებებში მსჯავრდადებულთა ცემა და შეურაცხყოფა ბევრად წააგავს შუასაუკუნეებში კატორღელებთან მოპყრობასო.[1]

აღნიშნული მოვლენები ახასიათებს არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატების პენიტენციარულ დაწესებულებებს. მნიშვნელოვანწილად ასეთი მოვლენები ახასიათებს სხვა ქვეყნებსაც.

ბურჟუაზიული ურთიერთობების განვითარებისას ევროპული სავსებითობა სისხლის სამართლის კანონმდებლობას გამოიყენებდა, ძირითადად იმისათვის, რათა აეძულებინა პიროვნება მიეღო ძალით თავს მოხვეული შრომის პირობებით.[1]

---

1. ამის მაგალითს იძლევა XVI საუკუნის ინგლისი, სადაც ჩამოყალიბდა ე.წ. “სისხლიანი კანონმდებლობა“. 1536, 1547, 1572 წლების, მეფე ტიუდორების მიერ გამოცემული კანონებით რეციდივის დროს დამნაშავეს ემუქრებოდა სიკვდილით დასჯა, ხოლო გამოუსწორებელ მაწანწალებს, რომლებსაც არ სურდათ მუშაობა - ყურების დაჭრა.

თანამედროვე პენიტენციარულ დაწესებულებებში რეჟიმის ძირითადი დამახასიათებელი, თვისება დამყარებულია მსჯავრდადებულთა შრომით საქმიანობაში. მსჯავრდადებულთა შრომის გამოყენებას მოსდევს სამი ურთიერთსაწინააღმდეგო მიზანი. პირველყოვლისა, მსჯავრდადებულთა შრომა მიზნად ისახავს მაქსიმალურ მოგებას, განპირობებული მათი უზომო ექსპლუატაციით, სამუშაო დღის ხანგრძლივობით და შრომის ანაზღაურების მინიმუმით.[1] არ შეიძლება არ დავეთანხმოთ გერმანელ კრიმინალისტს ი.ხელმერს, რომელიც წერს: "განა შეიძლება დავიჯეროთ ის, რომ მსჯავრდადებული, რომელიც ღებულობს კუთვნილი თანხის მიზერს, შეეჩვევა სამუშაოს, როგორც მწყალობელს, ან ვისაც სისტემატიურად ექცევიან არაადამიანურად, სასტიკად ის გათავისუფლების შემდეგ შესძლებს სხვისი უფლებებისა და ღირსების პატივისცემას". მართალიცაა, დღევანდელ დღეს შრომა იწვევს მსჯავრდადებულში სიძულვილსა და ზიზღს, საერთო ჯამში კი გამასწორებადი ზემოქმედება რჩება უაზრო ფაქტად.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსჯავრდადებულთა ნორმალური შრომა გამოიყენება მხოლოდ სახელმწიფოს ეკონომიკის ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში, როცა წარმოების დაცემა იწვევს მათში მოთხოვნილების შემცირებას. ინგლისში, მაგალითად, სამუშაოში ჩაებმება ის კატეგორია მსჯავრდადებულებისა, რომლებიც მოკლევადიან სასჯელს იხდიან. ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკონომიკური კრიზისების დროს მსჯავრდადებულები ეწევიან

---

1. ამერიკის სამუშაო ბანაკებში და სახლებში, საგზაო ჯგუფებში და რეფორმატორებში სამუშაო დღე განსაზღვრულია 14-16 სთ-ით. გერმანიაში მსჯავრდადებულის ხელფასის 78% ირიცხება სახელმწიფოს სასარგებლოდ, 19% საბურობილის ანგარიშზე და მას კი რჩება მხოლოდ 3%, აქედან უფლება აქვს დახარჯოს ნახევარი, რადგან მეორე ნახევარი ეძლევა გათავისუფლების შემდეგ.

უაზრო ან ისეთ დამქანცავ და საშიშ სამუშაოს, რომელთა შესრულებაზეც უარს იტყოდა უმუშევარიც. ყოველივე აღნიშნული გამორიცხავს მსჯავრდადებულთა შრომით პროცესში გამასწორებული ზემოქმედების ელემენტების არსებობას. მეორეც შეიძლება ითქვას პენიტენციარულ დაწესებულებებში შრომა გამოიყენება მსჯავრდადებულთა დაშინებისა და რეჟიმის შემდგომი გამკაცრებისათვის. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ მსჯავრდადებულთა დასაქმება და რეჟიმის სიმკაცრე დიდად არის დაკავშირებული სახელმწიფოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე. არაკვალიფიცირებული და ხშირად უაზრო დასაქმება ვერ გაუღვივებს პიროვნებას შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების გრძნობას. მესამეც, არის დიდი მცდელობა, რათა შრომა გამოყენებული იქნას მსჯავრდადებულის გამოსწორებისათვის და სამუშაო ჩვევების შემუშავებისათვის, რათა მოხდეს მათი მომზადება თავისუფალი ცხოვრებისა და პატიოსანი შრომისათვის, მაგრამ შრომის გამოსწორებადი მნიშვნელობა მახინჯდება და ითრგუნება იმ მოვლენებით, რომლებიც უკვე აღინიშნა.

გამასწორებადი ეფექტის მიღწევის შემთხვევაშიც, შრომა მაინც უაზრობას წარმოადგენს, რადგან გათავისუფლების შემდეგ მსჯავრდადებული ვერ გამოიყენებს პენიტენციარულ დაწესებულებებში შეძენილ სამუშაო ჩვევებს, მისი კვალიფიკაცია ხდება კონკურენტუუნარო, უმრავლეს შემთხვევაში რჩება უმუშევარი და ბოლოს საერთოდ გარიყული საზოგადოებისაგან.

თანამედროვე საზოგადოების სწრაფად განვითარებადი ცხოვრების პირობებში ვერც თავისუფლების აღკვეთის რეჟიმის გამკაცრება, ვერც მსჯავრდადებულთა მიმართ პუმანურ მოპყრობაზე გადასვლა, ვერც პენიტენციარულ საქმეში ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის მიღწევების გამოყენება ვერ მოახდენენ დადებით ზეგავლენას დანაშაულებათა დინამიკაზე, რადგანაც პიროვნება, რომელიც თავისუფლდება თავისუფლების აღკვეთის ადგი-

ლებიდან, ისევ განიცდის ყოველდღიურ დამანგრეველ ზეგავლენას იმ სოციალური ძალებისაგან, რომლებიც ულმობლად ბიძგავენ მას ახალი დანაშაულის ჩადენისაკენ.

ვერც ერთი სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, ჰუმანურია თუ არა თავისი პენიტენციარული პოლიტიკა, ვერ დაიკვეხნის იმ ფაქტით, რომ სახელმწიფოში არა თუ შემცირდა დანაშაულებათა ზრდის ტემპი, არამედ შეჩერდა მაინც.

დიდ განგაშს იწვევს დანაშაულებათა ზრდის ტენდენცია ახალგაზრდებში, რომელიც დღემდე გრძელდება, ხოლო დამნაშავეთა ასაკი წლითი წლობით კლებულობს.

XX საუკუნის მსოფლიო საზოგადოების ძირითად პრობლემას წარმოადგენს საერთო სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ზრდა. ზოგიერთ ქვეყანაში მან ხუთჯერ გადააჭარბა მოსახლეობის ზრდის კოეფიციენტს. ევროპის ქუჩებში ძარცვის რიცხვმა ბოლო 6 წელიწადში 22%-ით იმატა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურ მკვლელობათა რიცხვი მერყეობს 8 და 9 ათას შორის. ამიტომაც, შემთხვევით არ არის, რომ ევროპის სხვადასხვა კრიმინოლოგები იძულებულნი არიან აღიარონ, რომ პროგრესიულმა სისტემამაც (უკვე არ არის საუბარი პენსილვანიისა და ობორნეს სისტემებზე) ვერ გაამართლა ის იმედები, რასაც მას უკავშირებდნენ მისი დამაარსებლები და მოდერნიზატორები.

საქართველოს მოქმედი შრომა-გასწორების კოდექსის მიხედვით სასჯელის მოხდის რეჟიმი არის სასჯელაღსრულებითი სამართლის ნორმების მიერ დადგენილი წესები, რომლებიც განსაზღვრავენ მსჯავრდადებულთა შენახვას, უზრუნველყოფილი სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულებების ადმინისტრაციის მიერ.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში რეჟიმის ძირითადი მოთხოვნებია: მსჯავრდადებულთა სავალდებულო იზოლაცია და მათზე მუდმივი ზედამხედველობა, რათა არ

იყოს მათ მიერ ახალი დანაშაულის ან სხვა ანტისაზოგადოებრივი საქციელის ჩადენის შესაძლებლობა.[1]

სასჯელის მოხდის რეჟიმი აიძულებს დადგენილი წესების შესრულებას მას, ვისაც არ სურს მათი დაცვა. რეჟიმის ორგანიზების პრინციპებია: კანონიერება, მიზანმიმართულება, პუმანიზმი, ინდივიდუალიზაცია, დასჯისა და დარწმუნების ზომების შეთავსება. რეჟიმი რაღა რეჟიმია თუ ის არ შეიცავს დამსჯელ ელემენტებს. მაგრამ სჯის იმისათვის, რომ მიღწეული იქნას სასჯელის მიზნები. ეს კი ნიშნავს, რომ რეჟიმის ყოველ მოთხოვნას უნდა ჰქონდეს თავისი გონივრული საფუძველი: რეჟიმის მოთხოვნების შეფასებისას ერთმანეთს ეწინააღმდეგება არა სიმკაცრე და სიმსუბუქე, არამედ სარგებლობა და მიზანმიმართულება.

პარადოქსულია ერთი რამ, სასჯელის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე და დღემდე დასახულია სასიკეთო მიზნები, ხოლო შედეგი კი სრულიად საწინააღმდეგო. ამას ადასტურებს დანაშაულის რეციდივის ზრდა (განმეო-რებითი). თანამედროვე ქვეყნებში რეციდივი შეადგენს 40-50 %-ს და ეს გასაკვირი არცაა. გერმანელი კრიმინოლოგი ი. ხელმერი წერდა, რომ გერმანიის საპყრობილეებში მსჯავრდადებულთა შორის არსებობს ძლიერი კონსპირაცია და საიდუმლო შეთანხმებები დანაშაულებრივი ჩვევების სრულყოფისა და მათი გაცვლის მიზნით, იქმნება, დგება ახალი გეგმები მომავალი დანაშაულებებისათვის და ასე შემდეგ. აქედან გამომდინარე სასჯელაღსრულებითი დაწე-სებულებები თანდათანობით გარდაიქმნენ ისეთ ადგილებად, სადაც მსჯავრდადებული იმაღლებს თავის "დანაშაუ-ლებრივ კვალიფიკაციას", იძენს ახალ თანამოაზრეებს და თანამონაწილეებს.

---

1. საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსი 1986წ გვ. 9

§3. პენიტენციარული პოლიტიკა და მეცნიერება

პენიტენციარული პოლიტიკა არის სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც საერთო ჯამში განსაზღვრავს საზოგადოების ყოფა-ცხოვრებას. სასჯელ-აღსრულებითი პოლიტიკა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც სახელმწიფოს მიერ, სასჯელის აღსრულების მხრივ, შემუშავებული, შესაბამის სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოების მოქმედებათა მიმართულება, და როგორც ამ მიმართულებით განსაზღვრული ამოცანები და ფორმები.

სახელმწიფოს პოლიტიკა და სამართალი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. სამართლის ნორმებში აღინიშნება და ფიქსირდება სახელმწიფოს პოლიტიკური მოთხოვნები. თავის მხრივ სამართლებრივი ნორმების პრაქტიკული გამოყენება არის სახელმწიფოს პოლიტიკის გატარება ცხოვრებაში. ანალოგიური კავშირია სასჯელ-აღსრულებით სამართალსა და სასჯელ-აღსრულებით პოლიტიკას შორის.

სასჯელ-აღსრულებითი პოლიტიკა განსაზღვრავს შესაბამისი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მოქმედების ამოცანებსა და ფორმებს სასჯელის აღსრულებისას დანაშაულებებთან წინააღმდეგ ბრძოლაში. სასჯელ-აღსრულებითი პოლიტიკა თამაშობს გარკვეულ როლს სასჯელაღსრულებით სამართალთან მიმართებაში. სასჯელ-აღსრულებითი სამართალი წარმოადგენს სასჯელ-აღსრულებითი პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელების ერთ-ერთ ხერხს. სამართალი, პოლიტიკის გატარების მართალია დიდი, მაგრამ არა ერთადერთი ხერხია. მისი გატარება შესაძლებელია არასამართლებრივი ხასიათის ხერხებითაც (პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო, ორგანიზაციული და ა.შ.).

თუ სახელმწიფო პოლიტიკა მიზნად ისახავს დანაშაულებათა სრულ აღმოფხვრას და ბედნიერი საზოგადოების ჩამოყალიბებას, მაშინ უნდა შემუშავდეს სპეციალური სახელმწიფო პროგრამა, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნას ისტორიული პრაქტიკა და მეცნიერული აზრი.

სისხლისსამართლებრივი სასჯელი არ არის ერთადერთი ხერხი დანაშაულებებთან ბრძოლაში. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს დანაშაულებათა პროფილაქტიკასა და წინასწარ გაფრთხილებას (დაწვრილებით შემდეგ თავში).

სასჯელ-აღსრულებითი პოლიტიკისა და კანონმდებლობის შექმნისათვის ზრუნავს პენიტენციარული მეცნიერება, რომელსაც დიდი ისტორია აქვს და რაშიც ხშირად აღინიშნებოდა პროგრესული მიმართულებები. ჩამოყალიბებულია სხვადასხვა პენიტენციარული თეორიები. ძირითადი მოწოდებები არის სასჯელ-აღსრულებითი საქმის ჰუმანიზაციისაკენ.

პენიტენციარული მეცნიერება არის იმ ცოდნის არე, სადაც შეისწავლება სისხლისსამართლებრივი სასჯელის მეშვეობით დანაშაულებასთან ბრძოლის კანონზომიერება და რომელიც უკავშირდება გამასწორებელ ზემოქმედებას.

პენიტენციარული მეცნიერება შეისწავლის: დანაშაულებებთან ბრძოლაში სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების ადგილს და როლს; სასჯელ-აღსრულებითი პოლიტიკისა და სამართლის პრინციპებს; სასჯელ-აღსრულებითი ორგანოების მოღვაწეობის ეფექტურობას; მსჯავრდადებულთა კლასიფიკაციის პრინციპებსა და პენიტენციარული დაწესებულებების სისტემის ჩამოყალიბებას; სასჯელ-აღსრულებითი სამართლის კავშირს სამართლის სხვა დარგებთან და არაიურიდიულ დისციპლინებთან. დანაშაულებებთან ბრძოლის პრობლემური საკითხის გადაჭრისას დიდი მნიშვნელობა აქვს სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების ფუნქციონირების ისტორიული გამოცდილების შესწავლას და განზოგადებას. ამიტომაც

სისხლის სამართლებრივი სასჯელ-აღსრულებითი მეცნიერება სწავლობს პენიტენციარული კანონმდებლობისა და მისი გამოყენების პრაქტიკის ისტორიულ მიმართულებებს.

მინდა დავასახელო რამოდენიმე მეცნიერი, რომელთა ნაშრომები წარმოადგენენ მნიშვნელოვან წყაროებს სასჯელის აღსრულების პრობლემის შესწავლისას. ნ.დ. შარგოროდსკი.[1] ვისაც სურს მუშაობა სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებებში, მათთვის საინტერესო იქნება პროფესორი ნ.ა. ბელიაევის ნაშრომები.[2] სასჯელის პრობლემატიკის შესწავლისას არ შეიძლება გვერდი აუაროთ ნ.ა. სტრუ-ჩკოვის, ი.ს. ნოის, ი.ი. კარპეცის, ი.მ. გალპერინის ნაშრო-მებს. ადრეულ წყაროებს მიეკუთვნება ისეთი ავტორების ნაშრომები, როგორებიცაა ს.ი. დემენტიევი, ვ.ვ. პოხმელკინა, ს.ვ. პოლუბინსკაია და მრავალი სხვა.

---

1. Шаргородский Н.Д. Наказание по советскому уголовному праву -М., 1958 Шаргородский Н.Д. Наказаниг, его цели и эффективность - Л., 1973
2. И. А. Белцев "Цели наказания и средства их достижения в исправительно-трудовных учреждениях".- Л., 196

თავი 2

სასჯელის მნიშვნელობა

§ 1. სასჯელის ცნება

იურიდიული მნიშვნელობით სასჯელის ცნება ჩამოყალიბდა სამართლის ჩამოყალიბების ადრეულ ისტორიულ პერიოდში. ისეთი ძველი სამართლის ძეგლების შესწავლა, როგორებიცაა: მანუს კანონები, ჰამურაბის კოდექსი, დრაკონტის კანონები და მრავალი სხვა წყარო, გვაძლევს საშუალებას თვალნათლივ დავინახოთ, თუ რა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭებოდა სასჯელს საზოგადოების სოციალური ფასეულობის დაცვის საქმეში. XX საუკუნის უდიდესი სოციოლოგი პ.ა. სოროკინი სწავლობდა რა სასჯელის გამოყენების ისტორიულ გამოცდილებას, განმარტება მისცა დასჯისა და წახალისების ზომების გამოყენების ფსიქოლოგიურ მექანიზმს და მათ გავლენას ადამიანის მოქმედებაზე.[1]

პ.ა. სოროკინი მომხრე არის იმ მიმართულებისა, რომლის მიხედვითაც, როგორც დასჯის ასევე წახალისების ზომები თავისებურად დიდ გავლენას ახდენენ ადამიანის მოქმედებაზე. მათი წარმოდგენაც კი მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე, რაც აიძულებს მას ან შეასრულოს რაიმე მოქმედება ან პირიქით, თავი შეიკავოს რაიმეს შესრულებისაგან.[2]

---

1. П.А. Сорокон, "Человек,Цивилизация, Общество".русский перевод.-М., 1992

2. ყველას შეუძლია გაიხსენოს თავისი ცხოვრებიდან თუ რა გავლენა ჰქონდა ახლობლების, ნაცნობების შემდგომ ქცევაზე დასჯისა და წახალისების ზომების გამოყენებას.

სოროკინის მიერ შემუშავებული თეორიები დაგვეხმარება, სისხლის-სამართლებრივი სასჯელის სოციალური მნიშვნელობის და მიზნების განმარტებისას, თავიდან ავიცილოთ ბევრი გაუგებრობა და სიძნელე. ის აღნიშნავს, რომ ერთი და იგივე სასჯელის გამოყენება არაერთგვაროვნად მოქმედებს ადამიანის ქცევაზე. ასეთი გავლენა განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით:

1. დროის ფაქტორით. რაც უფრო ახლოს არის სასჯელი ე.ი. რეალურია, მით უფრო დიდია მისი გავლენა ადამიანის ქცევაზე. ამით აიხსნება ისიც, რომ მსუბუქ და მოახლოებულ ე.ი. რეალურ სასჯელს შეიძლება უფრო დიდი გავლენა ჰქონდეს პიროვნებაზე ვიდრე მკაცრსა და მოშორებულს ე.ი. არარეალურს.

2. ერთი და იგივე სასჯელი მით უფრო ძლიერად მოქმედებს ერთი და იმავე პიროვნების მოქმედებაზე, რაც უფრო ძლიერი არის რწმენა მის გარდაუვალობაზე.

სოროკინი თავის მეორე თეორემაში განმარტავს სხვადასხვა ან ერთი და იმავე პიროვნებაზე, ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში, სასჯელის გავლენის ხასიათს იმ პოზიციით, თუ რას კარგავს კონკრეტული პიროვნება ამით. ის წერს: "ერთი და იგივე დასჯისა და წახალისების ზომა სხვადასხვა თანაბარ პირობებში, მით უფრო დიდ გავლენას ახდენენ, რაც უფრო დიდად ესაჭიროება კონკრეტულ პიროვნებას დაჯილდოება, რათა დაიკმაყოფილოს შესაბამისი მოთხოვნები და პირიქით, რაც უფრო ბევრ სიკეთეს ართმევს მას სასჯელი."[1]

---

1. საბჭოთა პერიოდში პიროვნების ნასამართლობას დიდი ყურადღება ექცეოდა ის გარკვეულწილად შეზღუდული იყო უფლებებში. პრობლემა მდგომარეობდა მის შემდგომ დასაქმებაში. დღევანდელ დღეს ასეთ პრობლემებს ადგილი არ აქვს.

დღეისათვის საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის და შრომა-გასწორების სამართლის კოდექსები არ იძლევიან სასჯელის სრულ განმარტებას. აღნიშნულ კოდექსებში ნათქვამია – სასჯელი არის არა მარტო დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ იგი აგრეთვე ასწორებს და ხელახლა ზრდის მსჯავრდებულებს შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონების ზუსტად შესრულების, საზოგადო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, არიდებდეს ახალ დანაშაულს როგორც მსჯავრდადებულებს, ისე სხვა პირებს, აგრეთვე ხელს უწყობდეს დამნაშავეობის აღმოფხვრას.

სასჯელის აღსრულება მიზნად არ ისახავს ფიზიკური ტანჯვის მიყენებას ან ადამიანის ღირსების შელახვას.

აღნიშნული განმარტებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს სასჯელის ხასიათის ორეული მდგომარეობა. პირველყოვლისა, სასჯელი მოჰყვება ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას. მეორეც, ის მიმართულია მომავლისაკენ, საზოგადოებისათვის მისი კეთილდღეობის მოლოდინის სახით. ყურადღების გამახვილებას აღნიშნული ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენის მხოლოდ ერთ მხარეზე შეიძლება მოჰყვეს, დანაშაულებასთან ბრძოლისას სასჯელის გამოყენების პრაქტიკაში, თეორიული შეცდომები და სერიოზული დანახარჯები, რის მაგალითსაც იძლევა სახელმწიფოს და სამართლის ისტორია.

სასჯელის პრობლემატიკაზე მომუშავე მეცნიერების ძალისხმევით შემუშავებული იქნა სასჯელის განმარტება. სასჯელი არის იძულებითი ღონისძიება, რომელიც გამოიყენება სახელმწიფოს მიერ სასამართლოს განაჩენის საფუძველით, იმ პირის მიმართ, რომელიც მომხდარ დანაშაულში

ცნობილია დამნაშავედ და გამოხატულია მსჯავრდებულისათვის კანონით განსაზღვრულ თავისუფლების აღკვეთაში ან უფლებების შეზღუდვაში.[1]

აქედან გამომდინარე სასჯელი, უპირველეს ყოვლისა, იძულებას გულისხმობს. იძულება კი ნიშნავს პირზე ზემოქმედებას მისი ნებისა და სურვილის მიუხედავად. მაგრამ იძულება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მხოლოდ სისხლისსამართლებრივ სასჯელს. იძულებას მიმართავდნენ მაშინაც, როდესაც არ არსებობდა არც სახელმწიფო და არც სამართალი. ადამიანთა ყოველგვარი კოლექტივი მიმართავს იძულებას მისი ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედებებისათვის. პირველყოფილ გვაროვნულ საზოგადოებაში იძულების ასეთ ღონისძიებას წარმოადგენდა სისხლის აღება და განკვეთა.[2]

სასჯელი დღევანდელ დღეს სახელმწიფო იძულებას გულისხმობს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მას თავისი ადგილი უჭირავს ადამიანის მოქმედებაზე სახელმწიფო თუ არასახელმწიფო იძულებით ზომებს შორის. ასე მაგალითად, კრიმინოლოგების მიერ დიდი ხანია აღინიშნა კანონზომიერება, რაც გამოიხატება იმაში, რომ ხულიგნობისათვის პირის მიმართ ადმინისტრაციული ზომების გამოუყენებლობის შემთხვევაში გარკვეული დროის შემდეგ იზრდება მძიმე დანაშაულებათა რიცხვი (მკვლელობები, სხეულის მძიმე დაზიანებები და სხვა). აღნიშნული საშუალებას იძლევა ვისაუბროთ ყოფაქცევაზე იძულების სხვადასხვა ზომების სისტემური ზეგავლენის შესახებ, რაც მოითხოვს სასჯელის

1.В.И.Костырев "Понятие и цели наказания",УФА 1995 с-6

2.გ. ინწკირველი - საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები, ნაწ III , თბ. 1992, გვ. 74

პრობლემის შესწავლისათვის სისტემურ მიდგომას. აი ამიტომ არ შეიძლება შეიქმნას ეფექტურად მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, თუ მანამდე არ შეიქმნება ბაზისებური კანონმდებლობა (ადმინისტრაციული, სამოქალაქო, საფინანსო, საგადასახადო და სხვა).

"სასჯელი სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო იძულების ზომაა, რომელსაც სახელმწიფოს სახელით სასამართლო უფარდებს დანაშაულის ჩამდენ პირს. სასჯელი მსჯავრდებულს აყენებს განსაზღვრულ ტანჯვას ან უზღუდავს უფლებებს, გამოხატავს დამნაშავისა და მისი ქმედების უარყოფით შეფასებას. სასჯელის შინაარსი იძულებაა" — ასე განმარტავს სასჯელს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი ინწკირველი.[1]

უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელი არის როგორც იურიდიული, ასევე სოციალური ღონისძიებაც. მისი იურიდიული მხარე გამოიხატება სამართლებრივ ნორმებში, ხოლო სამართალდამცავ ორგანოებსა და კონკრეტულ დანაშაულში დამნაშავედ ცნობილ პიროვნებას შორის ურთიერთობებს არეგულირებს სახელმწიფო, სამართლებრივი ნორმების მეშვეობით. სამართლებრივ სახელმწიფოში ასეთი იურიდიული კავშირი არსებობს და განხორციელდება კონკრეტულად დაწესებული იურიდიული პროცედურისა და იურიდიული განზომილების სახით. მაშასადამე, რა მძიმედაც არ უნდა წარმოუდგეს სასამართლოს მოქალაქის მიერ ჩადენილი ქმედება, სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას ის ხელმძღვანელობს არსებული სისხლის სამართლის კანონმდებლობით. (აი რატომ, როცა მთვრალ მდგომარეობაში ავტოტრანსპორტის მართვის დროს მძღოლი შეეჯახა ავტობუსის გაჩერებაზე მყოფ მოქალაქეთა

1. გ. ინწკირველი - საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები, ნაწ III , თბ. 1992, გვ. 75

ჯგუფს, რამაც რამოდენიმე ადამიანის მსხვერპლი გამოიწვია, სასამართლოს არ შეუძლია დანიშნოს სასჯელის უფრო მკაცრი ზომა ვიდრე გათვალისწინებულია ს.ს.კ. 211 მუხლის მე-3 ნაწილში. ასეთი და ამის მაგვარი იურიდიული სიტუაციები იწვევენ ხალხის გაუგებრობებს, მაგრამ იურისტისათვის ყველაფერი ჩვეულია).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასჯელი არის აგრეთვე სოციალური რეალობა სხვადასხვა გარკვეული სოციალური შედეგების სახით. თანამედროვე სისხლის სამართალი ადგენს რა სასჯელის სახეებსა და სისტემას, აგრეთვე ცალკეული სახის სასჯელებს, საკანონმდებლო გადაწყვეტილების მიღებისას უნდა ხელმძღვანელობდეს არა აბსტრაქტული, არამედ შეძლებისდაგვარად კონკრეტული სოციალური შედეგის წარმოდგენით და მოლოდინით. (ასე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტიდან ამოღებულია სასჯელის ისეთი სახეები, როგორებიცაა გასახლება და გადასახლება. სასჯელის აღნიშნული სახეების ამოღება კანონმდებლობიდან განპირობებული იყო სოციალურად, მათი დიდი ხნით გამოუყენებლობის გამო და იმ უარყოფითი შედეგებით, რაც იწვევდა განსაზღვრულ ადგილებში აღნიშნული სასჯელის მქონე პირთა თავშეყრა).

სასჯელის სპეციფიკური ნიშან-თვისებების ანალიზი საშუალებას იძლევა გამოიყოს სისხლის სამართლის სასჯელი სახელმწიფო იძულების განსაკუთრებულ კლასად. ის არის თავისებური უკიდურესი სამართლებრივი რეაგირება დანაშაულზე. სხვა რადიკალური სამართლებრივი ხერხი სახელმწიფოს არ გააჩნია. ამიტომაც ლოგიკურია იმ მეცნიერებისა და პრაქტიკოსების შეხედულებები, რომლებიც გვთავაზობენ დანაშაულებებთან ბრძოლაში, პირველყოვლისა, სოციალური ხასიათის ხერხებსა და მეთოდებს, დანაშაულის ძირეულად მორღვევისათვის, ხოლო სისხლის სამართლებრივ სასჯელს უთმობენ დამხმარე ადგილს.[1]

1. С.В. Полубинская. "Цели наказания".-М., 1990 . ст-3

როგორც ხშირად ხდება სასჯელის ნიშან-თვისებების განხილვისას არ შეიძლება მხედველობაში გვქონდეს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა. მართალია თავისუფლბის აღკვეთაში გამოიხატება მეტწილად რელიეფურად სასჯელის ნიშანთვისებები, განსაკუთრებით მისი დამსჯელი ხასიათი, მაგრამ არ შეიძლება იმის დავიწყებაც, რომ დანაშაულებებთან ბრძოლაში გამოყენებულ სასჯელისა და სამართლებრივი ზემოქმედების მთელ სისტემაში, თავისუფლების აღკვეთა არის ერთ-ერთი სახე სასჯელისა. სასჯელის პრობლემის ვიწრო ხედვა გარდაუვლად მიგვიყვანს სასჯელის მხოლოდ დამსჯელ ხასიათთან. ის არ უნდა განიხილებოდეს, როგორც რაღაც აბსტრაქტული.

რეალურ ცხოვრებაში სასჯელი ყოველთვის კონკრეტულია. ეს იქნება სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის სანქციით განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა თუ სასჯელის სხვა სახე. სასჯელის საერთო ცნებით გაერთიანებული, აღნიშნული სასჯელის სახეებს გააჩნიათ თავიანთი სპეციფიკური ნიშან-თვისებები, რომლებიც შეხამებულია დასჯის, გამასწორებელ და გამაფრთხილებელ თვისებებთან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისტორიული პროგრესი სისხლის სამართლის დარგში მიდის სასჯელის ჰუმანური და ეფექტური ალტერნატიული ზომების დაძებნის მიმართულებით. თუ ყურადღებით ჩავწვდებით სასჯელის არსებობის ისტორიას, რაც წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის შემადგენელ ნაწილს, აუცილებლად შევამჩნევთ თავის გარდამტეხ ეტაპებს და შეიძლება ითქვას თავისებურ რევოლუციებს. სამეცნიერო და ტექნიკური რევოლუციების მსგავსად, რევოლუცია სასჯელის დარგში მზადდებოდა ახალი ცოდნის დაგროვებითა და ძველი წარმოდგენების მსხვრევით.

სასჯელის აღსრულების დარგში ისტორიულად პირველი რევოლუცია მოხდა, შეიძლება ითქვას, მაშინ, როდესაც უარყოფილი იქნა ის ბარბაროსული მეთოდები, რომლებიც გამოიყენებოდა მსჯავრდებულის საშინელი წა-

მებით სიცოცხლის გამოსალმებისას. ამ ეტაპზე მოხდა გადასვლა სასჯელის ისეთ ღონისძიებებზე, როგორიცაა თავისუფლების აღკვეთა საპყრობილეში მოხდით, რაზეც მსჯავრდებულთა გამოსწორების დიდ იმედს ამყარებდნენ. სხვადასხვა ქვეყნებში ასეთი გადასვლა, გარდატეხა მოხდა სხვადასხვა დროს, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისისათვის განვითარებული ქვეყნების უმრავლესობას გააჩნდათ ისეთი კანონმდებლობა, რომლითაც იკრძალებოდა მკაცრი და უჩვეულო სასჯელის გამოყენება.

XX საუკუნის მეორე ნახევრისათვის ნათელი ხდება, რომ საპყრობილეები ვერ ამართლებენ იმ მოლოდინს, რაც ეხება მსჯავრდებულის გამოსწორებას. უარესიც, ხშირად საპყრობილეები ხდებიან ახალი დამნაშავეებისა და დანაშაულებების წარმოქმნის ადგილებად.[1] აღნიშნულ პერიოდში ხდება ახალი რევოლუცია სასჯელის არსებობის ისტორიაში, რომელიც დღემდე არ არის დასრულებული. ტენდენცია მიმართული არის ძირითადად ისეთი სასჯელებისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების გამოყენებისაკენ, რომლებიც არ განსაზღვრავენ თავისუფლების აღკვეთას.

ასე, მაგალითად სასჯელის ისეთი ღონისძიება, როგორიცაა ჯარიმა იაპონიაში გამოიყენება 85 % სისხლის სამართლის საქმეებზე, გერმანიაში 80%, საფრანგეთში 48%, ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოდ გამოიყენება სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ისეთი ღონისძიება, როგორიცაა სასჯელის აღსრულების გადავადება. ასეთი ზომა გამოიყენება 60 % სისხლის სამართლის საქმეებზე.[2]

---

1. В. Фокс. Введение в криминалогию. - М., 1980. с - 290.

2. ბელგიის 1888 წლის კანონით სასამართლოს შეეძლო გადაეტანა სასჯელის აღსრულება 5 წლით. ამ ხნის განმავლობაში თუ პიროვნება არ ჩაიდენდა დანაშაულს ის ნასამართლობის არმქონედ ჩაითვლებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ძველს დაემატებოდა ახალი სასჯელი.

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესებით (ტოკიოს 1990 წლის წესები) რეკომენდირებულია სასჯელის შემდეგი ზომები:

1. სიტყვიერი სანქციები (შენიშვნა, გაკიცხვა, გაფრთხილება)
2. სასჯელისაგან პირობითი გათავისუფლება
3. სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევა.
4. ეკონომიკური ხასიათის სანქციები (კონფისკაცია, ჯარიმა, კერძო საკუთრებაზე უფლებების ჩამორთმევა
5. დაზარალებულისათვის ქონების დაბრუნება ან ზიანის კომპენსაცია
6. პირობითი დასჯა ან სასჯელის გადავადება
7. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა
8. გამასწორებელ დაწესებულებებში გაგზავნა
9. შინაპატიმრობა

როგორც ვხედავთ ძირითადად რეკომენდირებულია სასჯელის ისეთი ზომები, რომლებიც არ ითვალისწინებენ თავისუფლების აღკვეთას.[1]

ამავდროულად მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში ინერგება მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, მიმართული თავისუფლების აღკვეთის ნეგატიური მხარის გადასალახავად.

ცალკე საკითხად უნდა გამოიყოს სასჯელის არსებობის ისტორია საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სრული მიუღებლობა ყოველი "ბურჟუაზიულისა", გამოიხატა სასჯელის, როგორც ტერმინის შეცვლით, სასჯელი იწოდებოდა "სოციალური დაცვის ღონისძიებად". ასე მაგალითად 1926

1. "Права человека" - Сборник международних договоров. т.1., ч. 1

წლის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 თავი იწოდებოდა შემდეგნაირად: "სოციალური დაცვის ღონისძიებები, გამოყენებული დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ". აღნიშნული კოდექსის ავტორები იმედოვნებდნენ, რომ მათ მიერ შემოღებული სიახლე მიმართული იყო ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში არსებული ფორმალურ-დოგმატური მიდგომისა და შურისგების პრინციპის უარყოფისაკენ. ერთერთი გამოჩენილი სამართლის თეორეტიკოსი ე.ბ. პაშუკანისი ამის შესახებ წერდა: "სანამ საქონლის ფორმა და მისგან გამომდინარე სამართლის ფორმა განაგრძობენ საზოგადოებაზე თავისი კვალის დატოვებას, მანამდე სასამართლო პრაქტიკაში შეინარჩუნებს თავის ძალასა და რეალურ მნიშვნელობას არსებითად უაზრო იდეა (არა იურიდიული თვალსაზრისით), თითქოსდა ყოველი დანაშაულის სიმძიმე შეიძლება აიწონოს სასწორით და შეიძლება გამოიხატოს საბურობილეში დამწყვდევის თვეებითა და წლეებით. თავისუფლების აღკვეთა განაჩენით განსაზღვრული დროით არის ის სპეციფიკური ფორმა, რომელშიც, ბურჟუაზიული სისხლის სამართალი ახდენს ეკვივალენტურ გაცვლას".[1]

"ბურჟუაზიული" კანონების რევოლუციურმა უარყოფამ და სოციალური დაცვის ღონიძიებების გამოყენებამ გამოიწვია გაურკვეველი განაჩენების გამოტანა, რომლებიც მიმართული იყვნენ არა დანაშაულებრივ ქმედებებზე, არამედ პიროვნებებზე. ადმინისტრაციულ-ბრძანებლობითი სისტემის გაძლიერების შემდეგ სისხლის სამართლის სასჯელი ფართოდ იქნა გამოყენებული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, მაგალითად. "კულაკობის ლიკვიდაცია, როგორც კლასისა".

---

1. Е.Б. Пашукание. Избранные произведения по общей теории права и государства, - М., 1980, - с. 172, 176.

30-იან წლეებში საბჭოთა საზოგადოებაზე თავს მოხვეული სასჯელის შაბლონიზაცია გამოწვეული იყო საბჭოთა კავშირის დიდი ხნით თვითიზოლირებით, ამიტომაც მისმა შედეგებმა გარკვეული კვალი დაასვეს სისხლის სამართლის კანონმდებლობას. შეიძლება ითქვას უარყოფითი შედეგები დღესაც არ არის გადალახული. უმეტესიც, საქართველოს შესვლა "ცივილიზებულ სამყაროში" არ შეიძლება განხორციელდეს განვითარებული ქვეყნების სტანდარტებზე მექანიკურად გადასვლით. (სტანდარტებზე, რომლებიც ჩამოყალიბდა ათეული წლეების პრაქტიკული ცხოვ-რებიდან). რაც მთავარია, სასჯელის დარგში მინიმალურ სტანდარტულ წესებზე გადასვლა უნდა მოხდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პირობების მომწიფებისა და საზოგადოების ფსიქოლოგიის შეცვლის გზით. სასჯელის დადგენისა და გამოყენების პრობლემა, არსებული ობიექ-ტური და სუბიექტური მიზეზების გამო ახლო მომავალში ვერ გადაწყდება. მიუხედავად ამისა, სასჯელის თანა-მედროვე კონცეფციის შემუშავებისას და დანაშაულებებთან ბრძოლაში ამ სოციალური ინსტიტუტის გამოყენებისას მხედველობაში მიღებული უნდა იქნას აღნიშნულ დარგში მსოფლიო პრაქტიკის საუკეთესო მიღწევები.

საინტერესო არის "ახალი სოციალური დაცვის" თეორიის იდეები და რეკომენდაციები, რომლებიც ჩამოყა-ლიბებული იქნა 1954 წელს საერთაშორისო სოციალური დაცვის საზოგადოების თავმჯდომარის მ.ანსელის მიერ. ის თვლის, რომ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე მიდის სასამართლოს მიერ საქმის კლასიკური განხილვა, დგინდება დანაშაული, დანაშაულებრივი ქმედება, მისი ჩადენის პირობები. მეორე ეტაპი – არის სოციალური დაცვის პროცესი. მასში მონაწილეობას ღებულობენ მედი-კოსები, ფსიქოლოგები, ფსიქიატრები, რომლებიც ღებუ-ლობენ გადაწყვეტილებას სანქციის თაობაზე.[1]

სოციოლოგების, მედიკოსების, პედაგოგების მოწვევა მსჯავრდებულთა გამოსწორების ინდივიდუალური პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებად, განსაკუთრებით როდესაც საქმე ეხება არასრულწლოვნებს, გამოიყენება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

ეს არის პრობლემისადმი ფორმალური, იურიდიული მიდგომის არედან გამოსვლის მცდელობა. სამართალწარმოება—იურისტების პრეროგატივაა, რომლებიც აზროვნებენ იურიდიული კატეგორიებითა და კანონის და სასამართლოს წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის პრინციპის მრწამსით. სასჯელთან დაკავშირებით, საკითხების გადაჭრაში არაიურისტების ჩაბმა, არ ნიშნავს სასჯელის ინდივიდუალიზაციის უარყოფას, მით უმეტეს საშუალება იძლევა ის განვახორციელოთ სისხლის სამართლის კანონის ფარგლებში.

საინტერესო შეხედულებები, აზრები სასჯელის შესახებ იყო გამოთქმული სკანდინავიის ქვეყნების მეცნიერების მიერ. კერძოდ, ნორვეგიის ქალაქ ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორი ნ. კრისტი აღნიშნავს, რომ სასჯელი არის დამნაშავისათვის ტკივილის მიყენება და მოუწოდებს ამ ტკივილის შემსუბუქებისაკენ.[2] ცნობილია, რომ სკანდინავიის ქვეყნებში არსებობს სასჯელის გამოტანის და გამოყენების გაცილებით ჰუმანური მეთოდები, ვიდრე კონტინენტალური ევროპის ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასეთი ვითარება აიხსნება, ალბათ, არა მარტო ცხოვრების მაღალი დონით, აგრეთვე იმითაც, რომ დანაშაულებებთან ბრძოლის პროგრამების შემუშავებისას ყურს უგდებენ მეცნიერების მოსაზრებებსაც.

---

1. См. Ансель М. Новая социальная защита. - М., 1970.- с34-36, 190-305.
2. См. Кристи И. пределы наказания, - М., 1985.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ სასჯელის ცნება მსოფლიოს სხვადასხვა მეცნიერული სკოლების მიერ განიხილება სხვადასხვაგვარი მიდგომით და განისაზღვრება:

1. როგორც სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიება.
2. როგორც დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის.
3. როგორც საზოგადოების თავდაცვის საშუალება.
4. როგორც სოციალური კონტროლი ადამიანის მოქმედებაზე.
5. როგორც დამნაშავისათვის ტკივილის მიყენება.
6. როგორც დანაშაულის არიდების საშუალება.

ყველა ჩამოთვლილ განსაზღვრებაში გამოყოფილია თვისება, რომელიც განსაზღვრავს სასჯელის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მხარეს. საჭიროა გვახსოვდეს ისიც, რომ მიუხედავად ჩვენი განსაზღვრისა, სასჯელი არის ისტორიულად და სოციალურად დასაბუთებული რეალობა, რომელიც ყოველთვის იარსებებს საზოგადოების თვალში და არა მეცნიერულ კონსტრუქციებში, როგორც დაჯილდოების, წახალისების საწინააღმდეგო მხარე.

§ 2. სასჯელის მიზნები

რა არის სასჯელი? შურისგება ჩადენილი დანაშაულისათვის თუ დანაშაულის არიდების ერთ-ერთი ხერხი.

შურისგების თეორია პირველია, რომელიც მოდის ბიბლიური დროიდან. ამ თეორიის იდეებს ჩვენ ვხვდებით პლატონთან, სენსეკთან, კანტთან, გეგელთან და მრავალ სხვა ავტორებთან. შურისგების თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლებში ჩადებულ პრინციპს, "ბოროტებისათვის ბოროტებით გადახდას", მივყავართ ზნეობრიობისა და სა-

მართლიანობის საერთო საწყისებისაკენ, რითაც ჩემი აზრით აიხსნება შურისგების თეორიის უკვდავყოფა.[1]

კანტის მიხედვით ზნეობრივი იმპერატივი მოითხოვს ბოროტებისათვის ბოროტებით გადახდას არა მარტო ფიზიკური ტალიონის სახით, აგრეთვე ითვალისწინებს ზნეობრივ შურისგებასაც, პირობითობის გათვალისწინებით. (მაგალითად, იმის დაშვება, რომ ქურდს ჩადენილი დანაშაულისათვის გადაეხდება კატორღული სამუშაოებით ან მოძალადეს კასტრაციით). შურისგების თეორიის მომხრეების თანამედროვე მოსაზრებები არც თუ ისე კატეგორიულია და ერწყმიან ხალხის, სამართლისა და სამართლიანობის, საერთო წარმოდგენებს. ასე მაგალითად, პროფესორი ნიკიფოროვი სასჯელის დამსჯელი თვისებების განხილვისას წერდა: "საზოგადო აზრი შესაძლებელია გაცილებით ადრე, ვიდრე ფსიქოლოგიის მეცნიერება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არაეთიკური ხერხებით თავიანთი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ხალხის სწრაფვას არ შეიძლება დავუპირისპიროთ, ზრდილობიანი, კანონმორჩილი ქცევისათვის, სიტყვიერი მოწოდება. ქურდს ან მოძალადეს არა უბრალოდ უნდა აეხსნას რომ ის იქცევა ცუდად, არამედ ვაიძულოთ იგი, ტანჯვის, წვალების მეშვეობით შევაცბუნოთ, განვაცდევინოთ, ვაგრძნობინოთ თავისი ქცევის არასისწორე".[2]

ყველაზე სერიოზულ დანაშაულთა დროს, როგორიცაა წინასწარ განზრახული მკვლელობა, სახელმწიფო ღალატი, უღვთოობა, ძველ ათენში სიკვდილით დასჯა იყო

---

1. Дементьев С.И. Лишение свободы. Уголовно-правовые и исправительно-трудовое аспекти. - Ростов, 1981. - с. 45ე
2. Никифоров Б.С. "Наказание и его цели". Советское государство и право. 1981." № 9 - с.65.

დაწესებული, ამასთან მსჯავრდადებულს უფლება ენიჭებოდა განაჩენი საწამლავის მიღებით მოეყვანა სისრულეში. ზოგჯერ ამავე მიზნით მას ასარჩევად აძლევდნენ მახვილსა და თოკს, ასე ეპყრობოდნენ პროფესიონალ ავაზაკებს და მძარცველებს (hahourgoi), რომლებიც თითქოს კანონგარეშე მდგომებად ითვლებოდნენ.[1]

როგორი დაფარულიც არ უნდა ყოფილიყო, "საღმრთო წერილით" თუ "სახელმწიფო ინტერესით", სასჯელი შეიცავდა შურისგების ელემენტს. (როდესაც ლუდოვიკ XI ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს ნუმერიის ჰერცოგი, ეშაფოტის ქვემოთ დააყენეს მისი არასრულწლოვანი შვილები, რათა დასცემოდათ მამის სისხლის წვეთები).[2]

შურისგების თეორიას უახლოვდება დაშინების თეორია, რის დასახელებაც კი მეტყველებს იმაზე, რომ კუთხიდან კუთხეში უნდა იდგეს შესაძლებელი სასჯელის შიში, როგორც შემაჩერებელი ფაქტორი. სასჯელის მთავარ მიზნად შუასაუკუნეების ოფიციალური თეორიით უდაო ჭეშმარიტებად ითვლებოდა დაშინება. ფლორენციაში, ამბობენ, რომ არსებობდა ადათი საჯაროდ დასჯის ყოველი შემთხვევის ნახატით "უკვდავყოფისა". ასეთი რწმენით დაშინების თეორია პრაქტიკაში ხორციელდებოდა სასტიკი და მტანჯავი სასჯელების გამოყენებით. ამის მაგალითია ტომას მორის სიკვდილით დასჯის აღწერა: "ის სიკვდილით დასაჯეს 1535 წლის 6 ივლისს ტაუერის - ბრიტანეთის მთავარი საპყრობილის მახლობლად. განაჩენი აუწყებდა"... ლონდონის სიტის გავლით ტაიბერნამდე ათრიეთ მიწაზე, იქ კი ჩამოვიდეს ისე, რომ გაწამდეს, ჩამოხსენით სანამ კიდევ ცოცხალია, ამოჭერით სასქესო ორგანოები, გაჭერით მუ-

1. ს. ფ. კეჩეკიანი - სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, თბილისი 1946, გვ. 286.
2. З. М. Черниловский - Всеобщая история государ-ства и права. М., 1996 - с. 198.

ცელზე, ამოაცალეთ და დაწვით მისი შიგნეულობა, შემდეგ სხეული დაჭერით ოთხ ნაწილად და თითოეული ნაწილი ჩამოკიდეთ სიტის კარებზე, ხოლო, თავი გამოკიდეთ ლონდონის ხიდზე".[1]

1768 "ტერეზიანის" კოდექსი (ავსტრია) არა მარტო აკანონებდა წამებას, აგრეთვე შეიცავდა ფართო განმარტებებს თუ როგორ და რა ფორმებით უნდა განხორციელებულიყო ის.[2]

ძველი ეგვიპტის სისხლის სამართალიც არ უარყოფს დაშინების თეორიას. ბოკჰორისის კანონებით სიკვდილით დასჯასთან ერთად ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა დამასახიჩრებელი, ასოთდამზიანებელი სასჯელები: ხელების, ყურების, ცხვირის, ენის მოჭრა, კასტრაცია და სხვა. მიმართავდნენ აგრეთვე გაჯოხვას (100-ჯერ დაარტყამდნენ, ისე რომ ხუთი ღრმა ჭრილობა გაჩენილიყო). არსებობდა დასჯა მძიმე იძულებითი სამუშაოთი, რასაც ზოგჯერ თან სდევდა გადასახლება. იყო პატივისამხდელი სასჯელიც—სამარცხვინო ბოძთან დაყენება.[3]

დღევანდელ დღეს დაშინება გამოიყენება, როგორც შემაჩერებელი, დამაბრკოლებელი ფაქტორი ის ძირითადად განხორციელდება სასჯელის ისეთი სახეების გამოყენებით, როგორიცაა სიკვდილით დასჯა (საქართველოში გაუქმებულია), უვადო პატიმრობა ან დიდი ხნით თავისუფლების აღკვეთა. ამასთან ერთად, სასჯელის დარგში თანამედროვე

---

1. Утопический социализм. - М., Политиздат, 1982.-с-50.
2. З. М. Черниловский - Всеобшая история государства и права. М., 1996 - с. 198.
3. ს.ფ. კეჩეკიანი - სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, თბილისი 1946, გვ. 286.

გამოკვლევები უარყოფენ დაშინების თეორიის ბევრ დებულებას, არა მარტო პუმანიზმის პოზიციიდან, არამედ

მრავალი სხვა მოსაზრებებითაც, რის შესახებაც იხილავთ ამ პარაგრაფში.

სასჯელის სარგებლობის თეორია ძირითადად დაასაბუთა ბენტამმა. მისი აზრით უბრალო მოქალაქისათვის სასჯელისაგან სარგებლობა გაცილებით დიდია, ვიდრე დამნაშავისათვის მიყენებული ზიანი. პროფესორი ბ.ს. ნიკიფოროვი ასაბუთებდა რა სასჯელის სარგებლობის ელემენტებს, მიუთითებდა, რომ "სასჯელი არის სახელმწიფოს პასუხი დანაშაულზე, რომელიც თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, უნდა შეიცავდეს დანაშაულისაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურების შინაარსს. ამასთანავე ის განმარტავს, რომ "სასჯელი მოკლულს არ უბრუნებს სიცოცხლეს და არ კურნავს მიყენებული სხეულის დაზიანებებს. მისი საზოგადოდ სარგებლობის ძირითადი ელემენტები, მთავარი ინტეგრაციული მიზანი, მდგომარეობს დარღვეული სოციალურ-ფსიქოლოგიური წყობის ნორმალური მდგომარეობის დაბრუნებაში ან მის აღდგენაში".[1]

ჯერ კიდევ ძველს ბაბილონში, ჰამურაბის კანონებით გვაროვნული სისხლის აღება მთლიანად გამოდევნილია ზოგ შემთხვევაში სასჯელით, რასაც ადებენ დამნაშავეებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, სხვა შემთხვევებში კი საზღაურით, რასაც დამნაშავე უხდის დაზარალებულს ან მის ნათესავებს. ძველი ათენის სამართლის მიხედვით კი მკვლელობა განიხილება როგორც ისეთი საქმე, რომელიც მოკლულის ნათესავებს აინტერესებდათ, და არა სახელმწიფოს ორგანოებს. სავსებით დასაშვებად ითვლებოდა მოკლულის ნათესავთა გარიგება მკვლელთან

---

1. Никифоров Б.С. "Наказание и его цели". Советское государство и право. 1981." № 9 - с.61.

მკვლელობის ანაზღაურების შესახებ. თუ მოკლულს უახლოესი ნათესავები არ ჰყავდა, ამ საზღაურს იღებდა იმ გვარის ათი წევრი, რომელსაც მოკლული ეკუთვნოდა. იმ

შემთხვევაში, როცა ნათესავები დევნას აღძრავდნენ მკვლელის წინააღმდეგ, მათი სარჩელი კერძო დევნის (dike) ხასიათს ატარებდა, და არა ისეთი ბრალდებისას, რომელიც სახელმწიფოს ინტერესებს ეხებოდა (draphe). მას შეეძლო სჩივრის ამა თუ იმ ფორმაზე შეჩერებულიყო, იმის მიხედვით ამჯობინებდა იგი ზარალის ანაზღაურების სარჩლობას, თუ დამნაშავის დასჯას. ასე მაგალითად, დემოსთენის ერთ-ერთი სიტყვიდან (L,IV,I) ჩვენ ვტყობილობთ, რომ ვიღაც მომჩივანი, მოქმედებით შეურაცხყოფილი და გაძარცული, ამჯობინებს მხოლოდ ზარალის ანაზღაურების სარჩლობას და არა შეურაცხმყოფელის დასჯას.[1]

სასჯელის სარგებლობის მეორე ელემენტი ნიკიფოროვის აზრით გამოხატულია იმაში, რომ ყოველმა მისმა გამოყენებამ ხელი უნდა შეუწყოს ხალხის აზროვნებიდან, მათი და მათი ახლობლების კეთილდღეობისადმი, სიცოცხლისადმი, ჯანმრთელობისადმი, სულიერი სიმშვიდისადმი, საცხოვრებლისა და საკუთრებისადმი შიშის, განცდის და განვაშის გრძნობის აღმოფხვრას.[2]

აღსანიშნავია, რომ ნიკიფოროვის მიერ 80-იანი წლების დასაწყისში მკვეთრად იქნა დასმული და მნიშვნელოვანწილად თეორიულად დასაბუთებული საკითხი იმის შესახებ, რომ სასჯელი უნდა იყოს არა მარტო დასჯა "რაღაცისათვის", ის უნდა არსებობდეს, ავრეთვე, სასარგებლო მიზნების "მიღწევისათვის".

1. ს.ფ. კეჩეკიანი - სახელმწიფოს და სამართლის ზოგადი ისტორია, თბილისი, 1946, გვ.286
2. Никифоров Б.С. "Наказание и его цели". Советское государство и право. 1981." № 9- с.67.

გამოსწორების თეორია წარმოიშვა გაცილებით ადრე. ჯერ კიდევ პროთაგორმა განსაზღვრა სასჯელი როგორც ირიბი ხის გასწორების მცდელობა. XIX საუკუნეში კი ეს მოსაზრება დაასაბუთეს შთელცერმა, კრაუზემ, არენსმა,

რედერმა. შთელცერი ამბობდა, რომ სასჯელს უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი მიზანი—დამნაშავის გამოსწორება საკუთარი ინიციატივით ისე, რომ ის აღარ იყოს საშიში საზოგადოებისათვის.დამნაშავის გამოსწორების თეორიამ საბჭოთა პერიოდში თეორიული დასაბუთება მიიღო ა.ს. მაკარენკოს ნაშრომებში. მის და მისი თანამიმდევრების მიერ პრაქტიკულად განხორციელებული იქნა გამოსწორების ბევრი პედაგოგიური ხერხი, რამაც გამოიღო შთამბეჭდავი შედეგები. გამოსწორებისა და აღზრდის მიზანი ყოფილი საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საფუძვლებით, კანონმდებლობით მიმაგრებული იყო სასჯელზე.

დამნაშავეთა გამოსწორების თეორიას საერთაშორისო ავტორიტეტულ ორგანიზაციებში მრავალი მომხრე ჰყავს.

დანაშაულის არიდების თეორია აღორძინდა ფრანგი განმანათლებლების მონტესკიესა და ბექქარიის პუმანურ იდეებთან ერთად. მან შეცვალა დაშინებისა და შურისგების იდეები. ჩ. ბექქარისის ცნობილი გამონათქვამი: „ყველაფერს აჯობებს დანაშაულის არიდება“, გახდა დანაშაულის პრობლემების ჰუმანური განხილვის სიმბოლოდ.

დანაშაულის არიდების თეორიის მომხრე იყო აგრეთვე პროფესორი ს.ვ. პოზნიშევი, რომელმაც აღნიშნა, რომ თუ სასჯელი რეალურად გამოიყენება, მაშინ მისი დამაბრკოლებელი ეფექტის მიღწევა შეიძლება ზედმეტი სისასტიკის გარეშეც, და თუ არ გამოიყენება, მაშინ ყველაზე საშიში დაშინება დარჩება მკვდარ სიტყვად.[1]

---

1. Познишев С.В. Основные вопросы учения о наказании - М., 1904.-с.262.

ჩვენს მიერ გავლილი მოკლე თეორიული ექსკურსი გვიჩვენებს სასჯელის არსებობის მნიშვნელობას და ამასთან ერთად მრავალ პრობლემას, რის ასახვასაც ცდილობდნენ სხვადასხვა სამეცნიერო სკოლები. უკვე განხილული თეორიები გვატყობინებენ სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის საერთო მიმართულებას. მათ სუსტ ადგილად რჩებოდა აბსტრაქტულობა, რაც არ უწყობდა ხელს კანონმდებლისათვის პრაქტიკული რეკომენდაციის შემუშავებაში, რომელიც თავის მხრივ მოდიოდა საკუთარი გზით, გამოცდილი მეთოდებითა და შეცდომებით. სისხლის სამართლის მეცნიერებაში სოციოლოგიური და ნაწილობრივ ანტროპოლოგიური მიმართულებების დანერგვამ, აგრეთვე დამნაშავეობის შესახებ მონაცემების სტატისტიკური მიღების გაუმჯობესებამ შესაძლებელი გახადა თეორიული შედეგების შემოწმება საკმაოდ ზუსტი მონაცემების დადგენის მეშვეობით. აღნიშნული შეიძლება განიმარტოს შემდეგი მაგალითით:

ამერიკელმა მეცნიერმა ტ. სელინმა შეადარა მკვლელობის სტატისტიკური მონაცემები შტატებში, სადაც კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა და სადაც ასეთი უკვე გაუქმებული იყო. მკვლელობის რიცხობრივი მონაცემები შტატებში იყო ერთი და იგივე, ისინი იცვლებოდნენ იმისდა მიუხედავად, იყო თუ არა სისხლის სამარლით კოდექსში განსაზღვრული სიკვდილით დასჯა. შემდეგ სელინმა შეადარა მკვლელობის სტატისტიკური მონაცემები ქალაქებში, სადაც სიკვდილით დასჯა მოპყავდათ აღსრულებაში საჯაროდ. აღმოჩნდა, რომ სასჯელის აღსრულების შემდეგ მკვლელობათა დინამიკაში ცვლილებები არ შეიმჩნეოდა.[1] ასეთ დროს, ხშირ შემთხვევაში სასჯელი სანახაობით ხასიათს ღებულობდა.

---

1. Полубинская С.В. Цели уголовного наказания- М., 1990.-с.57-58.

სასჯელი რაც არ უნდა მკაცრი ყოფილიყო, დამნა-
შავეზე არავითარ ზეგავლენას არ ახდენდა. ჯიბის ქურდ-
სარგებლობდა რა ხალხის თავშეყრით, ეშაფოტის გვერ-
დითაც თავის საქმეს აკეთებდა (იმის მიუხედავად, რომ მა-
საც ეშაფოტი ემუქრებოდა). ქალაქ ტულუზაში (საფრან-
გეთი) მკვლელთა ჯგუფი დიდი ხნის განმავლობაშ
იმალებოდა ქალაქის სახრჩობელას ღობის გვერდით
აღნიშნულის შესახებ ჟ.ბ. მარატი წერდა: "დიდი მცდარობ
იქნება იფიქრო იმაზე, რომ დამნაშავეს აუცილებლა-
დაკავებს სასჯელის სიმკაცრის შიში. ამის წარმოდგენ-
ძალიან მალე იფანტება, ხოლო დანაშაულებრივი განზრახვ-
ერთი წუთითაც არ ტოვებს მას". მღვდლების დაკვირ-
ვებებიდან, რომლებიც სიკვდილმისჯილებისაგან ბოლო
აღსარებას ღებულობდნენ, ცნობილი გახდა, რომ მსჯავრ-
დებულთა უმრავლესობა არაერთხელ ესწრებოდა სიკვ-
დილით დასჯას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველი დანა-
შაულის ჩადენისას პიროვნება დარწმუნებული იყო, რომ ი
იქცეოდა ფრთხილად და სასჯელს გადაურჩებოდა. ასეთ
რწმენა უმრავლეს შემთხვევაში შიშზე ძლიერია.

სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულმა მრავალმ
გამოკვლევამ შესაძლებელი გახადა დაგროვილიყო დიდი
ემპირიული მასალა. ასე ა.ი. მარცევის მონაცემებით 147
დამნაშავიდან 90 დანაშაულის ჩადენის მომენტში არ ფიქ-
რობდა სასჯელის საშიშროებაზე.[1] თითქმის იგივე შედეგებ
მიიღეს თითქმის კ.ე. იგოშევმა, ო.ა. დუბოვიკმა და სხვ
მკვლევარებმა.[2]

---

2. См. Марцев А. И. Задачи Исправительно-трудовых учреждений. Проблеми борьбы спреступностью Иркутск. 1970, - с. 53.
3. См. Полубинская С.В. Цели уголовного наказания- М., 1990.-с.45-47.

ასე რომ თანამედროვე ეტაპზე სასჯელის მიზნების გამოკვლევის პრობლემა მდგომარეობს კლასიკური მიმართულების მეცნიერების ფუნდამენტალური დასკვნების უგულებელყოფაში, რომლებიც თავის მხრივ შეადგენენ სასჯელის მეცნიერების ფილოსოფიას. თანამედროვე მეთოდებისა და ზუსტი ცოდნის მიღების მეთოდიკის გამოყენებით სასჯელის წინაშე შეიძლება დავსახოთ ისეთი მიზნები, რომლებიც პირველყოვლისა, იქნებიან შესრულებადნი და მეორეც, შესაძლებელი იქნას მათი ეფექტურობის განსაზღვრა.

ასეთი მეთოდოლოგიური პოზიციებიდან ჩვენ უნდა განვიხილოთ საკითხი, თუ როგორ განიმარტება სასჯელის მიზნები საქართველოს არსებული და პროექტირებული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით.

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-20 მუხლისა და შ.გ.კ. 1-ლი მუხლის მიზანი არის გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდადებული შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონების ზუსტად შესრულების, საზოგადო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, არიდებდეს ახალ დანაშაულს როგორც მსჯავრდებულებს, ისე სხვა პირებს, აგრეთვე ხელს უწყობდეს დამნაშავეობის აღმოფხვრას. სასჯელის აღსრულება მიზნად არ ისახავს ფიზიკური ტანჯვის მიყენებას ან ადამიანის ღირსების შელახვას.

აღნიშნული მუხლის კომენტირებისას შეიძლება ითქვას, რომ მსჯავრდადებულის გამოსწორება და ხელახლა აღზრდა, როგორც სასჯელის მიზანი, მიმართულია, სოციალურად სასარგებლო შრომით, კანონისადმი, საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის ჩანერგვით, საზოგადოებაში ნორმალური ცხოვრებისაკენ შემობრუნებისათვის. მართალია სასჯელის აღნიშნული მიზნისათვის კანონი იყენებს ორ ტერმინს - გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდას, პრაქტიკულად სასჯელის აღსრულების დროს მათი განცალკევება პრობლემატურია. თეორიული პოზიციებიდან

ასეთი მცდელობები იყო, მაგრამ ისინი ატარებდნენ აზრობრივ ხასიათს. ამიტომაც დღესდღეობით მიზანშეწონილად არის მიჩნეული სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ხელახლა აღზრდის ტერმინის გამოყენების უარყოფა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (პროექტის) მე-40 მუხლის მიხედვით სასჯელის მიზანია თავიდან აიცილოს ახალი დანაშაულის ჩადენა, როგორც მსჯავრდებულის, ისე სხვა პირის მიერ. როგორც ვხედავთ "გამოსწორებაც" კანონმდებლობიდან ამოღებულია. ალბათ იმისათვის, რომ სასჯელის აღნიშნული მიზნის დადგენისას, ისმება კითხვა თუ რამდენად რეალური და მისაღწევადია ასეთი მიზანი. მითუმეტეს, თუ მხედველობაში გვაქვს სასჯელი, რომელიც არ ითვალისწინებს დიდი ხნით გამასწორებელ ზემოქმედებას, ეს იქნება თავისუფლების აღკვეთა თუ გამასწორებელი სამუშაოები. მიმაჩნია, რომ ხალხური გამონათქვამი: "კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებსო", ეხება არა ყველას, არამედ მხოლოდ დამნაშავე-რეციდივისტების გარკვეულ ჯგუფს, ვისი გამოსწორების იმედიც კი სავსებით პრობლემატურია. მაგრამ, რაც შეეხება პირებს, რომლებიც პირველად მოხვდნენ სისხლისსამართლებრივი იუსტიციის მოქმედების სფეროში, თვით წინასწარი გამოძიების სრული პროცედურა, დაკითხვები, სასამართლო განხილვა, თუნდაც არ იყოს გამოტანილი სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, განიცდიან უზარმაზარ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, რაც უმრავლეს შემთხვევაში აიძულებს მათ გადაამოწმონ, შეცვალონ თავიანთი ცხოვრების წესი. საერთოდ, აღსანიშნავია ისიც, რომ პირების, რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით, გამოსწორებაზე დიდადაა დამოკიდებული რეციდიული დანაშაულის აცილება.[1]

---

1. Хачикиян А.М., Исполнение наказания в отношении лиц, впервые осужденных к лишению свободы, Автореферат дис.канд.юр.наук.Москва, 1994г.

გამოსწორების მიზნის უარყოფის მცდელობა, დანაშაულის აცილების მიზანში ჩართვის გზითაც, მიგვიყვანს და შეიძლება ითქვას მივყავართ კიდეც იქამდე, რომ უკუგდებული, ხაზგადასმული იქნება ადრე მიღწეული მცირე დადებითი შედეგებიც. აღნიშნული მიზნის კანონით განმტკიცება ავალდებულებს სახელმწიფოსა და საზოგადოებას შეიმუშაოს და განახორციელოს სპეციალური სისტემა, რის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება აღნიშნული მიზნის მიღწევა. ეს კი აიძულებს გადასახადის გადამხდელს კიდევ ერთხელ გადააფიქრდეს პრიორიტეტები და დაფიქრდეს იმაზე, თუ რა უფრო საჭიროა, ხელსაყრელია: სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებებში სამართალდამრღვევთა შენახვისათვის იხარჯებოდეს უზარმაზარი თანხები, თუ მთელი ძალისხმევა მიმართული იყოს იმისაკენ, რომ არასრულწლოვანი მიუსაფარი ახალგაზრდებიდან არ აღიზარდონ დამნაშავე-რეციდივისტები?

ტრადიციულად, სასჯელის მთავარ მიზნებად მიჩნეულია: 1. მსჯავრდებულის გამოსწორება ისე, რომ მან მომავალში არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული (დანაშაულის ინდივიდუალური, სპეციალური გაფრთხილება); 2. ზემოქმედება საზოგადოების სხვა მერყევ წევრებზე, რათა ისინი შეაკავონ დანაშაულის ჩადენისაგან (დანაშაულის ზოგადი გაფრთხილება).[1]

დანაშაულის ზოგადი გაფრთხილება, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი, მიიღწევა, საზოგადოდ საშიში ქმედებისათვის, სასჯელის გამოყენების მუქარის გზით. სასჯელის გამოყენების მუქარა თუ გამყარებული იქნება მისი რეალურად გამოყენებით, ეს დამნაშავეებზე დიდ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს და აიძულებს პიროვნებას

1. ინწკირველი გ. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. თბილისი, 1992 წ. გვ. 75.

თავი შეიკავოს დანაშაულის ჩადენისაგან. ყოველი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა გარდაუვალია. ეს ნიშნავს იმას, რომ არც ერთი დანაშაული

არ დარჩეს გაუხსნელი, ვერც ერთმა დამნაშავემ ვერ უნდა აიცდინოს პასუხისმგებლობა მის მიერ ჩადენილი ბოროტებისათვის.[1]

დიდი ხნის მანძილზე და შეიძლება ითქვას დღესაც, არსებობს რწმენება იმისა, რომ დაშინებით შეიძლება დადგენილი ნორმების შესრულების მიღწევა. "сжечь во страх иным", "дабы через то другим страх подать и оных от таких неприятностей удержать".

იმის შეხედულება, რომ დანაშაულის არიდების ყველაზე საიმედო ხერხი არის სასჯელის სიმკაცრე, მოდის სამართლის ისტორიის თითქმის მთელს ეტაპზე. მაგრამ შუასაუკუნეების იუსტიციის გამოცდილება და სასჯელის აღსრულების დღევანდელი პრაქტიკა ყველაზე დიდი თვალნათელი დადასტურებაა აღნიშნული შეხედულების მცდარობისა. არანაირ რეპრესიებს არ შეუძლიათ ჩაახშონ საერთო სისხლისსამართლებრივი დანაშაული, მაგრამ შეიძლება ითქვას, გარკვეული დროით (საშუალოდ 4-5 წლით) შეუძლია შეამციროს დანაშაულებათა რიცხვი.

მე დარწმუნებული ვარ, რომ სასჯელით დაშინებას შეუძლია დანაშაულის ჩადენისაგან შეაკავოს მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი (ეს რიცხვი სხვადასხვა ავტორების მონაცემებით მერყეობს 1/4 %-დან 20 - 24 %-მდე). ამასთან

---

1. ინწკირველი გ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. თბილისი, ტ. 3, 1992 წ. გვ. 79.
2. См.Мишкевич. Принцип соответствия наказания общественной опасности преступ-ления в советском уголовном праве. Автореферат. дис. канд. юр. наук.-Томск, 1985.с.13.

ერთად მეცნიერთა მრავალწლიანი გამოკვლევები და ყოველდღიური დაკვირვებები შესაძლებლობას იძლევა ითქვას, რომ სასჯელის შიშს დამნაშავეობრივი ცხოვრებით მცხოვრები პიროვნება მიჰყავს ეშმაკური, შენიღბული მოქმედებებისაკენ, (დანაშაულებრივი კვალისა და ამ გზით მოპოვებული საგნების საგულდაგულოდ დაფარვისა და გადამალვისაკენ, რაც დიდ დაბრკოლებას უქმნის საგამომძიებლო ორგანოებს).

როდესაც საუბარია დანაშაულებათა ზოგადი არიდების მიზნით მიღწევის შესახებ, მხედველობაში უნდა გვქონდეს, თუ როგორ არის ინფორმირებული მოსახლეობა ამა თუ იმ დანაშაულებრივი ქმედებისათვის განსაზღვრული სასჯელის ზომის შესახებ, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ვ.ნ. კუდრიავცევი სწავლობდა რა აღნიშნულ პრობლემას, გამოყო დანაშაულის იურიდიული შეფასების სამი წარმოსახვითი ელემენტები.

პირველყოვლისა, დანაშაულებრივი ქმედებისათვის არსებული სასჯელის ზოგადი ცოდნა, მეორე—კონკრეტული დანაშაულისათვის არსებული სასჯელის სიმკაცრის ხარისხის ცოდნა; მესამეც—სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდაუვალობის წარმოდგენა.[1]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში იურიდიული სასწავლებლები საკმაოდ მომრავლდა, ყოველდღიური დაკვირვებები და გამოკითხვები საშუალებას იძლევიან დავადასტუროთ თეზისი მოსახლეობის დიდი ნაწილის იურიდიული გაუნათლებლობისა და იურიდიული ნიჰილიზმის შესახებ. მართალია დღეს საქართველოში მიმდინარეობს სისხლის-სამართლებრივი და საერთო სამართლებრივი რეფორმა, ამან ხელი არ უნდა შეუშალოს ინფორმაციისა და ცოდნის მიღებას, არ უნდა ჩამოაყალიბოს სამართალდამ რღვევთა ძირითად მასაში შეხედულება სამართალდამცავთა სისუსტისა და მძიმე დანაშაულებათა გაუხსნელობის, სასჯე-

3. Кудрявцев В.Н. Право и поведение-М., 1978, - с. 139.

ლის გარდაუვალობის პრინციპის არსებობის შესახებ. დანაშაულებათა ზოგადი არიდების პრინციპის განხორციელების დროს ძირითადი ადგილი უნდა ეჭიროს პრესასა და ტელევიზიას, მაგრამ მძიმე დანაშაულებათა გაუხსნელობის ხშირი გადმოცემა იწვევს სამართალ დამრღვევთა პირადი გამოცდილების ამაღლებას და ზოგადი არიდების ეფექტურობის დაწევას.

ზემოთ ლაპარაკი იყო ტ. სელინის საინტერესო გამოკვლევების შესახებ, რომელიც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სიკვდილის დასჯით დაშინება ვერ იმოქმედებს მკვლელობათა დინამიკაზე. მეორე ამერიკელი მეცნიერი ი.ერლიხი მივიდა სრულიად საპირისპირო შედეგებამდე. მისი აზრით დამოკიდებულება, დამნაშავის სიკვდილით დასჯასა და პოტენციურ მსხვერპლთა შორის, რომლებიც შეიძლებადაც გადარჩებოდნენ ამ სასჯელის ადრე გამოყენებით, მერყეობს 1-დან 8-მდე (ამერიკის შეერთებულ შტატებში 1933-1967 წლეების განმავლობაში).[1]

ი. ერლიხმა შემოგვთავაზა სიკვდილით დასჯის დამაშინებელი ეფექტის განსაზღვრის ფორმა. მის მიერ გამოიყენებოდა ისეთი მაჩვენებლები, როგორებიცაა დაკავების შესაძლებლობა, დაკავების შემდეგ სასჯელის დადების შესაძლებლობა, სიკვდილით დასჯის გამოყენების შესაძლებლობა, უმუშევრობის კოეფიციენტი და სხვა. ი.ერლიხის დასკვნები სიკვდილით დასჯის სერიოზული დამაშინებელი ზეგავლენის შესახებ არ დადასტურდა სხვა მეცნიერების კვლევებში. მეტიც, გ.ი. ალბრეხტმა 50 სიტუაციისაგან შედგენილი კითხვების მიხედვით გერმანიის 846 მოქალაქე გამოკითხა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კანონმორჩილი

---

1. См. Полубинская С.В. Цели и поведение.-М., 1990. с. 58.

ან დანაშაულებრივი ქცევის აცსნისათვის სასჯელის დამაშინებელი ზემოქმედების წილი ძალიან მცირეა.[1]

აქედან გამომდინარე, სასჯელზე, როგორც ზოგადად გამაფრთხილებელ მნიშვნელობაზე, ზუსტი ცოდნის მიღება დღევანდელ დღემდე არ მოხერხდა. ადამიანის ქცევაზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უამრავი ფაქტორი მოქმედებს. სასჯელის გამაფრთხილებელი მნიშვნელობის განსაზღვრის დამაჯერებელი მეთოდების შემუშავებისათვის მუშაობა უკვე მიდის. ერთი პირობა უნდა იყოს დაცული აუცილებლად. ადამიანის დასჯა პიროვნების ინდივიდუალურობის გაუთვალისწინებლად დაუშვებელია.

განვიხილოთ დანაშაულის არიდების სპეციალური მიზანი. ის, როგორც სისხლისსამართლებრივი სასჯელის მიზანი, გამოიხატება ახალი დანაშაულის ჩადენის აცილებაში იმ პირების მიერ, რომლებმაც უკვე ჩაიდინეს დანაშაული და არიან ბრალდებულნი (სისხლის სამართლის კოდექსის (პროექტი) მე-40 მუხლი).

დანაშაულის არიდების სპეციალური მიზანი მჭიდროდ არის დაკავშირებული გამოსწორების მიზანთან, მაგრამ აქვს დამოუკიდებელი შინაარსი და მნიშვნელობა. მაგალითად, როდესაც სახელმწიფო გამოიყენებს სასჯელის ისეთ ღონისძიებას, როგორიცაა უვადო თავისუფლების აღკვეთა, ის ამ დროს განახორციელებს რა ახალი დანაშაულის არიდების პრინციპს, კარგავს მსჯავრდებულის გამოსწორების ყოველგვარ იმედს.

ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი შეხედულება დანაშაულის არიდების სპეციალური მიზნის შინაარსის შესახებ. ერთ შემთხვევაში აღნიშნულია სპეციალური მიზნის კავშირი გამოსწორებასთან.[2] მეორე შემთხვევაში

---

1. Устинов В.С. Система предупредительного воздействия на преступность и уголовного- правовоя профилактика.- М., 1983.- с. 51.
2. Полубинская С.В. Указ. соч.-с. 65

მტკიცდება ამ ორი მიზნის დამოუკიდებლობა.[1]

ი.ი. კარპეტი განმარტავს რა სასჯელის დადების დროს დანაშაულის არიდების სპეციალურ მიზანს, გამოყოფს აღნიშნული მიზნის განხორციელებისათვის შემდეგ ხერხებს: ახალი დანაშაულის ჩადენისათვის დამნაშავისათვის ფიზიკური შესაძლებლობის ჩამორთმევა; დამნაშავეზე ფსიქიკური ზემოქმედება, დაშინება.[2]

მ. დ. შარგოროდსკი დამატებით განსაზღვრავს, რომ ფსიქიკური ზემოქმედება უზრუნველყოფილია მხოლოდ ისეთი სახის სასჯელების გამოყენებით, როგორებიცაა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და რაიმე თანამდებობების დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.[3]

დამნაშავისათვის ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის ჩამორთმევას უზრუნველყოფს სასჯელის ისეთი ზომები, როგორებიცაა უვადო თავისუფლების აღკვეთა და ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. უწყებრივი მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ასეთ სასჯელებს ენიჭებათ უპირატესობა, რადგანაც პირები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული, არიან საიმედოდ იზოლირებულნი და იმყოფებიან კონტროლის ქვეშ. თითქოსდა პრობლემური საკითხი გადაწყვეტილია. სამწუხაროდ ასე არ არის. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა სამართალდამრღვევ პირს დაა-კავებს ახალი დანაშაულის ჩადენისაგან მხოლოდ იმ ვადით, რა ვადითაც განესაზღვრა მას სასჯელის მოხდა თავისუფლების აღკვეთით.

---

1. Титов Н.И.Соотношение воспитательной цели наказания и частичного предупреждения. // Проблемы борбы с преступностю. Источник, 1970.- 71-72.
2. Корпец И. И. Наказание, социальные, правовые и криминологические проблемы, - М., - с. 156-158
3. ШаргородскийМ. Д. наказание по советскому уголовному праву.-М., 1958 - . 44.

მაგრამ ამასთან ერთად არ შეიძლება აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გამოყენება იმ პირების მიმართ, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს გაუფრთხილებლობით არამძიმე, მსუბუქი დანაშაული და რომლებსაც არ გააჩნიათ რაიმე დანაშაულებრივი გამოცდილება, გამოუსწორებადი მსჯავრდებულების ხარჯზე გამო იწვევს დანაშაულებათა ზრდის პროვოცირებას. სუსტი ნებისყოფის მქონე ადამიანი დამყოლია და უმრავლეს შემთხვევაში, თავისი სურვილისდა მიუხედავად შეიძლება მოხდეს სხვისი გავლენის ქვეშ. ასეთი მსჯავრდადებულის დამოკიდებულება სასჯელისადმი განისაზღვრება შემდეგი ელემენტებით:

1. პირველად მსჯავრდადებული განიცდის სასჯელს.
2. შეიგნებს თავის ჩადენილ დანაშაულს და სასჯელის სამართლიანობას.
3. სასჯელის აღქმა სოციალური მნიშვნელობით.
4. ჩადენილი დანაშაულის მონანიება.
5. სასჯელის მოხდის აუცილებლობის შეგნება.

მათზე გამასწორებელი ხასიათის ზემოქმედება შედარებით ადვილია და ეფექტური.[1]

მეცნიერების მრავალრიცხოვანი დაკვირვებებით მტკიცდება, რომ პიროვნებას, ადრე გადატანილი მკაცრი სასჯელის გამოცდილება არ უქმნის არავითარი შიშის გრძნობას შემდგომი დანაშაულის ჩადენისას. ამავე დროს მშობლები აღნიშნავენ, რომ მათი შვილები, ერთი ან მეტი წლის თავისუფლების აღკვეთის შემდეგ, სახლში ბრუნდებიან საერთოდ გამოცვლილები, გაუჩნდათ პიროვნების დამახასიათებელი ისეთი უარყოფითი თვისებები, რაც თავისუფლების აღკვეთამდე მათ არ გააჩნდათ.[2]

---

1. Хочикиян А. М. " Исполлнение наказания в отнешении лиц, впервые осужденные к лишению свободи." Авторефе-рат дис. канд. юрид. наук.- М. 1994 - с.22
2. Костьрев В. И. "Цели наказания". - Уфа, 1995. с- 23

აღნიშნულიდან გამომდინარე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება არსებობდეს წინააღმდეგობები უწყებრივ ინტერესებსა და ფართო სოციალურ შედეგებს შორის. ასეთი წინააღმდეგობა კი ნათლად ჩანს ბოლო ათი წლის რეალობაში. პირველყოვლისა საუბარია დანაშაულებათა ზრდასა და დამნაშავეთა პროფესიონალიზმის ამაღლებაზე. ამიტომაც ჩემის აზრით, უნდა გადამოწმდეს სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებებში, რეჟიმის მიხედვით, მსჯავრდადებულთა განთავსების პრინციპი.

სისხლის სამართლებრივმა სასჯელმა არა მარტო უნდა გამოასწოროს დამნაშავე, ასევე უნდა აღადგინოს დარღვეული სოციალური სამართლიანობა, გამოასწოროს მიყენებული ზიანი. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში გერმანელი მეცნიერი ფელკერი, სწავლობდა რა მიყენებული ზიანის გამოსწორების თეორიას, დასახა 7 კერძო მიზანი:

1. მორალური გამოსწორება.
2. იურიდიული გამოსწორება.
3. თანამემამულეთა პატივისცემისა და ნდობის აღდგენა.
4. კანონისადმი მორალური, იურიდიული პატივისცემის აღდგენა.
5. დაზარალებულის ღირსებისა და პატიოსნების აღდგენა.
6. დაზარალებულში მართლზომიერი ნებისყოფის აღდგენა.
7. სახელმწიფოს გაწმენდა გამოუსწორებადი პირებისაგან.

სოციალური სამართლიანობის აღდგენა დღეისათვის დიდად აქტუალური პრობლემაა და მიმართული უნდა იყოს სამართლის ყველა დარგისაკენ, და არა მარტო სამოქალაქო სამართლისაკენ. მართალია, სასჯელს არ შეუძლია გააცოცხლოს მოკლული, დაუბრუნოს ჯანმრთელობა ფიზიკურად, მძიმედ დაზარალებულს, მაგრამ მას შეუძლია ხელი შეუწყოს ქონების ან მასზედ უფლებების დაბრუნებას, აღდგე-

ნას, დაზარალებულის მიერ მატერიალური ან მორალური ზიანის ტოლფასის მიღებას. ბოლო დროს, დაზარალებულთა მხრიდან ძლიერდება ტენდენცია, მიდრეკილება მიმართული მკაცრი სასჯელის გამოყენების წინააღმდეგ ძირითადად იმ პირთა მიმართ, რომლებმაც აანაზღაურეს მატერიალური ზიანი. სარჩელის გადამდე დაფარვა კი არის ერთ-ერთი პირობა სასჯელისაგან ვადამდე გათავისუფლებისათვის ან კანონით გათვალისწინებული უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნისათვის.

აღნიშნული მიზნის კანონით გამაგრება ხელს შეუწყობს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებისა და თავისუფლების რეალიზაციას. დღევანდელ დღეს არსებული სასჯელის სისტემა და მისი გამოყენების პრაქტიკა დაზარალებულ პირზე არავითარ ორიენტირებას არ აკეთებს. ასე მაგალითად, ჯარიმის გამოყენების დროს დაზარალებული არაფერს არ ღებულობს, როდესაც ლოგიკური იქნებოდა ჩასმულიყო კანონში ნორმა, რომელიც დაუშვებდა ჯარიმის ოდენობის შემცირებას, სასამართლო განხილვამდე მატერიალური ან მორალური ზიანის აღდგენის შემთხვევაში, შეიძლებოდა და სასარგებლოც იქნებოდა გაზრდილიყო სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების რიცხვი, რომლებითაც სისხლის სამართლის საქმე აღიძვრებოდა მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველით (კერძო ბრალდებით), რაც სტიმულს მისცემდა სამართალდამრღვევებს მიყენებული ზიანის გამოსწორებისათვის. ასეთი პრაქტიკა არსებობს და გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში.[1]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (პროექტი) 72-ე მუხლის მიხედვით ვინც პირველად ჩაიდინა წვრილმანი დანაშაული შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დანაშაულის

1. "Государство и право" М. 1994, № 6 - с. 44-46.

ჩადენის შემდეგ აანაზღაურა ზარალი ან სხვაგვარად აანაზღაურა ზიანი. 73-ე მუხლის მიხედვით კი, ვინც პირველად ჩაიდინა წვრილმანი დანაშაული, გათავისუფლდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თუ იგი შეურიგდა დაზარალებულს.[1]

მიმაჩნია, რომ თუ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი არ გამოიწვევს მსჯავრდადებულის, დაზარალებულისა და მათი ახლობლების მხრიდან, ე.ი. ვისაც ყველაზე მეტად ეხება, მკვეთრ პროტესტს, მაშინ, შეიძლება ითქვას, სამართლიანობის აღდგენის მიზანი მიღწეულია. აღნიშნული მიზნის მიღწევა შეიძლება ადვილად შემოწმდეს, პირველყოვლისა, სამართლიანობის დარღვევის მოტივით განაჩენების გასაჩივრების ან გაუქმების სტატისტიკური მონაცემებით და მეორეც, სისხლის სამართლის კოდექსის (პროექტი) 59-ე მუხლის გამოყენების სიხშირით, რომელიც ითვალისწინებს კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნას.

ამრიგად, სისხლის სამართლის და საერთო სამართალწარმოების წინაშე მდგარი უამრავი ამოცანა და ფუნქცია განაპირობებს კანონში სასჯელის სხვადასხვა მიზნების განმტკიცებას, რაც თავის მხრივ აყალიბებს ძირითადი და დამატებითი სასჯელების სისტემას და ხელს უწყობს კონკრეტული საქმის ყველა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით მართლმსაჯულების აღსრულებას.

---

1. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა". 1997 წ. 21 აგვისტო №№ 203-204.

§ 3. სასჯელის გამოყენების ეფექტურობა

სასჯელის მიზნებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სასჯელის გამოყენების ეფექტურობის საკითხი, რაც იურიდიულ მეცნიერებაში წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად პრობლემას. ის არის მთლიანობაში აღებული სისხლის სამართლის ეფექტურობის პრობლემის შემადგენელი ნაწილი. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულ პრობლემასთან მიდგომის სხვადასხვა ასპექტი არსებობს.

ასე მაგალითად, პროფესორი იაკოვლევი წერდა სისხლის სამართლის კანონის ეფექტურობის შესახებ.[1] შარგოროდსკი, სასჯელის გამოყენების ეფექტურობის შესახებ,[2] ხოლო ნატაშევი და სტრუჩკოვი სწავლობდნენ დანაშაულებებთან ბრძოლაში, სისხლისსამართლებრივი ზომების გამოყენების ეფექტურობის პრობლემებს.[3]

საერთოდ აღებული, სასჯელის გამოყენების ეფექტურობის პრობლემების გამოკვლევასთან ერთად, სხვადასხვა დროს, აღინიშნებოდა ტენდენცია კონკრეტული სახის სასჯელის, პირველყოვლისა თავისუფლების აღკვეთის

---

1. Яковлев А.М. "Социальная эффективность уголовного закона". Советское
   госуда- рство и право, 1967. №10.-с.75
2. См. шаргородский Н.Д. "Наказание, его цели и эффективность". - Л 1973.
   Карпец И.И. "Об эффективности уголовного наказания".
   Социалитическая законность. 1966 - "№ 5
3. См. Наташев А.Е., Стручков Н.А. "Об эффективности уголовного правовыа мед баррбы с приступностю. В кн. "Эфективностью".-М., 1968

ეფექტურობის პრობლემის გამოკვლევისაკენ. მსოფლიოში მიღებულია აღნიშნულის მხრით გამოკვლევების სხვადასხვა შედეგები, მაგრამ საკმაოდ რთული არის გამოინახოს სასჯელის ეფექტურობის განზომილების საიმედო მაჩვენებლები. სოციომეტრიული მეთოდების საიმედო შემუშავება, რის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდებოდა სასჯელის გამოყენების ხარისხის განსაზღვრა დანაშაულებათა დინამიკის მიხედვით, - ეს მომავლის საქმეა, როგორიც საჭირო და აუცილებელი, ასევე ძნელი და შრომატევადი. ბოლო წლების მეცნიერთა ნაშრომებიც ამ აზრს ამტკიცებენ.[1]

სასჯელის ეფექტურობის ცნება ნიშნავს მისი სასარგებლო მოქმედების კოეფიციენტს, რომელიც გამომდინარეობს, კანონით გათვალისწინებული, სასჯელის მიზნების მიღწევის საერთო კოეფიციენტიდან. თითოს სასჯელის გამოყენების ეფექტურობის განსაზღვრის ყველაზე საიმედო მეთოდი მდგომარეობს საერთო და რეციდიული დამნაშავეობების სტატისტიკურ მონაცემებში. ასეა, თუ სისხლის სამართლებრივი სანქციის გამოყენების შემდეგ კლებას იწყებს საერთო და რეციდიულ დანაშაულებათა რიცხვი, მაშინ შეიძლება საუბარი სასჯელის მოქმედების დადებით მხარეზე და შეიძლება სასჯელის სიმკაცრისა თუ სიმსუ-ბუქის კოეფიციენტის დაკავშირება დანაშაულებათა სტრუ-ქტურაზე და დინამიკაზე. ასეთი მიდგომა მართალია მნიშვნელოვანია, მაგრამ არა საკმარისი მისი დამტკიცების თვალსაზრისით. ის არ ითვალისწინებს მნიშვნელოვან და პირველყოვლისა სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებიც დიდ ზეგავლენას ახდენენ დანაშაულებათა მონაცემებზე. შეიძლება ითქვას, რომ რეციდიულ დანაშაულებათა სტატისტიკური მონაცემები შედარებით საიმედოა, რადგან შესაძლებელი ხდება გაკეთდეს ერთგვარმნი-

1. См. Полубинская С.В. "Цели наказания".,-М., 1990-с.71,57-59

შვნელოვანი დასკვნა იმის შესახებ, რომ სასჯელმა ვერ აარიდა, ვერ შეაკავა პიროვნება, რომელმაც ადრე მოიხადა სასჯელი, ახალი დანაშაულის ჩადენისაგან. დღესდღეობით ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასჯელის გამოყენება იყო არაეფექტური, რადგანაც კანონით განსაზღვრული სასჯელის ზოგიერთი მიზანი მიღწეულია.

ასე მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის სახით, სასჯელის მოხდის დროს მიიღწევა, კანონმორჩილ პირებისადმი, სასჯელის დამაშინებელი ზემოქმედების მიზანი და ამით მტკიცდება მისი გარდაუვალობის პრინციპი. საზოგადოების უშიშროება უზრუნველყოფილია იმ დროით მაინც, რა დროითაც დამნაშავე იმყოფება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ე.ი. იზოლირებულია საზოგადოებისაგან.

ამასთან ერთად, სასჯელის გამოყენების ეფექტურობის შეფასებისას, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს იმ ფასზე, რაც გაღებული იყო დანაშაულებათა შემცირებისათვის. რუსეთის დედოფალს ეკატერინე მეორეს ეკუთვნის შემდეგი გნამონათქვამი: "თუ ყველა ბოროტების აღმოფხვრა შეუძლებელი ხდება, მაშინ დასაშვებია მინიმალური ზიანის გაღება".

საბჭოთა სისხლის სამართლის ისტორიაში გადამეტებული რეპრესიების მაგალითად შეიძლება მოყვანილი იქნას 1932 წლის 7 ივლისის კანონი "სახელმწიფო დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და კოოპერაციების ქონების დაცვისა და სახელმწიფო (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების შესახებ". აღნიშნული კანონით საკოლმეურნეო საკუთრება გატოლებული იყო სახელმწიფო საკუთრებასთან. დანაშაულებათა ყოველგვარი დიფერენცირების გარეშე, სახელმწიფო თუ საკოლმეურნეო საკუთრების დატაცების შემთხვევაში (წვრილმანი თუ დიდი მასშტაბებით) გათვალისწინებული იყო სასჯელის მკაცრი ღონისძიება, გამოიყენებოდა სიკვდილით დასჯაც. მასიური რეპრესიებისათვის სისხლის სამართლის კანონმდებლობის გარდა აქტიურად გამოიყენებოდა ადმინისტრაციული სამართლის

ნორმებიც - 10 წლამდე გასახლების სახით. ასეთი ღონისძიებების თუ სასჯელის ზომების გამოყენება, რა თქმა უნდა ხელს უწყობდა და ამტკიცებდა ჩვენს საზოგადოებაზე, ადმინისტრაციულ-ბრძანებლობითი სისტემის მიერ, თავს მოხვეულ წყობას. შეიძლება ამ დროს ვილაპარაკოთ სასჯელის გამოყენების ეფექტურობის შესახებ? კითხვაც ამაშია.

ავიღოთ თუნდაც ჰიტლერის დროინდელი კანონები, რომლებიც განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდნენ. მსუბუქ დანაშაულზეც მკარი სასჯელის გარდა, განსაზღვრული იყო დამნაშავის ინტერნირება, რაც შეიძლება გაგრძელებულიყო იქამდე, "სანამდე საჭიროება მოითხოვდა", ე.ი. ძირითადი ვადის გასვლის შემდეგ კიდევ რამოდენიმე წლით (1933 წლის 24 ნოემბრის კანონი). ჰიტლერის დროინდელი სასამართლოები განსაზღვრავდნენ დანაშაულს როგორც შთამომავლობით გადამცემ დაავადებას, ხოლო დამნაშავეს კი მიიჩნევდნენ ამ დაავადების ძირითად გადამტანად და ხშირად გამოიყენებდნენ კასტრაციასა და სტერილიზაციას. ასი ათასობით ადამიანი იქნა დასჯილი ასეთი სასტიკი მეთოდით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1928-1930 წლებში მიღებული კანონებით განმეორებითი დანაშაული (რეციდივი), შასაბამისი მუხლის მიხედვით გამოიწვევს სასჯელის ვადის გაორმაგებულ გამოყენებას (ყოველ შემთხვევაში არა მაქსიმუმზე დაბლა); თუ პიროვნება ჩადის მეოთხეჯერ დანაშაულს, მას ემუქრება სამუდამო პატიმრობა (ან სხვადასხვა შტატის კანონებით-15 წლიდან სამუდამო პატიმრობამდე).[1]

თუ სასჯელის გამოყენების ეფექტურობა საერთოდ განისაზღვრება ფაქტობრივი სისტემით და გარკვეული დროის განმავლობაში შეიძლება დაკვირვების წარმოება

1. З. М. Черниловский, Всеобшая история государство и права,-М., 1996 -с, 551.

მთელი ქვეყნის ან რეგიონის მასშტაბით, მაშინ კონკრეტული სახის სასჯელების გამოყენების ეფექტურობის განსაზღვრა, როცა არსებობს ინფორმაცია პიროვნების მსჯავრამდე და მსჯავრის შემდეგ ქცევის შესახებ, სავსებით აადვილებს და შესაძლებლობას იძლევა, მიღებული იქნას საკმაოდ ზუსტი შედეგები და დასკვნები.

70-იანი წლების დასაწყისში ბოგდანოვი სწავლობდა რა თავისუფლების აღკვეთის გარეშე გამასწორებელი სამუშაოების გამოყენების ეფექტურობას, აღნიშნავდა: "სასჯელის მოხდამ არა მარტო უნდა გამორიცხოს რეციდივი, ამავდროულად სამართალდამრღვევი უნდა გადააქციოს სამაგალითო მოქალაქედ".[1]

მრავალწლიანი გამოკვლევების შედეგებს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ გამასწორებელი სამუშაოების გამოყენების ეფექტურობის კრიტერიები არ შეიძლება იყოს ერთმნიშვნელოვანი. გამასწორებელი სამუშაოების გამოყენების ეფექტურობა იზრდება, თუ ასეთი სასჯელის ზომა ენიშნება პირებს, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს არამძიმე, მსუბუქი დანაშაული, განიცდიან მომხდარის შესახებ და ამავდროულად, ადრე არ შეიმჩნეოდნენ არავითარ საძრახისობაში.

პირები, რომლებზეც გამასწორებელი სამუშაოების სახით მსჯავრის დადებამდე გამოყენებული იქნა ზემოქმედების სხვადასხვა. ზომები, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით იძლევიან რეციდივს 58%-დან 81,5%-მდე. ამ კატეგორია პირების მიერ სასჯელი, გამასწორებელი სამუშაოების სახით, აღიქმებოდა როგორც მორიგი დატუქსვის მცდელობა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი მსჯავრდებული საჭიროებს განსაკუთრებით მკაცრ კონტროლს სინდისის, პატივისცემისა და შიშის „გამოღვიძებისათვის".

---

1. Богданов В. Я. "Об эффективности исправительных работ", Вестник московского университета, 1973- № 3-с. 61

სასჯელის გამოყენების ეფექტურობის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია დღევანდელ დღეს, როცა ხორციელდება სისხლის სამართლებრივი რეფორმა. კიდევ არსებობს შესაძლებლობა, რათა ახალ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გათვალისწინებული იქნას დანაშაულებებთან ბრძოლაში, სასჯელის გამოყენების მხრით, მსოფლიო მეცნიერების ყველა პრაქტიკული მიღწევები. ამ შესაძლებლობის გამოყენებაზე დამოკიდებული იქნება პასუხი იმ კითხვაზე, მიიღებს კი საზოგადოება და სახელმწიფო სისხლისსამართლებრივი იუსტიციის ეფექტურ სისტემას თუ განაგრძობს ადამიანის ბედის შემდგომ დასახიჩრებას და დარჩება არაეფექტური სასჯელის მიზნების მიღწევის თვალსაზრისით. სასჯელის გამოყენების ეფექტურობის განსაზღვრა შესაძლებლობას მოგვცემს შევაფასოთ სისხლის სამართლებრივი იუსტიციის ორგანოების მოღვაწეობა, ორგანოების, რომლებიც აღასრულებენ სისხლისსამართლებრივ სასჯელს, განვაზოგადოთ და გავავრცელოთ დადებითი გამოცდილება, ავიცილოთ უარყოფითი მხარე.

თავი 3

სასჯელის აღსრულება და სამართლებრივი სახელმწიფო

§ 1. სასჯელის აღსრულება თანამედროვე ეტაპზე

როგორც უკვე ავღნიშნეთ, სასჯელის აღსრულება თავისუფლების აღკვეთის სახით შედის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ სასჯელის სახეების საერთო სისტემაში. სასჯელის სხვადასხვა სახეებთან შედარებით, თავისუფლების აღკვეთა არის სისხლისსამართლებრივი იძულების არაორდინალური ზომა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სასჯელის აღნიშნული ღონისძიება, კრიტიკული თვალსაზრისით, იპყრობს ყველას განსაკუთრებულ ყურადღებას. კრიტიკა შეიძლება დავიყვანოთ ორ ვითარებაზე: პირველყოვლისა, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გამოიყენება მსჯავრდადებულებთან მოპყრობის ანტიჰუმანური მეთოდები: მეორეც, ყოფილი დამნაშავეები თავისუფლდებიან არა თუ გამოსწორებულები, არამედ უკეთესად მომზადებულები შემდგომი დანაშაულებრივი ქმედებისათვის.

მოქმედ შრომა-გასწორების კანონმდებლობაში მსჯავრდადებულთა გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის ძირითად საშუალებად დასახელებულია: სასჯელის მოხდის რეჟიმი, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური სწავლება.

მოქმედი კანონმდებლობის საფუძვლების ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ სასჯელის მოხდას თავისუფლების აღკვეთის სახით, ძირითადად ორიენტირებულია

მსჯავრდადებულთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდაზე. მხოლოდ ზოგიერთი მათგანი თავისი შინაარსით გამოდის გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის რეგულირების უშუალო პროცესის საზღვრებიდან. ასეთი ნორმებია, მსჯავრდებულთა მატერიალური პასუხისმგებლობა (მუხლი 35), მათი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო-სანიტარული უზრუნველყოფა (მუხლები 36, 37), მათი უსაფრთხოების ზომები (მუხლი 39. საფუძვლები).

თავისუფლების აღკვეთის სახით, სასჯელის აღსრულება გამოიხატება შესაბამისი წესის მკაცრ დაცვაში-კანონმდებლობით დადგენილი სასჯელის აღსრულების რეჟიმი, სადაც კონცენტრირებულია თავისუფლების აღკვეთიასათვის დამახასიათებელი უფლება-შეზღუდვები. სწორედ რეჟიმი არის საფუძველი სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულებების სრული ფუნქციონირებისა. რეჟიმის სათანადო მოთხოვნების დაუცველობა გამოიწვევს მსჯავრდებულთა გამოსწორებისათვის სხვადასხვა ხერხებისა და საშუალებების გამოუყენებლობას. ასეთ შემთხვევაში თვით თავისუფლების აღკვეთაც დაკარგავს სასჯელის მნიშვნელობას. ამრიგად, რეჟიმი თავის მხრივ წარმოადგენს მსჯავრდადებულთა თავისუფლების აღკვეთის სამართლებრივი მდგომარეობის ფაქტორს.

როგორც უკვე იყო აღნიშნული წინა პარაგრაფში, ადრეულ ისტორიულ ეპოქაში, შუა საუკუნეებში ძირითადი გათვლა კეთდებოდა იმაზედ, რომ სისხლის სამართლებრივი სასჯელის მეშვეობით დამნაშავისათვის მიეყენებინათ სხვადასხვა ფიზიკური დაზიანებები, შეერყიათ მისი ჯანმრთელობა, ზიანი მიეყენებინათ მის პიროვნებაზე და სოციალურ მდგომარეობაზე. რა თქმა უნდა აზრი, დანაშაულით მიყენებული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების შესახებ, უკვე დიდი ხანია აძლევს ისტორიულ განვითარებას ახალ ასპექტებს. საზოგადოება არასდროს არ ცდილობდა ძველ ზარალზე რაღაც ახლის დამატებას.

ჩვენს ქვეყანაში სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებასთან დაკავშირებით ისმება საკითხი პრინციპის რეალიზაციის შესახებ. "ნებადართულია ყველაფერი, რაც არ არის აკრძალული კანონით". მაგრამ აქვს კი აღნიშნულ პრინციპს აბსოლუტური ხასიათი? კერძოდ, დასაშვებია თუ არა მისი რეალიზაცია თავისუფლების აღკვეთის დროს, მსჯავრდადებულთა სამართლებრივი მდგომარეობის ჩარჩოებში?

მოქალაქეთა მონაწილეობისას სამოქალაქო-სამართლებრივ და ოჯახურ ურთიერთობებში ე.ი. მათი შრომითი მოღვაწეობის პირობებში პრინციპი მოქმედებს, მაგრამ საეჭვოა ის მისაღები იყო იმ ურთიერთობებში, რომლებშიც მონაწილეობს განსაკუთრებული ვალდებულებების მქონე მოქალაქე ე.ი. სპეციალური სუბიექტის არსებობის შემთხვევაში. მსჯავრდადებულიც სპეციალური სუბიექტია. ის უნდა იქცეოდეს იზოლირების პირობების მოთხოვნების შესაბამისად, რითაც შემდგომში იძენს სპეციფიკურ უფლებებს (მაგალითად, ახლო ნათესავებთან შეხვედრის უფლება, მიმოწერისა და ამანათის მიღების უფლება და ასე შემდეგ). მას გააჩნია სპეციფიკური მოვალეობებიც: არ დაარღვიოს იზოლირების მოთხოვნები, დაიცვას თავისუფლების აღკვეთის ადგილებში დადგენილი რეჟიმი და სხვა. თავისუფალი ცხოვრების პირობებში აზრი არა აქვს აღნიშნული სპეციფიკური უფლებებისა და მოვალეობის შესახებ საკითხის დასმას. ხოლო კოლონიებში, საბყრობილეებში მსჯავრდადებულს სარგებლობს შეზღუდული უფლებებით. ამიტომაც ის პირველ რიგში ასრულებს იმას, რაც მას მოეთხოვება, თავისუფლების აღკვეთის პირობებში მისი ცხოვრება მკაცრად რეგლამენტირებულია კანონით დადგენილი რეჟიმის მიხედვით. მსჯავრდადებულს შეუძლია მოიქცეს ისე, როგორც მას სურს, მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც არ არის კანონით რეგლამენტირებული. თავისუფლების აღკვეთის სახით, სასჯელის არსებობის აზრიც სწორედ ამაშია. მსჯავრდადებული დაცული უნდა იყოს ხელოვ-

ნურად შექმნილი სიძნელეებისაგან. საჭიროა დაფიქრება იმ შეზღუდვების არსზე, რომლებიც გამოხატავენ თავისუფლების აღკვეთის რეჟიმს. ესენია მაგალითად, პაემანის რიცხობრივი ნორმა, დამატებითი კვების პროდუქტებისა და პირველადი საჭიროების ნივთების შეძენისათვის ფულის ხარჯვის ნორმა, ამანათების, გადაცემებისა და ბანდეროლების მიღების ნორმები, მიმოწერის ნორმა. აღნიშნული ნორმები დღესდღეობით სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებებში დგინდება თვითნებურად, მაშინ როცა ისინი უნდა ეყრდნობოდნენ პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, მედიცინისა და სხვა მეცნიერებათა დასაბუთებულ მონაცემებს. სამართლებრივ ნორმებში ასახულმა მეცნიერული კვლევის შედეგებმა უნდა განსაზღვრონ აუცილებელი წესები და არა პიროვნებებმა თავიანთი შეხედულებების მიხედვით.

ყოველად დაუშვებელია მსჯავრდადებულის მახსრად აგდება, მისი პირადი ღირსების წინასწარგანზრახულად დაკნინება, კანონით გაუთვალისწინებელი იძულებითი ზომების გამოყენება. სასჯელის აღსრულების რეჟიმი ვარაუდობს მსჯავრდადებულის უფლებების პატივისცემას, ამასთან ერთად ასრულებს რა გამასწორებად ფუნქციას, მსჯავრდადებულისაგან მოითხოვს განსაზღვრულ ქცევას, ადმინისტრაციასთან და ერთმანეთთან ურთიერთობის წესების და საერთო ცხოვრების წესების დაცვას.

რეჟიმი მკაცრად არის რეგლამენტირებული სამართლებრივი ნორმებით. მსჯავრდადებულთა გამოსწორების დანარჩენი ძირითადი საშუალებები ატარებენ არასამართლებრივ ხასიათს. კანონში შეიძლება მათი დასახელება, ფორმებისა და ამოცანების განსაზღვრა დეტალიზაციის სხვადასხვა ხარისხით. სამართლის ნორმებით საკმაოდ სრულად შეიძლება დარეგულირება მსჯავრდადებულის შრომის პირობებისა, და სწავლების ზომებთან დაკავშირებული უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა. მაგრამ, თვით საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, ზოგადსაგანმანათლებ-

ლო და პროფესიულ-ტექნიკური სწავლება, ატარებს არა-სამართლებრივ ხასიათს.

იქმნება პარადოქსული სიტუაცია: სასჯელ-აღსრულებითი კანონმდებლობა ისახავს რა მიზნად მსჯავრდადებულის გამოსწორებასა და აღზრდას, ფაქტიურად ჩამორთმეული აქვს შესაძლებლობა გადაწყვიტოს აღნიშნული ამოცანა. სამართალს არ შეუძლია რეგლამენტირება გაუკეთოს პედაგოგისა და ფსიქოლოგიის პროფესიონალურ ზემოქმედებას მსჯავრდადებულზე. ამიტომ ხომ არ არის სასჯელის გამოყენების გამოსწორებადი ეფექტი?

სასჯელი გამოიხატება თავისუფლების შეზღუდვაში და სხვა არაფერში. მსჯავრდადებული დავადანაშაულოთ შემდგომი ვნებისა და ზიანის მიყენებისათვის - დაუშვებელია.

- მსჯავრდადებული ინარჩუნებს თავის სამოქალაქო უფლებებს. ამ უფლებების შეზღუდვა ხდება მხოლოდ სასჯელ-აღსრულებითი კანონის საფუძვლით, რასაც ითვალისწინებს სასჯელის მიზნები.

- სახელმწიფოსა და მსჯავრდადებულს შორის არსებობს განსაზღვრული უფლება-დამოკიდებულება, რომლის გაკონტროლებაც შეიძლება მოითხოვოს მსჯავრდადებულმა სასამართლო წესით სასჯელის აღსრულების პროცესში მათი დარღვევის შემთხვევაში.

მსჯავრდადებულებზე გამასწორებადი ზემოქმედების ეფექტურობის ამაღლებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნას ა.ს. მაკარენკოს მემკვიდრეობაზე ბაზირებული მდგომარეობა სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებებში პიროვნების სოციალიზაციის შესახებ. დანაშაულის ჩადენა-სოციალიზაციის პროცესის წარუმატებლობას ნიშნავს. პიროვნების რესოციალიზაცია მოითხოვს სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებებში მსჯავრდადებულზე სოციალურ-პედაგოგიურ ზემოქმედებას, რომელიც ვარაუდობს სამართლებრივი ნორმების მიზანმიმართულ გამოყენებას. სოციალურ-პედაგოგიური მოღვაწეობა ატარებს კომპლექ-

სურ ხასიათს, რაშიც ჩართულია იურიდიული ნორმების, პედაგოგიური მეთოდიკის, ფსიქოლოგიის ხერხების, სოციალური მართვის ხერხებისა და მეთოდების გამოყენება.

როგორც უკვე ადრე აღინიშნა, სასჯელს აქვს მსჯავრდადებულთა არა მხოლოდ გამოსწორების, ავრეთვე დანაშაულის თავიდან აცილების მიზანიც. რაც შეეხება ზოგად არიდებას, მისი განხორციელების საშუალებები სასჯელაღსრულებით კანონმდებლობაში მინიშნებული არ არის. ხოლო სპეციალური (ინდივიდუალური) არიდების მიზნები ჩადებულია სასჯელ-აღსრულებითი კანონმდებლობის ცალკეულ ნორმებში, რომლებიც უზრუნველყოფენ მსჯავრდადებულის იზოლირებას მათი დაცვისა და მუდმივი ზედამხედველობის მეშვეობით, რათა გამორიცხული იქნას შესაძლებლობა ახალი დანაშაულის ან სხვა ანტისაზოგადოებრივი ქმედებების ჩადენისათვის, რაც ხორციელდება უსაფრთხოების ზომების დაცვითა და კონტროლის სპეციალური საშუალებების გამოყენებით (ჩხრეკა, მიღებული ამანათების, გადაცემების, ბანდეროლების შემოწმება, კორესპონდენციის ცენზურა, პაემანის დროს თვალყურის დევნა და ასე შემდეგ). სპეციალური (ინდივიდუალური) არიდების სფეროს ეხება ასევე ჩადენილი სამართალდამრღვევის ხასიათის მიხედვით, პასუხისგებაში მიცემა, დასჯის ან წახალისების ზომების გამოყენება.

თავისუფლების აღკვეთის დროს მსჯავრდადებულზე ზემოქმედების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მათი ყოფა-ცხოვრების ნორმალური უზრუნველყოფა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მსჯავრდადებულის გათავისუფლების შემდგომ ბედის თვალსაზრისით. სასჯელისაგან გათავისუფლების შემდეგ ყოფილ დამნაშავეს უნდა შეექმნას ცხოვრებისათვის და მუშაობისათვის ნორმალური პირობები, ჰყავდეს ოჯახი და არჩინოს იგი, რაც მთავარია არ უნდა იყოს საზოგადოებისათვის ზედმეტი ტვირთი, რომელსაც მან ადრე მიაყენა ზიანი.

მსჯავრდადებულთა შრომის ეკონომიკისა და საწარმოო მოღვაწეობის ორგანიზაციის საკითხი, როგორც სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულებების ფუნქციონირებს ძირითადი მიმართულება, უნდა დაისვას იმისათვის, რათა შევეცადოთ ავხსნათ ეს რთული და ფრიად სადაო პრობლემა. დღევანდელ დღეს სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულებების ძირითად ამოცანას წარმოადგენს მსჯავრდადებულთა დასაქმება, რაზეც დამოკიდებულია მათი გამოსწორება. აღნიშნულ პრობლემას სჭირდება დროული გადაწყვეტა, რათა ადრინდელი დამნაშავე დაუბრუნდეს საზოგადოებას საჭირო და სასარგებლო წევრად.

შეიძლება გაკეთდეს, დასკვნა რომ სამართლებრივ სახელმწიფოში სასჯელის გამოყენებას გააჩნია ტენდენცია თავისუფლების აღკვეთის ვადის შეზღუდვისაკენ. საერთოდ თავისუფლების აღკვეთაში იმალება მავნე შედეგები, რომლებიც შეიძლება დავახასიათოთ შემდეგნაირად:

1. მსჯავრდადებული იზოლირებულია თავისი გარემოცვისაგან, სადაც ძირითადად ხდება დანაშაული, და რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მის რესოციალიზაციას. სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებებში მსჯავრდადებული კარგავს ყოველგვარ კავშირს სწრაფად განვითარებად საზოგადოებასთან (ეს ეხება მის ოჯახსა და პროფესიასაც).

2. სასჯელი დიდად მოქმედებს პიროვნების თვითშეფასებაზე. ის განიცდის სხვადასხვა დამცირებასა და დადაღვას, რაც სერიოზულად აძნელებს, გათავისუფლების შემდეგ საზოგადოებაში მის ნორმალურ დაბრუნებას.

3. სამართალდამრღვევის დაპატიმრება, საზოგადოებისათვის უხილავს ხდის დანაშაულის წარმომქმნელ სოციალურ და პირად პრობლემებს. საზოგადოება კარგავს შესაძლებლობას დანაშაულებათა პრობლემის გადაწყვეტაში მონაწილეობისათვის. მავნე სოციალური მოვლენები, რომლებიც იწვევენ სამართალდარღვევებს, არ გამოვლინდება და არ აღმოიფხვრება.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასჯელის აღსრულების სწორი ორგანიზაციისათვის დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

1. საჭიროა შეიცვალოს სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულებების მოძველებული და უზარმაზარი შენობები ახლით, უფრო კომპაქტურით. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში უნდა შეიქმნას ცხოვრებისათვის ნორმალური პირობები, რომელიც შეესაბამება თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების სტანდარტებს, როგორც მსჯავრდადებულებისათვის, ასევე მოსამსახურე პერსონალისათვის.

2. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში უნდა მოგვარდეს მსჯავრდადებულებთან მუშაობა, მათი რესოციალიზაციის მიზნით. ყოველი ღონისძიება უნდა ატარებდეს ნებაყოფლობით ხასიათს ე.ი. არ უნდა იყოს იძულებითი. სასჯელის ასეთი ფორმით აღსრულება, ძირითადად ორიენტირებული მსჯავრდადებულის რესოციალიზაციაზე, ითვალისწინებს პიროვნებაზე მონაცემების შეკრებას და მათ საიდუმლოდ შენახვას.

3. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების რეალიზაციისათვის აუცილებელია თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პიროვნებების ურთიერთდამოკიდებულება იყოს ავტორიტეტული ინსტანციების კონტროლისა და ზედამხედველობის ქვეშ. მაგალითად, კანადის გამასწორებელი დაწესებულებების ფედერალურ უწყებაში უკვე დანიშნულია "ომბუდსმენი" (პარლამენტის უფლებამოსილნი, რომლებიც ზედამხედველობენ კანონის ზუსტ შესრულებას). ამ დამოუკიდებელ, ნდობით აღჭურვილ პირებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოინახულონ ნებისმიერი გამასწორებელი დაწესებულება.

§ 2. შრომა, განათლება, და თავისუფალი დრო სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებებში

მსჯავრდადებულის შრომა თვითმიზანი არ არის. მან უნდა მოამზადოს ის განთავისუფლების შემდეგ ცხოვრებისათვის. თუმცა ასეთი მომზადება შესაძლებელი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულებების საწარმოები, სახელოსნოები აღჭურვილი იქნება ისევე როგორც ჩვეულებრივი საწარმოები. წარმოების მეთოდები და მანქანა-დანადგარებიც უნდა იყოს თანამედროვე, რათა მსჯავრდადებულმა შეძლოს თავისი კვალიფიკაციის შენარჩუნება. სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულებების საწარმოების მოდერნიზაციასთან ერთად დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს დეფიციტური პროფესიების ათვისებას, რომ მსჯავრდადებულს გათავისუფლების შემდეგ შრომის ბაზარზე მიეცეს დამატებითი შანსი. მათი შრომა უნდა განიხილებოდეს არა როგორც სასჯელის ზომა, ან მათი შენახვისათვის გაწეული ხარჯების შემცირების მეთოდი, არამედ როგორც რესოციალიზაციის ფაქტორი. შრომით გამოსწორება ითვალისწინებს შრომისადმი მიჩვევას. თუმცა შრომით დისციპლინას აღნიშნული მიმართულებით გააჩნია გაცილებით მცირე ეფექტი, ვიდრე განათლებას.

მსჯავრდადებულის პროფესიული მომზადება აძლიერებს შრომისადმი შეგნებულ დამოკიდებულებას და ამაღლებს მის თვითშეფასებას. მაგრამ ასეთი მომზადება შეუძლებელია საერთო განათლების ამაღლების გარეშე. ხანგრძლივი და ინტენსიური საერთო განათლება სერიოზულად ამცირებს რეციდივს, რადგანაც ამაღლებს მსჯავრდებულის სტატუსს. აქედან გამომდინარე, საჭიროა სწავლების ისეთი საშუალებებისა და მეთოდების გამოყენება როგორიცაა, მაგალითად, ენობრივი ლაბორატორიული სამუშაოები, საგანმანათლებლო სატელევიზიო პროგრამები, დაუსწრებელი სწავლება და ასე შემდეგ.

სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებებში თავისუფალ დროს გამასწორებელი (არადამსჯელი) ზემოქმედების ამოცანები დაიყვანება იმაზე, რომ შეიქმნას ხელსაყრელი სოციალური ატმოსფერო, რათა მსჯავრდადებულს გათავისუფლების შემდეგ ჰქონდეს მიდრეკილება თავისუფალი დროის გააზრებულად გამოყენებისათვის. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში თავისუფალი დრო არ უნდა გადაიქცეს "უბრალო დროის მოკვლის ფაქტორად", ან არ უნდა იქნას გამოყენებული ახალი დანაშაულის მომზადების, დაგეგმვის ან განხილვისათვის. ის უნდა ემსახურებოდეს მსჯავრდადებულთა კულტურული დონის ამაღლებას (თუნდაც მინიმალური ხარისხით). ცნობილია, რომ მსჯავრდადებულთა გაძლიერებული კულტურული ორიენტაცია ასუსტებს რეციდივისადმი მიდრეკილებას. სწორად ორგანიზებული თავისუფალი დრო ხელს უწყობს კარგ დასვენებას და ამით ადამიანის ფსიქიკური და ფიზიკური ძალების აღდგენა-განახლებას. სასჯელის აღსრულების დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობს თავისუფალი დროის ორგანიზება, მისი შეფასება შეუძლებელია პროფესიული და საერთო მომზადებისაგან განცალკევებით. ის შლის თავისუფლების აღკვეთის ადგილების ერთფეროვნებასა და მონოტონურობას. მსჯავრდადებულს თრგუნავს სიმარტოვე და არადამოუკიდებლობა. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ტელევიზია არ ახდენს არსებით გავლენას მსჯავრდადებულის ქცევაზე. მსჯავრდადებულმა ცოცხალი მონაწილეობით უნდა აღიქვას თავისუფლების აღკვეთის ადგილებში და მსოფლიოში მომხდარი ყოველდღიური მოვლენები.

არასრულწლოვანთათვის განკუთვნილი თავისუფლების აღკვეთის ადგილები და გამასწორებელი დაწესებულებები განლაგებული უნდა იყვნენ ქალაქებთან ახლოს, რათა გარე სამყაროსაგან კონტაქტი შესაძლებელი იყოს ყოველგვარი სიძნელეების გარეშე. გაშენების მთლიანი კომპლექსი უნდა გამოირჩეოდეს განსაკუთრებული მოქნილობით, ის უნდა

წარმოადგენდეს რაღაც დინამიკურ სტრუქტურას, რომლის ყოველი შენობა შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა მიზნებისათვის. არასრულწლოვანებისათვის განკუთვნილ საცხოვრებელ კომპლექსს უნდა ჰქონდეს დასახლების ტიპის სახლები, პავილიონები. ყოველ ასეთ სახლში უნდა განთავსდნეს არა უმეტესი 25 მოზარდი (ახალგაზრდა), ისინი მოწყობილი უნდა იქნენ ოჯახისმაგვარად, რომ მსჯავრდადებულმა თავი დაცულად იგრძნოს და ამავე დროს შესაძლებლობა მიეცეს ერთმანეთთან დაამყარონ ადამიანური, მეგობრული ურთიერთობები. არასრულწლოვნებისათვის განკუთვნილ თავისუფლების აღკვეთის ადგილებს უნდა ჰქონდეს საცურაო აუზი, სპორტული მოედანი, ტანვარჯიშის სპორტული დარბაზი.

გამასწორებელი ზემოქმედების (მოპყრობის) წარმატების აუცილებელი წინაპირობაა წლოვანებისათვის შესაფერისი ცხოვრების ჯანსაღი პირობების შექმნა: თანამედროვე მოხერხებული ტანსაცმელი და რაციონალური კვება. ჩაცმულობა, ფერისა და სტილის მიხედვით უნდა იყოს ინდივიდუალური, ის არაფრით არ უნდა განსხვავდებოდეს თავისუფლებაში მყოფი მოზარდების (ახალგაზრდების) ჩაცმულობისაგან. საკმარისი კვება ახალგაზრდა პიროვნებათა უმეტესობისათვის ყოველთვის არის მათზე ზრუნვის სიმბოლიზება.

მოზარდი მსჯავრდებულებისათვის (16 წლის ასაკამდე) სასკოლო მეცადინეობები უნდა გაგრძელდეს მთელი სამუშაო დღის განმავლობაში. მეცადინეობები უნდა წარმართონ სპეციალურად მომზადებულმა პედაგოგებმა.

16 წლის ასაკის ზემოთ მოზარდი მსჯავრდადებულთათვის გათვალისწინებული უნდა იყოს მათი პროფესიონალური მომზადება. მაგრამ პირველყოვლისა საჭიროა გაირკვეს მოზარდის მიდრეკილება, მიმართულია ფერმერული თუ ხელოსნური შრომისაკენ. პროფესიონალურმა მომზადებამ მართლაც ხელი უნდა შეუწყოს, უნდა მისცეს შესაძლებლობა გათავისუფლების შემდეგ თავისი თავისა და

ოჯახის რჩენისათვის. ამიტომაც მათი მომზადება უნდა წარიმართოს თანამედროვე მანქანებზე და დაზგადანადგარებზე, ისინი უნდა გაეცნენ წარმოების მხოლოდ უახლოეს სამუშაო პირობებს, უნდა დაეუფლონ ისეთ პროფესიებს, რომლებიც პერსპექტიულია და რომლებსაც სიამოვნება მოაქვთ (ავტომექანიკოსი, რადიოტექნიკოსი, ტელე-ვიდეო აპარატურის ტექნიკოსი და ასე შემდეგ). არასრულწლოვნებისათვის განკუთვნილ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, პროფესიონალური მომზადების მხრივ ინსტრუქციების წინაშე დგას არც თუ ისე ადვილი პედაგოგიური ამოცანა ხელი შეუწყოს არჩეული პროფესიისადმი პატივისცემასა და სიყვარულს, ის არ უნდა განიხილებოდეს, როგორც მხოლოდ შემოსავლის წყარო.

არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მსჯავრდადებულის თავისუფალი დრო საჭიროა შეივსოს რაღაც სასარგებლოთი. ეს შეიძლება იყოს ხატვის, მუსიკის, ხალხური თვითშემოქმედების საღამოები. შეიძლება ასეთივე წრეების შექმნა. განსაკუთრებულ როლს ასეთ დაწესებულებებში თამაშობს სპორტი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მსჯავრდადებულის გაჯანსაღებისათვის, არამედ ის აკმაყოფილებს ახალგაზრდის მოთხოვნილებას მოძრაობისადმი. სპორტი არის ზედმეტი აგრესიულობისაგან თავის დაღწევის საშუალება. სპორტი ასწავლის თავის დაჭერასა და ავითარებს სოლიდარობის გრძნობას.

§ 3. გამასწორებელი ზემოქმედების ცნება და მოდელი

სასჯელი, როგორც ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სოციალური ზემოქმედება, არ შეიცავს გამასწორებელ ელემენტებს, რადგანაც მსგავსი სასჯელი დამნაშავეს გადააქცევს ძალადობის ობიექტად. ის აყენებს მას რეალურ ზიანს (დამცირება, ღირსების შელახვა). გამასწორებელმა ზემოქმედებამ უნდა დაეხმაროს დამნაშავეს (დაუბრუნდეს საზოგადოებას), დაზარალებულს (მიიღოს მასზე მიყენებული ზიანის საზღაური) და საზოგადოებას (აიცილოს რეციდივი, მიაღწიოს დამნაშავესა და დაზარალებულს შორის შერიგებას, აღადგინოს და მხარი დაუჭიროს საზოგადოებრივ წესრიგს). გამასწორებელი ზემოქმედების (არადამსჯელი) ასეთი სახით აღქმამ შეიძლება გადააქციოს ის რესოციალიზაციის მოდელად.

გამასწორებელი ზემოქმედება მიმართულია იქითკენ, რომ სახელმწიფოს ჩარევის გზით აღმოიფხვრას სოციალურად მიუღებელი მოქმედება. აღნიშნული მიზნის ხელშემწყობ მეთოდებად შეიძლება მივიღოთ მაგალითად, პროფესიონალური მომზადება, ზემოქმედება უქმე საათებში, ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები, აგრეთვე სხვადასხვა სახის ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური თერაპია, ინდივიდუალური ფსიქოთერაპია და ჯგუფური თერაპია. სასჯელის აღსრულებისას უნდა გამოიყოს ზემოქმედების უფრო ვიწრო მოდელი, რომელიც ხასიათდება შემდეგი ძირითადი მომენტებით:

1. აღნიშნული მოდელი დანაშაულის წარმოშობას ხსნის, როგორც დამნაშავის ინდივიდუალური პათოლოგიის ან პიროვნულ სტრუქტურაში დინამიკური დარღვევების შედეგს.

2. ინდივიდუალური ფსიქოლოგიური და ფსიქიატრული დიაგნოზითა და ასეთივე თერაპიით აღნიშნული მოდელი

უზრუნველყოფს პიროვნების სტრუქტურაში დარღვევების დარეგულირებას და ამით ახდენს დამნაშავის რესოციალიზაციას.

3. ინდივიდუალური ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული თერაპია მიმართულია არა მარტო სასჯელის აღსრულების ჰუმანურობისაკენ, აგრეთვე რეციდივის თავიდან აცილებასა და უკიდურეს შემთხვევაში მის შემცირებისაკენ.

4. აღნიშნული მოდელის დახმარებით თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იქმნება ისეთი სიტუაცია, რომელშიც მსჯავრდადებული შეიძლება (შთაგონებით, დარწმუნებით ან სოციალური დაწოლით რესოციალიზაციის წარმატების შემთხვევაში მისი განთავისუფლების დაპირების გზით), თავისი ინიციატივით განეწყოს ასეთი ზემოქმედებისათვის.

დამნაშავის გამოსწორება ნიშნავს, მისი ფსიქოლოგიის გარდაქმნას, მისი შეგნებიდან წარსულის იმ გადმონაშთების აღმოფხვრას, რომლებსაც განაპირობებს დანაშაულის ჩადენა, შრომითი ჩვევების გამომუშავებას, ზნეობის ნორმებისა და კანონების პატივისცემის ჩანერგვას.[1]

მსჯავრდადებულისადმი მოპყრობის მაქსიმალური ინდივიდუალიზაციის პრინციპი (მასზე ზემოქმედება) მის პირად და სოციალურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში (ეგრეთ წოდებული "სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი") აუცილებელს ხდის დამნაშავეების განაწილებას, დანიშნული სასჯელის ხასიათის მიხედვით, სხვადასხვა რეჟიმის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. სისტემა, რომელიც აერთიანებს ღია "ამბულატორიულ" და დახურული ტიპის გამასწორებელ დაწესებულებებს, ზრდის რესოციალიზაციის შესაძლებლობას. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ პატარა და საშუალო, დახურული და მკაცრად დაცული თავისუფლების აღკვეთის ადგილების ირგვლივ

1. თ. წერეთელი, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები. თბ. 1996 წ. გვ. 156

ოდესღაც განლაგდება ნახევრად ღია და ღია დაწესებულებები, ხოლო უკანაკნელთა ირგვლივ საერთო საცხოვრებლების, დღის პანსიონატების კიდევ ერთი რგოლი, სადაც განთავსდებიან მზრუნველები, მეურვეები, მოსამსახურე პერსონალი, რათა მოსახერხებელი და სასიამოვნო იყოს მუშაობა, რათა გამოვლენილი იქნას ადამიანური და პროფესიული ხარისხი, ვიდრე ეს კეთდება დღეს.

დღესდღეობით სასჯელის აღსრულების დიფერენციაცია იზღუდება თავისუფლების აღკვეთის საკმაოდ ვიწრო სისტემით, რომლის წინაშეც დგას სხვადასხვა ამოცანა. დაცვის უზრუნველყოფის ხარისხის მიხედვით ისინი იყოფიან დახურულ, ნახევრადდახურულ და ღია დაწესებულებებად. სქესისა და ასაკის მიხედვით - არასრულწლოვანთათვის აღმზრდელობითი, 18 წლის ასაკის ზემოთ გამოსასწორებელ და ქალებისათვის განკუთვნილ თავისუფლების აღკვეთის ადგილებად. აგრეთვე არსებობს განსაზღვრული დიფერენციაცია თავისუფლების აღკვეთის ვადის, სახის, მსჯავრდადებულთა პიროვნებების ხასიათისა და მათი საზოგადოდ საშიშროების მიხედვით. თავისუფლების აღკვეთისათვის აღნიშნული დაწესებულებების გარდა არსებობს განსაკუთრებული ადგილები. მათ რიცხვს ეკუთვნიან პრევენტიული თავისუფლების აღკვეთის ადგილები, მაგალითად, ფსიქიატრიული საავადმყოფოები, ალკოჰოლიკებისა და ნარკომანებისათვის განკუთვნილი სამკურნალო ცენტრები.

სასჯელის აღსრულების დროს სამართალდამრღვევთა კლასიფიკაცია ნიშნავს მათ დაყოფას, თუ ვინ უნდა იქნას გამოსწორებული და ვინ უნდა იქნას დაცული. კლასიფიკაციის გზით ცდილობენ მსჯავრდადებულთა დაყოლას ზედამხედველობაზე დამყოლ ჯგუფებად, რათა უზრუნველყოფილი იქნას ყოველ მსჯავრდადებულზე ისეთი ზემოქმედების განხორციელება, რომელიც მას ინდივიდუალურად ესაჭიროება. მოცემულ შემთხვევაში, მხედველობაშია გამასწორებელი ზემოქმედება თავისუფლების შენარჩუნების პი-

რობებში (პირობითი მსჯავრის დროს შესაბამისი დახმარების პროგრამით), ასევე თავისუფლების აღკვეთის პირობებში. კლასიფიკაცია როგორც მსჯავრდებულზე ზემოქმედების საფუძველი, არის უწყვეტი პროცესი. ზემოქმედებას გააჩნია მიზანი შეცვალოს მსჯავრდადებულის პიროვნება.

§4. სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულებების გარემოს ხელოვნურობა და განცალკევებულობა

ადამიანის ღირსებას ეწინააღმდეგება ისეთი მდგომარეობა (მუხლი 1, პუნქტი 1, გერმანიის ძირითადი კანონი), რომლის დროსაც სამართალდამრღვევს მთლიანად ან მნიშვნელოვანწილად გადააქცევენ თერაპიული ექსპერიმენტების ობიექტად. თუმცა ეს არ ნიშნავს ფსიქოთერაპიის სრულ განდევნას სასჯელის აღსრულების პრაქტიკიდან. წარმატების მოსაპოვებლად ნებისმიერი ფსიქოლოგიური დამუშავება ვარაუდობს მსჯავრდადებულის არა მხოლოდ თანხმობას, ამავე დროს მის აქტიურ მონაწილეობას და თანამშრომლობას, რომლის დროსაც ის ხდება საკუთარი გამოსწორების სუბიექტი. სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში, მკაცრი სასჯელის კლიმატი ხშირ შემთხვევაში ინიღბება გამასწორებელი ზემოქმედების იდეოლოგიითა და ტერმინოლოგიით. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოსამსახურე პერსონალისათვის რესოციალიზაცია რჩება ცარიელ სიტყვად. სინამდვილეში რესოციალიზაციისაგან იქ არ რჩება არაფერი, გარდა მისი შემცვლელი "სათადარიგო ნაწილებისა" - დაცვა და წესრიგი. ეს გასაგებიცაა, რადგან სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულებების ადმინისტრაციას თავისი არც თუ ისე ადვილი სამუშაოს შესასრულებლად სჭირდება წარმატების მაჩვენებლები, რისი მიღწევაც შესაძლებელია მკაცრი დაცვისა და სასტიკი დისციპლინის მეშვეობით. აღნიშნული "სათადარიგო ნაწილები" ეხმარება რეციდივისტს, რომელიც უკვე რამდენჯერმე იყო ნასამარ-

თლეჟი ადვილად შეეგუოს თავისუფლების აღკვეთის პირობებს. ის იმყოფება თავის სტიქიაში და არ სურს იყოს გამორჩეული. მას სრულიად აკმაყოფილებენ ის პრივილეგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ასეთ დაუბრკოლებრივ ინტეგრაციას.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გამასწორებელი ზემოქმედების წარუმატებლობა განპირობებულია სამი ურთიერთდაკავშირებული მიზეზით:

1. პირველყოვლისა ეს აიხსნება იმ გარემოების ხელოვნურობითა და განცალკევებულობით, სადაც მსჯარდადებული იმყოფება. ისინი ცხოვრობენ "ტოტალურ დაწესებულებაში", სადაც ერთად უნდა გაატარონ თავისი სამუშაო, თავისუფალი დრო და მთელი სასჯელის ვადა. მათი მოღვაწეობა მთლიანად რეგლამენტირებულია. "ტოტალური დაწესებულებების" ფარგლებს გარეთ მყოფ მეგობრებთან, თანამშრომლებთან, ნათესავებთან, ოჯახთან კავშირი თანდათან სუსტდება და ბოლოს წყდება კიდეც. ამით კი ხდებიან სოციალურად იზოლირებულნი. მათი როლი განისაზღვრება მხოლოდ ერთი ფუნქციით - რეაგირებით. მსჯავრდადებულს თავისი სურვილით არაფრის გაკეთება არ შეუძლია, შეუძლებელია რაღაც ინიციატივის გამომჟღავნება და თანდათანობით ხდება მათი დესოციალიზაცია და ეს არ არის დამოკიდებული სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების ადმინისტრაციაზე, მოსამსახურე პერსონალზე, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობენ თავისუფლების აღკვეთის გარემოს გაუმჯობესებისათვის. სხვათა შორის, თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში - ეს იქნება ოჯახი, საშუალო ან უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები თუ შრომითი კოლექტივი - ბატონობენ განსაკუთრებით რთული სოციალური სტრუქტურები, სადაც სოციალური ჯგუფები გამუდმებით ცვლიან თავიანთ შემადგენლობას და ხასიათს. მსჯავრდებული, ქრება რა სასჯულ-აღსრულებით დაწესებულების კედლებს

მიღმა, კარგავს ყოველგვარ კავშირს საზოგადოებრივ მოვლენებთან და პროცესებთან.

2. მეორე არსებითი მომენტი არის შეგუების პროცესი, რომელიც იწყება მსჯავრდადებულის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოთავსებით. ეს არის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში დამნაშავეთა სამყაროს ფასეულობათა ორიენტაციის, მოცემულ დაწესებულებაში არსებული ზნეჩვეულებების ღრმა ან ზედაპირული ათვისების პროცესი. ეს არის სოციალიზაციის ნეგატიური პროცესი, რომელიც იწვევს მსჯავრდადებულის პიროვნების უფრო მეტ დაშლას. თავისუფლების აღკვეთის სახით, სასჯელის აღსრულების დროს შეინიშნება პიროვნების დეგრადაცია, დამნაშავის სტიგმატიზაცია, რაც ძლიერ ასუსტებს მსჯავრდებულის საკუთარი ღირსების შეგრძნებას და თანდათან ითრევს დანაშაულებათა სამყაროში. საზოგადოება ზურგს აქცევს მსჯავრდადებულს. მას ერთმევა სოციალურად კომფორტული სქესობრივი დაკმაყოფილების შესაძლებლობა. ის სერიოზულად შეზღუდულია მატერიალური ფასეულობებისა და კეთილდღეობის გამგებლობის მხრით. მას გამუდმებით აკონტროლებენ და მალე ეგუება იმ გარემოებას, რომ მის გვერდით, ყველგან და ყოველთვის ვიღაც იმყოფება, ეს არის დაწესებულებების პერსონალი თუ სხვა მსჯავრდადებული. მსჯავრდადებულის ოჯახი კი სოციალური უზრუნველყოფის სისტემისათვის დიდ ტვირთად გადაიქცევა. სასჯელისაგან გათავისუფლების შემდეგ ის გადაიქცევა დიდ მოვალედ. მან უნდა აანაზღაუროს დანაშაულით მიყენებული ზარალი, ასევე უნდა გადაიხადოს სასამართლო დანახარჯები, ექმნება დიდი სიძნელეები ოჯახში და არანაკლებ სამუშაოს ძებნაში.

3. სასჯელის აღსრულების გამასწორებელი ზემოქმედების უნაყოფობის მესამე მიზეზი შეიძლება ვეძიოთ იმაში, რომ ასეთი ზემოქმედება თავის დინამიკურ განვითარებაში ყოველთვის განიცდის კრახს, როდესაც დაუბრისპირდება სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულებების შიგა განაწესის

მკაცრ წესებს. დღესდღეობით თავისუფლების აღკვეთის პირობებში შეუძლებელია მსჯავრდადებულებზე ნამდვილად თერაპევტული, სამკურნალო ზემოქმედებების გატარება, შეუძლებელია როგორც სამართლებრივი ასევე ორგანიზაციული თვალსაზრისითაც. არადამსჯელ ზემოქმედების სოციალურ-თერაპევტული მეთოდები და მიზნები იმდენად ეწინააღმდეგებიან სასჯელის აღსრულების მარეგულირებელ სამართლის ნორმებს, მის მეთოდებს და ამოცანებს (დაცვა და წესრიგი), რომ თავისუფლების აღკვეთის პირობებში მცირე ეფექტური თერაპიის განხორციელებაც შეუძლებელია. "მკურნალი სისტემა" გადაიქცევა არტეფაქტად. ის არ გადაიქცევა ცოცხალ ორგანიზმად, რომელსაც შემდგომში შეუძლია განვითარდეს დამოუკიდებლად.

სასჯელმა მსჯავრდადებულს არ უნდა მიაყენოს სოციალური, ფსიქიური ან ფიზიკური ზიანი, ანდა ის არ უნდა გადააქციოს მანიპულაციის მარტივ ობიექტად. საზოგადოების ძირითადი მოვალეობა არის მოეპყრას დამნაშავეს ჰუმანურად, თუ სურს რომ ასეთმა მოპყრობამ გამოიღოს დადებითი ეფექტი (რეციდივის არ არსებობა).

1. სასჯელი არის უკვე ის, რომ ადამიანს ჩამოერთმევა გადაადგილების თავისუფლება. მაგრამ, ამას გარდა ის ინარჩუნებს თავის სრულ კონსტიტუციურ და ადამიანურ უფლებებს. მას გარანტირებული აქვს კანონით, სამართლებრივი დაცვა. ადამიანის უფლებების დაცვაზე მეთვალყურე უფლებამოსილებმა და მოსამართლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ მსჯავრდებულებისადმი მოპყრობა იყოს ჰუმანური და კანონიერი. მხოლოდ ის შეძლებს ლეგიტიმიური ქცევის ნორმების ათვისებას, ვისი უფლებების განუხრელად დაცულია და გარანტირებული.

2. თავისუფლების აღკვეთით სასჯელის გამოყენება უნდა შეიზღუდოს. დელიქტების დიდ ნაწილზე საჭიროა იმ საშუალებებით რეაგირება, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ თავისუფლების აღკვეთის მარტივ ალტერნატივას. მსუბუქ დანაშაულებებს მოსდევს პატიმრობა ან

პატიმრობაში ყოლა. საშუალო სიმძიმის დანაშაულებებს, თავისუფალი დროის ერთხელ ან მრავალჯერ ჩამორთმევა ან შეზღუდვა, ფულადი ჯარიმები ან დაზარალებულისათვის ზარალის ანაზღაურება. მძიმე დანაშაულისათვის სასჯელი გამოიყენება ორ წლამდე. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის სასჯელი თავისუფლების აღკვეთის ორიდან ექვს წლამდე. დიდვადიანი სასჯელები არანაირად არ მოქმედებენ მსჯავრდადებულებზე, არ არიან ეფექტიანი. სასჯელის, თავისუფლების აღკვეთის სახით, ეკონომიური გამოყენება რეკომენდირებულია იმ მიზეზით, რომ ასეთი სასჯელის გამოყენების თანამედროვე პრაქტიკა დაკავშირებულია დიდ სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ დანახარჯებთან, და რომ თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში ყოველი ადამიანისათვის თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობამ ძალიან დიდი დაფასება მოიპოვა.

3. საჭიროა ძველი, უზარმაზარი, ციხესიმაგრის მსგავსი სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულებების ლიკვიდირება. ისინი უნდა შეიცვალონ საშუალო ზომის თავისუფლების აღკვეთის ადგილებად (არა უმეტესი 200 კაცისა), რომლებიც განლაგდებიან დასახლებული პენქტების მახლობლად და თავისი აგებულებითა და პერსონალის შერჩევით შეესაბამება თანამედროვე საზოგადოების სტანდარტებს.

4. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გამასწორებელ ზემოქმედებაზე მსჯავრდადებულთა ნებაყოფლობითი თანხმობა ჰუმანიზაციის მიზნით საჭიროებს ფართო წახალისებას. ეს ეხება, მაგალითად, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიონალურ მომზადებას, ფსიქოლოგიურ კონსულტაციებს, ჯგუფურ თერაპიას. ზემოქმედება არ უნდა იყოს თავისუფლების აღკვეთის ერთადერთი და ძირითადი მიზანი, რომელიც საშუალებას იძლევა დაიხსნას თვით სასჯელი, თავისი ეფექტურობის მტკიცების მოვალეობისაგან.

§ 5. სოციალური რეაბილიტაცია

სოციალური რეაბილიტაცია არ მოითხოვს მსჯავრდადებულზე ზემოქმედებას ღია დაწესებულებებში ან თემის ჩარჩოებში, ვინაიდან ასეთი ინსტიტუტებიც შეიძლება ასევე იყვნენ იზოლირებულნი. სოციალურ რეაბილიტაციას მნიშვნელოვანწილად გააჩნია თემში ადამიანური ურთიერთდამოკიდებულების ხარისხის გაუმჯობესების მიზანი. ამ დროს მსჯავრდადებულმა ურთიერთობა უნდა დაამყაროს თავის ოჯახთან, სკოლასთან (თუკი საუბარია ბოზარდზე), მეზობლებთან, შრომით კოლექტივთან და იმათთან, ვისთანაც ატარებს თავის თავისუფალ დროს. ამით საზოგადოებაც მნიშვნელოვანწილად ჩაებმება არადამსჯელი ზემოქმედების პროცესში მონაწილეობისათვის. მსჯავრდადებულის ახლო გარემოცვის პირებმა ამის ხარჯზე უფრო მწვავედ უნდა განიცადონ სამართალდარღვევისა და დანაშაულის პრობლემები. ზარალის ანაზღაურების გზით, დამნაშავე უნდა ეცდებოდეს თავის მსხვერპლთან შერიგებას. ამის შედეგი კი არის სოციალური მშვიდობისა და წესრიგის აღდგენა. სოციალური რეაბილიტაციის მიზნობრივი მიმართულებები განპირობებულია დანაშაულებათა წარმოშობის შემდეგი თეორიებით:

1. სამართალდარღვევები და დანაშაულებები მნიშვნელოვანწილად წარმოიშობა სოციალური კავშირების დარღვევის შედეგად (დამნაშავე კარგავს ყოველგვარ დამოკიდებულებას საზოგადოებასთან). აქედან გამომდინარე საჭიროა კავშირებისა და დამოკიდებულებების აღდგენა.

2. სამართალდარღვევა და დანაშაული შეითვისება იმის შედეგად, რომ ადამიანი ხშირად აიგივებს თავის თავს სამართალდამრღვევ და დანაშაულებრივ როლებში. ამიტომ აუცილებელია, რომ სამართალდამრღვევმა და დამნაშავემ

გაითავისონ ნორმალური (არადანაშაულებრივი) ქცევის სახეები სოციალურად კომფორმულ მეგობრებთან და კოლეგებთან კონტაქტების დამყარების გზით, სოციალურად კომფორმული ცხოვრების ნორმების გამსჭვალვით, არსებული კანონების სამართლიანობაში დარწმუნებისა და მათი გამოყენების გზით.

3. სამართალდარღვევისა და დანაშაულის ზედმეტად დრამატიზაციის შედეგად სამართალდამრღვევები და დამნაშავეები განიცდიან დეგრადაციას. ასეთი რეაქციის ზემოქმედებისას იცვლება მათი პიროვნების სტრუქტურა და იძენენ არასრულფასოვნების სტატუსს. ისინი თანდათანობით შეითვისებენ დელიკვენტური და კრიმინალური ქცევის ჩვევებს და ცოდნას. მათ უვითარდებათ შესაბამისი შეხედულებები. ჩამოუყალიბდებათ განსაკუთრებული მსოფლმხედველობა და შესაბამისი თვითშეფასება. ამიტომაც სამართალდარღვევაზე და დანაშაულზე საჭიროა არაფორმალური რეაგირება, ასეთი ქცევა უნდა განიხილებოდეს როგორც ნორმალური, მით უმეტესი მისი მნიშვნელოვანი ნაწილი რჩება ფარული დამნაშავეობის სფეროში.

სოციალური რეაბილიტაცია ვარაუდობს არასრულწლოვნებს შორის სამართალდარღვევათა აღმოსაფხვრელად ძალისხმევის კონცენტრაციას, რადგანაც სწორედ მათში ხდება გაცილებით ჩქარა ქცევის ისეთი ფორმების შეთვისება, რომლებიც ძლიერდება დელიკვენტური კანონიერი მსვლელობისას და რომლის შედეგადაც ისინი გადაიქცევიან მოზრდილ დამნაშავეებად. სოციალური რეაბილიტაცია დიდ დაწოლას აკეთებს "ყურადღების გადატანაზე" (ე. ი. იუსტიციის სისხლისსამართლებრივ სისტემასთან კონტაქტის დაუშვებლობა), რადგანაც რაც უფრო ღრმად ჩაეშვება სამართალდამრღვევი და დამნაშავე აღნიშნულ სისტემაში, მით უფრო გაიზრდება, გაძლიერდება სამართალდარღვევები და დანაშაულებები. ამიტომ "ყურადღების გადატანა" ნიშნავს სოციალური კონტროლის ოფიციალური ინს-

ტანციების რეაგირებას (პოლიცია, სასამართლო და სასჯელ-აღსრულებითი სისტემები):

1. სამართალდამრღვევებზე და დამნაშავეებზე არაფორმალური სოციალური კონტროლის დაწესება, რაც ხორციელდება მათი გადაცემით, კერძოდ, სისხლის-სამართლებრივი იუსტიციით ჩარჩოებს მიღმა მომუშავე ახალგაზრდობის საქმეთა სხვადასხვა სამსახურების ზედამხედველობის ქვეშ.

2. სისხლისსამართლებრივ იუსტიციაში სამართალდარღვევებზე და დანაშაულებებზე მკაცრი და ოფიციალური რეაქციიდან საჭიროა ისეთ სასჯელზე გადასვლა, რომლის აღსრულება შეიძლება თემის ჩარჩოებში.

სამართალდამრღვევებზე უშუალოდ თემში ზემოქმედებას, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ზემოქმედებასთან განსხვავებით, გააჩნია შემდეგი უპირატესობები:

1. თავისუფლების შენარჩუნების პირობებში გამასწორებელი ზემოქმედება დაკავშირებულია მცირე დანახარჯებთან. მხედველობაშია არა მარტო მატერიალური დანახარჯები, აგრეთვე ის სოციალური, ფსიქიური და მორალური ზიანი, რომელიც მიეყენება მოზარდს თავისუფლების აღკვეთით.

2. თავისუფლების შენარჩუნებისას გამასწორებელ ზემოქმედებას არ გააჩნია დესოციალიზებული, ესე იგი კრიმინალური ქცევის გამაძლიერებელი გავლენა ადამიანზე.

3. თავისუფლების შენარჩუნებით გამასწორებელი ზემოქმედება არ უქმნის არავითარ საფრთხეს მოსახლეობისა და საზოგადოების უშიშროებას.

4. თავისუფლების შენარჩუნების პირობებში გამასწორებელი ზემოქმედებით საზოგადოებას ეძლევა შესაძლებლობა აქტიურად მიიღოს მონაწილეობა დამნაშავის რესოციალიზაციაში და დანაშაულის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრაში.

5. გამასწორებელი ზემოქმედება თავისუფლების შენარჩუნების პირობებში არ აუქმებს სისხლის სამართალს და

სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას, მოდიფიცირდება მხოლოდ დანაშაულის სამართლებრივი შედეგები. სისხლის სამართალი და სისხლის სამარლის პროცესი აუცილებელია სისხლის სამართლებრივი მოსაზრებით.

მომავალში ალბათ სამართალდარღვევისა და დანაშაულზე რეაგირების სახით ისეთ "ნორმალურ" რეაქციას მიეცემა უპირატესობა, რომელსაც საფუძვლად უდევს სოციალური რეაბილიტაციის მოდელი. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე და განსაკუთრებით საშიშ პროფესიონალ დამნაშავეებზე რეაქცია იქნება - სასჯელი თავისუფლების აღკვეთით. ის დამნაშავეები, რომლებიც შეგნებულად არ ემორჩილებიან გამასწორებელ ზემოქმედებას და ცდილობენ ამით აიმაღლონ თავიანთი დანაშაულებრივი კარიერა, საჭიროებენ საზოგადოებისაგან იზოლირებას. უნდა არსებობდეს ალბათ პრინციპი "გამოსწორებისათვის მესამედ შანსი არ არსებობს".

გამასწორებელი (არადამსჯელი) ზემოქმედების ყველა პროგრამა, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურ რეაბილიტაციასთან, გულმოდგინედ უნდა შეისწავლოს და თანმხლები გამოკვლევების დახმარებით უნდა შემოწმდეს მათი ეფექტურობა. ეს საჭიროა იმისათვის, რომ მიეცეს სასჯელის აღსრულებას თავისი მიზნობრივი დასაბუთება.

სასჯელის აღსრულება ნიშნავს არა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთასა და ადამიანის ჩამწყვდევას საპყრობილეში, ასევე ის შეიძლება გამოიხატოს ზედამხედველობაში, მსჯავრდადებულზე მეთვალყურეობაში, მის კონსულტირებაში და მისდამი მოპყრობაში.

თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის გამოყენების ძირითადი მიზანი არის დამნაშავის სოციალიზაცია. მსჯავრდადებულს უნდა გაუმუშავდეს ცხოვრების უნარი და ნებისყოფა, პასუხისმგებლობის გრძნობა თავის ნამოქმედარზე, უნდა შეეჩვიოს თავისუფალი საზოგადოების პირობებში, სამართალდარღვევის გარეშე არსებობას, უნდა გამოიყენოს მხოლოდ ის შანსი, რასაც აძლევს მას ცხოვ-

რება და არ უნდა წავიდეს უსარგებლო რისკზე. "სოციალიზაცია" - სასჯელის აღსრულების საკვანძო ცნებაა. დანაშაული – სოციალურად იწფასტიური და პიროვნულად უმწიფარი ქცევის ფორმაა. სისხლისსამართლებრივი სასჯელის აღსრულების ძირითად ამოცანაში შედის შეგნებული გამასწორებადი მოქმედებები, რომელთა მიზანია დამნაშავედ ქცეული, რეციდივისკენ მიდრეკილი ადამიანის პიროვნების ახსნა. სოციალიზაცია შეიძლება აიხსნას, როგორც საზოგადოებაში მიღებულ ნორმებზე და ქცევის წესებზე შეგუების პროცესი.

თანამედროვე საზოგადოება იმყოფება სერიოზული ტრანსფორმაციის პროცესში, ამიტომაც აუცილებელია სწრაფვა დინამიკური სოციალიზაციისაკენ. დღეს არსებულ ცხოვრების პირობებზე და ქცევის წესებზე უბრალო გარეგნული შეგუება არ კმარა. მსჯავრდადებულის პიროვნების მსოფლმხედველობის შეცვლისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის დარწმუნებას, შთაგონებას. ამასთან სასურველია, რომ მან თვითონ მოითხოვოს ახალ სოციალურ კომფორმულ როლში მონაწილეობა და ამით შეიძინოს ცხოვრების ახალი მიმართულებები, მიზნები, რაც საშუალებას მისცემს ღიად წავიდეს საზოგადოების განვითარების ახალ ტენდენციებთან შესახვედრად.

თ ა ვ ი 4

მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტები

§ 1. მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტების ცნება და კლასიფიკაცია

საქართველოს სასჯელაღსრულებითი კანონმდებლობის განახლების არსებით ფაქტორად იქცა ქვეყნისა და ერის მისწრაფება საერთაშორისო გაერთიანებაში ინტეგრაციისათვის. 1997 წლის 4 დეკემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა გაერთიანდა ევროპის რეგიონთა ასამბლეაში, ხოლო 1998 წლის 10 თებერვალს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ასლან აბაშიძე არჩეული იქნა ასამბლეის ბიუროს სრულუფლებიან წევრად. დიდია მისწრაფება სრულიად საქართველოს ევროპის საბჭოში გაერთიანებისათვის. ეს კი ნიშნავს, რომ სახელმწიფო თავის თავზე იღებს ვალდებულებას თანამიმდევრულად განახორციელოს კანონმდებლობაში და პრაქტიკაში აღებული საერთაშორისო ნორმები, რომლებიც შეადგენენ მსოფლიოს გაერთიანების საქმიანობის იურიდიულ საფუძველს. პირველყოვლისა ეს ეხება ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლების უზრუნველყოფას. ამასთან, ჩვენ გვესმის, რომ თავად წევრობა პრივილეგია როდია - ამ აქტით სახელმწიფომ დამატებითი ვალდებულებანი იკისრა არა მარტო საკუთარი ხალხის მიმართ, არამედ მსოფლიოს ყველა ხალხის, მთელი კაცობრიობის წინაშე.

გაეროს არსებობის პერიოდში მისი სისტემის ფარგლებში მრავალი საერთაშორისო შეთანხმება, კონვენცია და დეკლარაცია შემუშავდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის სფეროში. ბევრი ასეთი დოკუმენტი შეიცავს საკონტროლო მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც შესაბამისი სახელმწიფოები ადამიანის უფლებებს განახორციელებენ თავიანთ ტერიტორიაზე.

სახელშეკრულებო ნორმები, რომლებსაც ეს შეთანხმებები შეიცავს, ქმნიან საერთაშორისო სტანდარტების მინიმუმს მათი რატიფიკაციის მომხდენი სახელმწიფოს ტერიტორიაზე პირდაპირი მოქმედების ძალა რომ აქვთ. ეს სტანდარტები ხელს უწყობენ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობათა დემოკრატიზაციას და უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებათა სამართლებრივი ნორმების პრიმატს, რაც გულისხმობს ეროვნული კანონმდებლობის ნორმების საერთაშორისო სამართლის ნორმებთან შესაბამისობას, აგრეთვე უშუალოდ სასამართლოებისა და ყველა თანამდებობის პირის მიერ მათ გამოყენებას.

მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება სისხლისამართლებრივი იუსტიციის სფეროს. ეს უკანასკნელი, ჩამოყალიბებული საერთაშორისო ტერმინოლოგიით, მოიცავს არა მხოლოდ საკუთრივ მართლმსაჯულებას, ამავდროულად სამართალდამცავი ორგანოების მიერ დანაშაულის თავიდან აცილებასა და ასევე სასამართლოს მიერ დანაშაულის სისხლის სამართლის სასჯელის აღსრულებას. ამიტომაც გასაგებია სახელმწიფოთა სწრაფვა სისხლის სამართლისა და სასჯელაღსრულებითი პოლიტიკის, აგრეთვე სისხლისსამართლებრივ დასჯას დაქვემდებარებული პირების მიმართ მოპყრობის საშუალებებისა და მეთოდების მაქსიმალური კოორდინირებისათვის საერთაშორისოდ აღიარებული ჰუმანური პრინციპების სულისკვეთებით.

ადამიანთა უფლებების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად სასჯელ-აღსრულებითი სისტემის

მიმართ მუშავდება და გამოიყენება, დებულებანი, რომლებიც თანამედროვე პენიტენციარულ თეორიაში იწოდება მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტებად. მათში კონცენტრირებულია სასჯელ-აღსრულებითი პრაქტიკის მსოფლიოს გამოცდილება, სასჯელ-აღსრულებითი სისტემის განვითარების პუმანური ტენდენციები.

ერთიანობის ხარისხის მიხედვით აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები შეიძლება დაიყოს საერთო უნივერსალურად და სპეციალურად. პირველი ეხება ადამიანის უფლებებს მთლიანობაში და მხოლოდ მისი ცალკეული ნაწილები განსაზღვრავენ სისხლის სამართლებრივი სასჯელის სისტემაში პიროვნების სპეციფიკურ მდგომარეობას. სტანდარტების მეორე ჯგუფი მიიღება სპეციალურად სასჯელის აღსრულების დროს სხვადასხვა დამოკიდებულებებისათვის (ან მთლიანად სისხლის სამართლებრივი იუსტიციის სისტემისათვის).

აუცილებლობის ხარისხის მიხედვით განასხვავებენ დებულებებს, რომლებიც აუცილებელია სასჯელის აღსრულების ნაციონალური სისტემისათვის და რომლებიც ატარებენ რეკომენდაციულ ხასიათს.

წარმოშობის წყაროების მიხედვით სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებებს (პაქტებს, კონვენციებს) განასხვავებენ საერთაშორისო სახელმწიფოებრივი ან არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციების მიერ მიღებული ნორმებისა და პრინციპებისაგან. საერთაშორისო სახელმწიფოებრივ ორგანიზაციათა რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს, მაგალითად, გაერო და მისი მუშა ორგანოები, ხოლო არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს - საერთაშორისო ამნისტია - Penal Reform International და სხვა. საერთაშორისო ხელშეკრულებები (პაქტები, კონვენციები) სავალდებულოა იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც გააკეთეს ხელმოწერა და რატიფიკაცია. საერთაშორისო ორგანი-

ზაციების სტანდარტებს უმრავლეს შემთხვევაში აქვთ სარეკომენდაციო ხასიათი.

მოქმედებათა სიფართოვით (ტერიტორიული მასშტაბებით) გამოყოფენ საერთო და რეგიონალურ საერთაშორისო სტანდარტებს.

და ბოლოს, ზოგიერთი საერთაშორისო სტანდარტები მიიღება სპეციალურად გარკვეული კატეგორია სამართალდამრღვევთა მიმართ (მაგალითად, ქალებისათვის, არასრულწლოვნებისათვის) ან პენიტენციარული დაწესებულებების გარკვეული პროფესიონალური ჯგუფების მიმართ (ექიმები, მოსამსახურე პერსონალი).

საერთაშორისო სტანდარტების სისტემა, რომელიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის სასჯელის აღსრულებასთან, საკმაოდ ფართოა. ასეთი სტანდარტების შემცველი მრავალი აქტი ახლობრივად ემთხვევიან ერთმანეთს. მაგრამ თუ რომელიმე დებულება მეორდება, ამით იძლევა საშუალებას ჯვარედინი დამოწმების გზით მიეცეთ მათ დიდი მნიშვნელობა ე.ი. ერთ საბუთში კონკრეტული მუხლის გამოყენებისას, მეორეში შეიძლება მიეცეს ამავე მუხლს ფართო განმარტება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა რომელიღაც დებულებას ერთ საბუთში აქვს სავალდებულო ძალა და არა აქვს ასეთი სხვაში.

საერთაშორისო უნივერსალური სტანდარტები

ძირითადი მნიშვნელოვანი საერთო უნივერსალური საერთაშორისო შეთანხმებები ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში შემუშავებული და მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩოებში. მათ შორის ძირითადი ადგილი უჭირავს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციას, რომელიც მიღებული იქნა 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბ-

ლეის 217 A(III) რეზოლუციით[1] და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებათა პაქტს (1966 წლის 16 დეკემბერი).[2]

აღნიშნული დოკუმენტების ყველა დებულება გამოიყენება სისხლის-სამართლებრივი იუსტიციის სფეროში პიროვნებების სამართლებრივი სტატუსის საფუძვლიანად განსაზღვრისათვის.[3] ზოგიერთ მათგანს უშუალო დამოკიდებულება აქვთ სასჯელის აღსრულებასა და მსჯავრდადებულისადმი მოპყრობასთან. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-9 მუხლი იუწყება: "არავის დაპატიმრება, დაჭერა ან გაძევება არ შეიძლება თვითნებურად". დეკლარაციის მე-5 მუხლისა და პაქტის მე-7 მუხლის მიხედვით არავის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან მისი ღირსების შემლახავი მოპყრობა და სასჯელი. ამასთან ერთად, პაქტის მე-7 მუხლი კრძალავს სამედიცინო ან სამეცნიერო ცდების ჩატარებას პირის თავისუფალი თანხმობის გარეშე.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი ამტკიცებს რა ყოველი ადამიანის თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებას, განსა-

---

1. როგორც ცნობილია, სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა.ი. ვიშინსკიმ თავი შეიკავა გაეროში ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პროექტზე კენჭისყრის დროს. სსრ კავშირი ამ დეკლარაციას შეუერთდა მოგვიანებით. საქართველო, როგორც სსრ კაშირის ერთ-ერთი სამართალმემკვიდრე, ავტომატიურად ითვლება ამ სფეროს სხვა შეთანხმების მონაწილედაც, რომლებიც რაციფიცირებულია ყოფილი კავშირის მიერ.

2. См. Международная защита прав и свобод человека. Сборник документов. М., 1990 -с. 14-20, 32-53

3. საყოველთაო დეკლარაციის მე-2 მუხლში ნათქვამია, რომ ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა თავისუფლება რაიმე მდგომარეობის განსხვავების მიუხედავად.

ზღვრავს, რომ "არავის არ შეუძლია თავისუფლება აღეკვეთოს სხვაგვარად, თუ არა ისეთი საფუძვლისა და პროცედურის შესაბამისად, რომელიც კანონით არის დაწესებული".

სასჯელ-აღსრულებითი კანონმდებლობისა და მისი გამოყენების პრაქტიკისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს პაქტის მე-10 მუხლს, რაშიც კერძოდ ნათქვამია, რომ "ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს აქვს უფლება, რომ ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელ ღირსებას. აღნიშნული მუხლის მიხედვით პენიტენციარული სისტემა მსჯავრდებულებისათვის ითვალისწინებს რეჟიმს, "რომლის არსებითი მიზანია მათი გამოსწორება და ახლებური სოციალური აღზრდა". არასრულწლოვან სამართალდამრღვევთ აცალკევებენ სრულწლოვანთაგან და უწესებენ რეჟიმს, შესაბამისს მათ ასაკთან და სამართლებრივ სტატუსთან.[1]

როგორც ცნობილია ჯერ კიდევ 1930 წელს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებული იქნა კონვენტაცია იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ (სსრ კავშირის მიერ რატიფიცირებულია 1956 წელს).[2] კრძალავს რა ასეთ შრომას, კონვენტაცია მასში არ რთავს "ყოველგვარ სამუშაოს ან სამსახურს, რომელიც მოითხოვება რომელიმე პირის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძვლით, იმ პირობით, რომ ასეთი სამუშაო ან სამსახური

---

1. იხ. გაეროს ძირითადი დოკუმენტები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ბათუმი, 1995 წ. გვ. 105.

2. См. международная защита прав и свобод человека. Сборник документов М. 1990. с - 219-230

წარმოებული იქნება სახელმწიფო ხელისუფლების ზედამხედველობისა და კონტროლის ქვეშ, და რომ აღნიშნული პირი არ იქნება გადაცემული კერძო პირების, კომპანიებისა და საზოგადოებების განკარგულებაში", (მუხლი მე-2). ასეთი მდგომარეობა ნაწილობრივ ასახული იქნა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-8 მუხლში, სადაც დაშვებულია სავალდებულო შრომა, როგორც მსჯავრდადებულთათვის ასევე თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებულ პირთათვის.

ვაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1975 წელს კონსენსუსის საფუძველზე მიიღო დეკლარაცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელისაგან ყველა პიროვნების დაცვის შესახებ. დეკლარაციის მე-ე მუხლი იუწყება: "მერსონალისა და სხვა ოფიციალური პირების მომზადებამ, რომლებიც დგანან კანონის დაცვის სადარაჯოზე და პასუხს აგებენ თავისუფლება აღკვეთილი პირებისათვის, უნდა უზრუნველყონ ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც მთლიანად აიკრძალებოდა წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა და სასჯელი".

ამასთან ერთად დეკლარაციაში მოყვანილი წამების განმარტებაში არ არის ჩართული ტკივილი ან ტანჯვა, "წარმოშობილი მხოლოდ კანონიერი თავისუფლების აღკვეთის, მისთვის დამახასიათებელი მდგომარეობის მიზეზითა და იმ ხარისხით, თუ რამდენადაა შეთავსებული მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტებთან".

საბოლოოდ კი დეკლარაციამ გამოიწვია მიღებულიყო კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის წინააღმდეგ. კონვენცია გამომდინარეობს დეკლარაციის ძირითადი პრინციპებისაგან და მიღებული იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1984 წლის 10 დეკემბერს (სსრ კავშირმა რატიფიკაცია გაუკეთა 1987 წელს და ამავე წელს შევიდა ძალაში).

კონვენცია ითვალისწინებს, რომ ყოველმა მონაწილე სახელმწიფომ თავის შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობაში წამება უნდა განიხილოს როგორც დანაშაული. ის არაორაზროვნად კრძალავს წამების გამართლებას "ზემდგომი თანამდებობის პირის ან სახელმწიფო ხელისუფლების ბრძანებით" თუ "განსაკუთრებული გარემოებებით, როგორიც უნდა იყოს, იქნება ეს საომარი მდგომარეობა თუ ომის საფრთხე, არასტაბილური შინაპოლიტიკური ვითარება თუ ნებისმიერი სხვა საგანგებო ვითარება".

კონვენციის 1-ლი მუხლის მიხედვით წამება ნიშნავს "ნებისმიერ მოქმედებას, რომლითაც რომელიმე პირს განზრახ აყენებენ ძლიერ ტკივილს ან ტანჯვას, ფიზიკურს თუ ზნეობრივს, რათა მისგან ან მესამე პირისაგან მიიღონ ინფორმაცია ან აღიარება, დასაჯონ ეს პირი მის მიერ ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ისეთი მოქმედებებისათვის, რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია, აგრეთვე დააშინონ ან აიძულონ იგი ან მესამე პირი, ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ნებიმიერი მიზეზით, როცა ასეთ ტკივილს ან ტანჯვას ამ პირს აყენებს სახელმწიფო თანამდებობის პირი ან სხვა ოფიციალური პირი, ან ხდება მათი წაქეზებით, ნებართვით თუ უსიტყვო თანხმობით". მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ კონვენციაში მოცემულ წამების განმარტებაში არ შედის ტკივილი ან ტანჯვა, რომელიც ჩნდება მხოლოდ კანონიერი სანქციების შედეგად, განუყოფელია ამ სანქციებისაგან ან თუ ეს სანქციები შემთხვევით იწვევს მათ. როგორც ჩანს ზემოთ ნახსენები დეკლარაციისაგან განსხვავებით კონვენცია პრინციპში უშვებს ტკივილის ან ტანჯვის მიყენებას არა მხოლოდ "კანონიერი თავისუფლების აღკვეთის დროს", აგრეთვე სხვა "კანონიერი სანქციების" მოქმედების შედეგად.[1]

1. გაეროს ძირითადი დოკუმენტები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ბათუმი, 1995 წელი, გვ. 199-200

კონვენცია, საკმარისი საფუძვლის შემთხვევაში, თუ რომელიმე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სისტემატიურად გამოიყენება წამება, ითვალისწინებს საერთაშორისო გამოძიების ჩატარების შესაძლებლობას. ასეთი გამოძიება შეიძლება წარმოებული იქნას ქვეყნის ტერიტორიაზე მისივე თანხმობით, კონვენციის თანახმად შექმნილი წამების საწინააღმდეგო კომიტეტის წევრების მიერ.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის სფეროში პრინციპულ დებულებებს შეიცავენ აგრეთვე რეგიონალური საერთაშორისო სამართლებრივი უნივერსალური ხასიათის დოკუმენტებიც. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ევროპის კონტინენტზე ისინი მუშავდებოდა და მიიღებოდა ევროპის საბჭოს ეგიდით, რომელიც დაარსდა 1949 წელს. მისი წესდების შესაბამისად, საბჭო წარმოადგენს სახელმწიფო ორგანიზაციას, რომელიც ყველაფერს აკეთებს ევროპაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფისათვის და სოციალური სფეროს განვითარებისათვის. მსოფლიო მნიშვნელობის საერთაშორისო აქტების გარდა, საბჭოს მოღვაწეობის იურიდიულ საფუძველს წარმოადგენენ ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებათა დაცვის შესახებ (1950 წლის 4 ნოემბერი: ოქმებით) და ევროპის კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელისაგან არიდების შესახებ (1987 წლის 26 ნოემბერი: ოქმებით).

ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების დაცვის შესახებ დაფუძნებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაზე. კონვენციის მე-3 მუხლი განსაზღვრავს, რომ "არავის მიმართ არ უნდა იქნას გამოყენებული წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან მისი ღირსების შემლახავი მოპყრობა და სასჯელი". მე-5 მუხლის თანახმად არავინ არ შეიძლება იყოს თავისუფლებააღკვეთილი გარდა კონვენციით გათვალისწინებულ და კანონით დადგენილ შემთხვევებისა. კერ-

ძოდ, ასეთ შემთხვევებს მიეკუთვნება "კომპეტენტური სასამართლოს მიერ პირის დამნაშავედ ცნობის საფუძვლით, მისი კანონიერი დაპატიმრება".

კონვენცია კრძალავს "იძულებით ან სავალდებულო შრომას". თუმცა აღნიშნულ ტერმინში არ არის ჩართული, კერძოდ, "ნებისმიერი სამუშაო, რომელიც ჩვეულებრივ უნდა შეასრულოს თავისუფლებააღკვეთილმა ან ასეთი სასჯელისაგან პირობით გათავისუფლებულმა პირმა (კონვენციის მე-5 მუხლის დებულების თანახმად)".

კონვენცია პრინციპში უშვებს სიკვდილით დასჯის გამოყენებას, "როდესაც ჩადენილი დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა და სასამართლომ გამოიტანა ასეთი სასჯელი". ამასთან ერთად კონვენციის 1983 წლის 28 აპრილის № 6-ე ოქმი გამოხატავს რა საერთო ჰუმანურ ტენდენციებს 1-ლი მუხლით კრძალავს სიკვდილით დასჯას. ხსენებული ოქმის მე-2 მუხლის თანახმად სიკვდილით დასჯის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ "ომის დროს ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებისათვის ან გარდაუვალი ომის საშიშროებისას".

ევროპის კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის არიდების შესახებ ძალაში შევიდა 1989 წლის თებერვალში. აღნიშნული კონვენცია გამომდინარეობს ზემოთ უკვე ნახსენები 1984 წლის 10 დეკემბრის კონვენციის (წამების წინააღმდეგ) პრინციპებიდან, მაგრამ გააჩნია თავისებურებები. ისინი ქმნიან სპეციალურ არასასამართლო კონტროლის მექანიზმს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში წამების არიდების დარგში (წამების არიდების ევროპის კომიტეტი).

კონვენციის ყველა მონაწილე შეთანხმდება იმის თაობაზე, რომ კომიტეტის წევრებს უფლება აქვთ მოინახულონ თავისუფლების აღკვეთის ადგილები (მათ შორის საპყრობილეებიც) იმ მიზნით, რომ აღმოაჩინონ და თავიდან აიცილონ დარღვევები ამ დარგში. რეკომენ-

დაციები, რომლებსაც კომიტეტი რთავს თავის კონფიდენციალურ მოხმენებაში, მოწოდებული არიან გააუმჯობესონ თავისუფლების აღკვეთის პირობები, რათა აღმოიფხვრას ყოველგვარი წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის შესაძლებლობა.

საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც ეხებიან ბგანსაზღვრულ პროფესიონალურ ჯგუფებს

განსაზღვრულ პროფესიონალურ ჯგუფებს ეხება ორი გაეროს დოკუმენტი: პირველი ეხება სამედიცინო პერსონალს, ხოლო მეორე - მართლწესრიგის დამცველ ორგანოებს.

სამედიცინო ეთიკის პრინციპები, რომლებიც ეხება ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა, განსაკუთრებით ექიმთა როლს დაკავებული ან დაპატიმრებული პირის წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელისაგან დაცვაში, დაფუძნებული არიან 1975 წელს მიღებულ მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის ტოკიოს დეკლარაციაზე. მისი ძირითადი დებულებები ჩამოყალიბებულია პირველ პარაგრაფში: "ექიმმა არ უნდა მისცეს სანქცია, არ უნდა დაუშვას ან არ უნდა მიიღოს მონაწილეობა მსჯავრდადებულთა წამებაში და სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობაში, მიუხედავად იმისა თუ რა დანაშაულშია ეჭვმიტანილი ასეთი მოპყრობის მსხვერპლი, მსჯავრი ედება თუ დამნაშავეა, ასევე ნებისმიერ სიტუაციაში, ეს იქნება შეიარაღებული კონფლიქტები თუ სამოქალაქო შეტაკებები, მისი რწმენისა და მოტივის მიუხედავად".[1]

1.См. Международная зашита прав и свобод человека. Сборник документов. М., 1990 . с. 319-325

დეკლარაციის საფუძვლით 1982 წლის 18 დეკემბერს გაეროს განერალური ასამბლეის 34/169 რეზოლუციით მიღებული იქნა სამედიცინო ეთიკის კოდექსი, რომელიც შემუშავებული იქნა საერთაშორისო სამედიცინო ორგანიზაციების საბჭოს მიერ, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თხოვნით.

სამედიცინო ეთიკის პირველი პრინციპი აუწყებს, რომ მსჯავრდადებული ან დაკავებული, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მკურნალობის ისეთივე ხარისხითა და დონით, როგორც უზრუნველყოფილია იმ პირთა მკურნალობა, რომლებიც არ არიან დაპატიმრებული ან დაკავებული.

მეორე პრინციპი აცხადებს, რომ აქტიურად ან პასიურად მონაწილეობა ან თანმშრომლობა წამებაში ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობასა და დასჯაში ან საამისო წაქეზება არის სამედიცინო ეთიკის უხეში დარღვევა.

მესამე პრინციპი აშუქებს ექიმის როლს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში. ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები, განსაკუთრებით ექიმები არღვევენ სამედიცინო ეთიკას, თუ დაპატიმრებულ ან დაკავებულ პირებთან აქვთ რაიმე სხვა ისეთი პროფესიული ურთიერთობა, რომლის მიზანი არ არის მხოლოდ და მხოლოდ მათი ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გამოკვლევა, დაცვა ან გაუმჯობესება.

მეოთხე პრინციპი განიხილავს განაჩენის გამოტანისას ექიმთა მონაწილეობის რთულ საკითხს. ის გვაუწყებს, რომ სამედიცინო პერსონალმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა მსჯავრდადებულის დაკითხვებში, ან დაადასტუროს, რომ დაპატიმრებულ ან დაკავებულ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალებას იძლევა მათ მიმართ გამოყენებული იყოს მოპყრობის ან სასჯელის ნებისმიერი ფორმა, რომელმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მათ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და რომელიც არ შეესატყვისება შესაბამის საერთაშორისო დოკუმენტებს.

უსაფრთხოების ზომების გამოყენება - ესაა სფერო, სადაც შესაძლებელია ხდებოდეს ადამიანის უფლებების უმეტესი სერიოზული დარღვევები. მეხუთე პრინციპი მიუთითებს, რომ სამედიცინო პერსონალს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა დამთრგუნველი ხასიათის ნებიმიერ პროცედურაში, იმ შემთხვევაში თუ ეს აუცილებელია დაპატიმრებული ან დაკავებული პირის ან დაცვის პერსონალის უსაფრთხოებისათვის და ჯანმრთელობის დაცვისათვის და თუ ეს არ უქმნიან საფრთხეს მათ ჯანმრთელობას.

გაეროს გენერალური ასამბლეის 1979 წლის 17 დეკემბრის 34/169 რეზოლუციით მიღებული იქნა მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი.[1]

კოდექსის თანახმად მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირნი არიან ყველა დანიშნული ან რჩეული თანამდებობის პირნი, რომელთაც აქვთ პოლიციის უფლებამოსილებანი, განსაკუთრებით სამართალდამრღვევთა დაკავების უფლებამოსილება. ამასთან დაკავშირებით კოდექსს აქვს პირდაპირი დამოკიდებულება სასჯელაღსრულებითი ორგანოებისა და დაწესებულებების პერსონალის მოღვაწეობასთან. კოდექსი შეიცავს რვა მუხლს და აქვს რეკომენდაციული ხასიათი. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაადგინა, გადაუგზავნოს კოდექსი გაეროს წევრი სახელმწიფოების ხელისუფალთ, რათა ეროვნულ კანონმდებლობაში და პრაქტიკაში ის გამოყენებული იქნას პრინციპთა კრებულის სახით.

კოდექსის ყოველ მუხლს გააჩნია კომენტარი, რომელიც ეროვნულ კანონმდებლობაში კოდექსის დებულების გამოყენების ხელშეწყობისათვის იძლევა დაწვრილებით ინფორმაციას.

---

1. გაეროს ძირითადი დოკუმენტები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ბათუმი. 1995 წელი. გვერდი 291

კოდექსის მიხედვით მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ძირითადი მოვალეობაა პატივი სცეს და იცავდეს ადამიანურ ღირსებას, მხარს უჭერდეს და იცავდეს ადამიანის უფლებებს ყველა პირის მიმართ. კოდექსის მიხედვით, მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთ ძალის გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს მათი მოვალეობის შესრულება. მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა მიერ მიღებული კონფიდენციალური ხასიათის ინფორმაცია საიდუმლოდ ინახება, თუ სხვას არ მოითხოვს მოვალეობის აღსრულება ან მართლმსაჯულების ინტერესები. კოდექსი კატეგორიულად უკრძალავს თანამდებობის პირთ, რომ მათ არ უნდა დაიმოწმონ ზემდგომ პირთა განკარგულებები ან ისეთ განსაკუთრებულ გარემოთა არსებობა, როგორიცაა ომის მდგომარეობა ან მისი საშიშროება, საფრთხე ეროვნული უშიშროებიათვის, შინაური პოლიტიკური არასტაბილურობა ან ნებისმიერი სხვა საგანგებო მდგომარეობა წამების ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის გასამართლებლად. მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთათვის დაუშვებელია კორუპციის რაიმე აქტის ჩადენა. სასჯელაღსრულებითი პრაქტიკისათვის და შეიძლება ითქვას მთელი სახელმწიფოებრივი მმართველობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კოდექსის მე-7 მუხლის კომენტარს, სადაც მოცემულია მართლწესრიგის პრინციპის მორალურ-პოლიტიკური დასაბუთება: "... მთავრობები არ უნდა ელოდნენ მოქალაქეთა მიერ მართლწესრიგის დაცვას, თუ მათ არ ძალუძთ ან არ სურთ უზრუნველყონ კანონიერების დაცვა თავის საკუთარ თანამდებობების პირთა მხრივ და თავისი საკუთარი დაწესებულებების ფარგლებში".[1]

1. გაეროს ძირითადი დოკუმენტები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ბათუმი, 1995 წელი. გვ. 298

იმავდროულად აღინიშნება, რომ მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირნი, რომლებიც ახორციელებენ კოდექსის ყველა დებულებებს, იმსახურებენ პატივისცემას, სრულ მხარდაჭერასა და თანამშრომლობას საზოგადოებისა და მართლწესრიგის დაცვის იმ დაწესებულებების მხრივ, რომელშიც ისინი მსახურობდნენ, აგრეთვე იმ პირთა მხრივ, რომლებიც მართლწესრიგის დაცვას ემსახურებიან.

§ 2. თავისუფლების აღკვეთისას მსჯავრდადებულებთან მოპყრობის სპეციალური საერთაშორისო სტანდარტები

თავისუფლების აღკვეთისათვის დამახასიათებელი საზოგადოდ მიღებული სპეციალური სტანდარტები ჩამოყალიბებულია მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში. მათი წინამორბედები იყვნენ ჯერ კიდევ 1934 წელს ერთა ლიგის წევრი ქვეყნების ასამბლეის მიერ ხელისუფლებისადმი რეკომენდირებული მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები.

ერთა ლიგის წესები ეხებოდა მსჯავრდადებულთა კლასიფიკაციას, მათი განთავსების ფიზიკურ პირობებს, საპყრობილეების რეჟიმებს, დისციპლინას, დაწესებულთა პერსონალსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებული პირებისათვის ხელის შეწყობას.[1] ეს წე-

1. გასაგებია, რომ მაშინდელი საბჭოთა პენიტენციარული მეცნიერებისათვის და პრაქ-ტიკისათვის ცნობილი არ იყო ერთა ლიგის წესები, ხოლო სტალინისდროინდელი "გულაგური" სისტემა მინიმალურადაც არ უშვებდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში რაიმე კონტროლს (მათ შორის საერთაშორისოსაც). როგორც ცნობილია სსრ კავშირი ერთა ლიგიდან გარიცხული იყო 1940 წელს.

სები საერთაშორისო მასშტაბით უცვლელი იყო მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე. 1945 წელს შექმნილმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ყურადღება გაამახვილა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების განვითარებაზე, საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვაზე, დანაშაულებებთან ბრძოლასა და ადამიანის უფლებების დაცვაზე.

1943 წელს მიღებულმა ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციამ ბიძგი მისცა სასჯელის პოლიტიკას მიმართულიყო უფრო ჰუმანური და პროგრესული პრინციპებისაკენ, რაც გამომდინარეობდა საზოგადოების განახლებისა და ახალი დემოკრატიული ორიენტაციისაგან. გაერომ 1949 წელს მოიწვია საპყრობილური გამგეობის დარგში საერთაშორისო სპეციალისტებისაგან შემდგარი თავისი ორგანო. მათი რეკომენდაციით გადამოწმებული იქნა ერთა ლიგის ეგიდით შემუშავებული მსჯავრდადებულებებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები. ახალი წესების პროექტი მიღებული იქნა 1955 წლის 30 აგვისტოს, დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავეებთან მოპყრობის პრობლემებზე მოწვეულ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პირველ კონგრესზე. მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებსა და მათ გამოყენებას გაეროს ყოველ შემდგომ კონგრესზე ყურადღება ეთმობოდა თავისუფლების აღკვეთის ყველა შესაძლებელ სფეროში მათი გავრცელების მიზნით. გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ აღნიშნული წესები მიღებული და მოწონებული იქნა 1957 წელს. 1977 წელს მათ დაემატა დამატებითი წესი. 1984 წელს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ მოიწონა მინიმალური სტანდარტული წესების შესრულების ეფექტური პროცედურა. დღესდღეობით, მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები არის სრული და დაწვრილებითი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც

განსაზღვრავს თავისუფლება-აღკვეთილ პირებთან მოპყრობის საფუძვლებს. ისინი შეიცავენ 95 ვრცელ მუხლს.[1]

რეზოლუციებში, რომელთა მიხედვითაც წესები მოქმედებაში შევიდნენ, და თვით წესებშიც მითითებულია, რომ მათ საერთაშორისო სამართალში არ აქვთ აუცილებელი სტატუსი. "ისინი გათვალისწინებული არიან მხოლოდ იმისათვის, რომ თანამედროვე აზროვნების საყოველთაოდ აღიარებული მიღწევების საფუძვლითა და თანამედროვე ეტაპზე მეტად დამაკმაყოფილებელი სისტემების ძირითადი ელემენტების გათვალისწინებით ჩამოყალიბდეს ის, რაც მსჯავრდადებულებთან მოპყრობისა და სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულებების მართვის დარგში პრინციპული და პრაქტიკული მხედველობით ითვლება სწორად". ამასთან ერთად, როგორც აღნიშნულია მინიმალური სტანდარტული წესების შესავალში (მუხლი 1). "ისინი თავის მხრივ წარმოადგენენ მინიმალურ პირობებს, რომლებიც განიხილებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის მისაღებად, და როგორც ასეთი, მოწოდებული არიან ასევე უზრუნველყონ მსჯავრდადებულთა დაცვა ცუდი მოპყრობისაგან, რაც გამოხატულია დისციპლინის შენარჩუნებასა და პენიტენციარულ დაწესებულებებში წესრიგის დასამყარებლად სხვადასხვა ზომების მიღებაში".

მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები გადაიქცა სისხლისსამართლებრივი სასჯელ-აღსრულებითი სისტემისათვის მისაღები პრაქტიკის საერთაშორისო აღიარების ბირთვად. საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წესების საერთო აღიარება არ ნიშნავს იმას, რომ ცალკეულად ყოველ ნორმას გააჩნია სავალდებულო ძალა. თვით წესებიც

---

1. Международная зашита прав и свобод человека. Сборник документов. М.,-с.290-319

გამორიცხავენ ასეთ განმარტებას. 1 მუხლში აღნიშნულია, რომ წესები არ ითვალისწინებენ ტიპიური პენიტენციარული სისტემის დეტალურ აღწერას. მე-2 მუხლში ნათქვამია, რომ სახელმწიფო და სოციალური წყობის სახეების დიდი მრავალფეროვნებისა, და მსოფლიოში არსებული სხვადასხვა ეკონომიკური და გეოგრაფიული პირობების გამო ყველა ნორმის გამოყენება "ნებისმიერ ადგილზე და ნებისმიერ დროს" დაუშვებელია. მე-3 მუხლის მიხედვით წესები არ კრძალავენ ექსპერიმენტებს.

მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში მოცემულია საყოველთაოდ გამოსაყენებელი წესები, ხოლო მეორე ნაწილში - წესები, რომლებიც გამოიყენება განსაკუთრებული კატეგორია მსჯავრდა-დებულთათვის. (განკუთვნილია მსჯარდადებულთათვის, ძიებაში მყოფ პირთათვის, სამოქალაქო საქმის მსჯავრდადებულთათვის, ბრალდების წაყენების გარეშე საპყრობილეში მოთავსებულთათვის, სულით ავადმყოფთათვის და გონებადაქვეითებულთათვის).

"რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიური, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ნაციონალური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი, ოჯახური თუ სოციალური მდგომარეობის" მიუხედავად წესების გამოყენებისას დაუშვებელია მსჯავრდადებულთა დისკრიმინაცია (მუხლი 6.1).

წესების პირველ ნაწილში ჩამოყალიბებულია საპყრობილეში განთავსების ძირითადი მოთხოვნები. ისინი ადგენენ, რომ "არავინ არ მიიღება საპყრობილეში დაპატიმრების შესახებ ნამდვილი ბრძანების გარეშე, რომლის დაწვრილებითი მონაცემები შეიტანება რეესტრში. საპყრობილეში მიღების დროს პატიმარს უნდა წარედგინოს წერილობითი ინფორმაცია, რომელიც ეხება მათთან მოპყრობის წესებს, დისციპლინის მოთხოვნებს, ინფორმაციის მიღებისა და საჩივრების წარდგენის ნებადართულ ხერხებს. წერა-

კითხვის უცოდინართა ინფორმირება აუცილებელია ზეპირად (სიტყვიერად).

ყოველი მსჯავრდადებულის მონაცემები სწორად უნდა იქნას ჩაწერილი. სხვადასხვა კატეგორიის მსჯავრდა-დებულები უნდა განთავსდნენ ცალ-ცალკე, მაგალითად, ქალები და მამაკაცები, მსჯავრდებულები და არამსჯავრდებულები, მცირეწლოვანები და ასაკიანები (7,8 მუხლები).

მსჯავრდადებულთა ცხოვრების პირობები უნდა პასუხობდეს სანიტარიისა და ჰიგიენის ყველა მოთხოვნებს. იქ, სადაც მსჯავრდადებულები ათევენ ღამეს, ყველას უნდა გააჩნდეს ცალკე საკანი ან ოთახი. თუ არის საერთო საკნები, მათში მოთავსებული პირები საგულდაგულოდ უნდა გადაირჩნენ, "რათა დავრწმუნდეთ, რომ მათ შესწევთ უნარი ასეთ პირობებში ცხოვრებისათვის".

ყველა შენობა, რომლითაც სარგებლობენ მსჯავრდადებულები, უნდა პასუხობდეს სანიტარულ მოთხოვნებს (მათი მინიმალური ფართობის, განათების, ჰაერის გასუფთავების თვალსაზრისით).

მსჯავრდადებულთ უფლება აქვთ მიიღონ სუფთა და შესაფერისი ტანსაცმელი, თეთრეული, რომლებიც რეგულარულად იცვლებიან. მათ უნდა მიეცეთ საკმარისი საჭირო საკვები და აუცილებელი რაოდენობა სასმელი წყლისა (მუხლები 17-20). ყველა მსჯავრდადებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა დღეში თუნდაც ერთი საათით გაატაროს დრო სუფთა ჰაერზე (მუხლი 21).

მსჯავრდადებულთა სამედიცინო მომსახურება ითვალისწინებს ყოველ სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებაში ფსიქიატრიის მცოდნე თუნდაც ერთი მედიცინის მუშაკის არსებობას. სამედიცინო მომსახურება უნდა განხორციელდეს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ან ადგილობრივ ორგანოებთან მჭიდრო კავშირში. სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებაში მიღებისთანავე ყოველმა მსჯავრდადებულმა უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება. შემდგომი შემოწმება ხდება საჭიროების ან მოთხოვნების მიხედვით. ექიმმა

ყოველდღე უნდა მიიღოს ან ინახულოს ავადმყოფი მსჯავრდადებულები და ყველა ისინი, ვინც უჩივის ავადმყოფობას. სპეციფიკური სამედიცინო დახმარება უნდა გაეწიოს მსჯავრდადებულ ქალებს, განსაკუთრებით მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომ პერიოდში.

რამდენადაც საპყრობილე არის იძულებით დაწესებულება და მოითხოვს უსაფრთხოებისა და მართვის ჯეროვან დონეს წესები ადგენენ, რომ "დისციპლინა და წესრიგი საჭიროა შენარჩუნდეს მტკიცედ, მხოლოდ იმ შეზღუდვების შეტანით, რომლებიც აუცილებელია ზედამხედველობის საიმედოდ უზრუნველყოფისათვის და დაწესებულებებში საერთო ცხოვრების წესების დაცვისათვის" (მუხლის 27).

დისციპლინარული დასჯის წესით მსჯავრდადებულის ჩაბმა თვით დაწესებულებისათვის საჭირო საშუშაოში დაუშვებელია. მაგრამ ამ წესმა არ უნდა შეეწინააღმდეგოს თვითმართვის სისტემის ფუნქციონირებას, რომლის დროსაც სოციალური ან სპორტული მოღვაწეობის გარკვეული სახეებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ თვით მსჯავრდადებულებს.

კანონით ან კომპეტენტური ადმინისტრაციული ხელისუფლების განკარგულებით უნდა განისაზღვროს ყოფაქცევის მოთხოვნები, როგორც დისციპლინარული დარღვევის შემადგენელი ნაწილი, მოსალოდნელი სასჯელის სახე და ხანგრძლივობა, აგრეთვე ორგანო, რომელსაც აქვს უფლება მისი გამოყენებისა (წესების 29-ე მუხლი). მსჯავრდადებულს უნდა ჰქონდეს თავის გამართლების შესაძლებლობა. წესები კრძალავენ ფიზიკურ დასჯას და ასევე სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და სასჯელის გამოყენებას.

მინიმალური სტანდარტული წესები გამოყოფენ იძულების ისეთ სპეციალურ სახეს, როგორიცაა "დათრგუნვის საშუალება" (მუხლები 33-34). მათი გამოყენება დასჯის მხრით დაუშვებელია. ისინი შესაძლებელია გამოყენებული

მშრომლობისათვის, მსჯავრდადებულების საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაბრუნების მიზნით“ (მუხლი 61). დაპატიმრების მთავარი მიზანია—გამოუმუშავოს მსჯავრდადებულს სურვილი გათავისუფლების შემდეგ კანონმორჩილი ქცევისათვის. ყოველ საპყრობილეში უნდა არსებობდეს მომსახურების ისეთი სახეები, როგორიცაა რელიგიური მომსახურება, განათლება, პროფესიული მომზადება და ორიენტაცია, კონკრეტული სოციალური შემთხვევების შესწავლა და სხვადასხვა კონსულტაციები.

მესამეც, აუცილებელია ინდივიდუალური მიდგომა. მსჯავრდადებულთა სხვადასხვა ჯგუფების მიმართ, საჭიროა უსაფრთხოების სხვადასხვა ზომების მიღება. შედარებით ხელსაყრელი პირობები არსებობს ღია დაწესებულებებში საგულდაგულოდ არჩეული მსჯავრდადებულთათვის. სასურველია, რომ დახურულ დაწესებულებებში მსჯავრდადებულთა რიცხვი იყოს არც თუ ისე დიდი იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ინდივიდუალური მიდგომის გამოყენება. მსჯავრდადებულის სასჯელისაგან გათავისუფლების შემდეგ საჭიროა მასზე ზრუნვის გამოჩენა (მუხლები 62 და 63).

მინიმალური სტანდარტული წესების სპეციალური თავი (მუხლები 71-76) მიძღვნილია მსჯავრდადებულის შრომისათვის. კერძოდ დადგენილია, რომ “ყველა მსჯავრდადებული ვალდებულია იშრომოს ექიმის მიერ დადასტურებული თავისი ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობის შესაბამისად“ (მუხლი 71, ნაწილი 2). ამასთანავე სასურველია, რომ მსჯავრდადებულს ჰქონდეს “შესაძლებლობა შეასრულოს სამუშაო საკუთარი არჩევანის მიხედვით, თუკი ეს შეესაბამება ხელობის სწორ არჩევანს, მართვის მოთხოვნებს და დაწესებულებაში არსებულ დისციპლინას“ (მუხლი 71, ნაწილი 6).

წესების 72-ე მუხლის 1.2 პუნქტის თანახმად “დაწესებულებაში სამუშაოს ორგანიზება და მეთოდები მაქსიმალურად უნდა უახლოვდებოდეს თავისუფლების პირობებში არსებულ მეთოდებს..., თუმცა მსჯავრდადებულის ინტე-

რესები და მათი პროფესიული მომზადება არ უნდა დაუკავშიროთ საბყრობილური წარმოებიდან მოგების მიღების მოსაზრებებს".

მინიმალური სტანდარტული წესები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ სისხლისსამართლებრივი სასჯელაღსრულებითი დაწესებულების პერსონალს. წესები მოითხოვენ პერსონალის გულმოდგინედ არჩევას, რამე თუ "საბყრობილური დაწესებულებების კარგი მუშაობა დამოკიდებულია მათ პირად თვისებებზე, კეთილსინდისიერებაზე და ჰუმანურობაზე, კომპეტენტურობასა და საქმის ცოდნაზე."

სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების ადმინისტრაციამ დაუღალავად უნდა განუვითაროს თავის თანამშრომლებს იმის რწმენა, რომ ისინი ასრულებენ დიდ საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამუშაოს. სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების ადმინისტრაციის თანამშრომლები უნდა ინიშნებოდნენ, როგორც პროფესიონალი სამტატო მუშაკები, რომლებიც ისარგებლებენ სახელმწიფო მოსამსახურის სტატუსით და ექნებათ შესაბამისი ანაზღაურება, რათა მიიზიდონ სამუშაოდ კვალიფიციური მუშაკები. ასეთ პერსონალს უნდა ჰქონდეს კარგი პროფესიონალური მომზადება, როგორც სამუშაოს დაწყებისას, ასევე შემდგომშიც. საჭიროა სპეციალისტების მოწვევა: ფსიქიატრების, ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკების, მასწავლებლებისა და სხვადასხვა განხრის სპეციალისტების. დაწესებულების დირექტორის არჩევას კი უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღება. სასჯელაღსრულებითი დაწესებულების პერსონალს შეუძლია მიმართოს ძალადობას მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში და კანონის ფარგლებში, როგორც წესი, მოსამსახურე პერსონალი, რომელსაც უშუალო კონტაქტი აქვს მსჯავრდადებულებთან, იარაღს თან არ ატარებს (მუხლები 46-54).

პენიტენციარული დაწესებულებები და სამსახურები რეგულარულად უნდა იქნენ ინსპექცირებული, რათა გამოირიცხოს კანონებისა და მიწერილობების დარღვევები.

მინიმალური სტანდარტული წესების მიღების შემდეგ წევრ-სახელმწიფოებს მიეცათ წინადადება ყოველ ხუთ წელიწადში გაერთიანებული ერების ორგანიზაციების გენერალური მდივნის წესების შესრულების მსვლელობის თაობაზე ინფორმირების შესახებ.

1984 წელს გაეროს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ მოიწონა მინიმალური სტანდურტული წესების ეფექტური შესრულების პროცედურები. პროცედურები განაპირობებენ ისეთი მოქმედებების აუცილებლობას, რომლებიც უზრუნველყოფენ წესების რეალიზაციას:

- წესების მიღება ყველა სახელმწიფოს მიერ (პირველი პროცედურა);

- ეროვნულ კანონმდებლობასა და სხვადასხვა დებულებებში წესების დანერგვა (მეორე პროცედურა);

- მინიმალური სტანდარტული წესების წარდგენა ყველა პირის განკარგულებაში, განსაკუთრებით მართლწესრიგის დამცავ თანამდებობის პირთათვის და გამასწორებელი დაწესებულებების პერსონალისათვის (მესამე პროცედურა);

- ეროვნულ კანონმდებლობასა და სხვადასხვა დებულებებში დანერგილი მინიმალური სტანდარტული წესების გაცნობა და დაყვანა მსჯავრდადებულთა ცნობიერებამდე, ეს იქნება სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებაში მათი მიღებისთანავე თუ შემდეგ პერიოდში (მეოთხე პროცედურა);

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ინფორმირება სახელმწიფოების მიერ ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, მათი საპყრობილური სისტემის მდგომარეობის შესახებ (მეხუთე და მეექვსე პროცედურები);

- მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და მინიმალური სტანდარტული წესების გამოყენებასთან დაკავშირებით, ექსპერტების მოწვევით გაერთიანებული ერების

ორგანიზაციის გენერალური მდივნის რეგულარული მოხსენებები.

- მინიმალური სტანდარტული წესების ცხოვრებაში დანერგვისათვის სახელმწიფოთა მთავრობებზე გაეროს რეგულარული დახმარება.

მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალურმა სტანდარტულმა წესებმა მსოფლიოში ჰპოვეს საერთო აღიარება, როგორც მსჯავრდადებულებთან მოპყრობისა და თავისუფლების აღკვეთის ადგილების ხელმძღვანელობის ავტორიტეტულმა პრაქტიკულმა, რეკომენდაციებმა. მათმა ძირითადმა დებულებებმა შემდგომში ასახვა ჰპოვეს მთელ რიგს სხვა სპეციალურ საერთაშორისო დოკუმენტებში. ესენია მსჯავრდადებულებთან მიპყრობის ძირითადი პრინციპები და დაკავებული და დაპატიმრებული (როგორი ფორმითაც არ უნდა იყოს იგი) პირების დაცვის პრინციპთა კრებული.

პრინციპების კრებული ყველა იმ პირის დასაცავად, რომლებიც ნებისმიერი ფორმით არიან დაკავებული ან დაპატიმრებული მიღებული იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის 1988 წლის 9 დეკემბრის რეზოლუციით.[1] მას არა აქვს კანონის ძალა, მაგრამ გააჩნია დიდი წონა, რადგანაც მიღებული იქნა კონსენსუსიის გზით.

არსებულ დოკუმენტებს ფართოდ იყენებს აღნიშნულ პრინციპთა კრებული. მას მიერ გათვალისწინებული წესები ძირითადად ეხება სამართალწარმოების პროცედურას, მაგალითად დაკავებასა და დაპატიმრებაზე სასამართლო კონტროლი. თუმცა ისინი შეიცავენ ისეთ მნიშვნელოვან ზომებს, როგორებიცაა:

---

1. ბიძინა საყანელი – "ადამიანის უფლებები"
თბილისი 1997 წ. გვ. 59

- დაკავებულთა განთავსების ვალდებულება, თუ არის შესაბამისი თხოვნა, რაც შეიძლება ახლოს თავის საცხოვრებელ სახლთან და ოჯახთან (მე-18 პრინციპი);

- სასწავლო მასალების წარმოდგენა (24-ე პრინციპი);

- ოფიციალური პირების ვალდებულება უზრუნველყონ მსჯავრდადებულთა ოჯახების მინიმალური მხარდაჭერა (27-ე პრინციპი);

- თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლების შემდეგ უახლეს დროში მსჯავრდადებულის უეცარი სიკვდილის და დაკარგვის მიზეზების გამოძიების ვალდებულება (30-ე პრინციპი).

კრებულის მე-6 პრინციპს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. მასში აღნიშნულია, რომ "არც ერთი დაკავებული ან თავისუფლება-აღკვეთილი პირის მიმართ არ შეიძლება გამოყენებული იქნას წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა და სასჯელი. არანაირ გარემოებებს არ შეუძლიათ წამების ან სხვა სასტიკი არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის გამოყენების გამართლება."

კრებულის მე-6 პრინციპში მოყვანილი ტერმინი "სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი სასჯელი", უნდა განიმარტოს ისე, რომ შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილი იქნეს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხასიათის ზემოქმედების წინააღმდეგ მოქმედების ფართო დაცვა, აქ შედის, დაკავებულის ან თავისუფლება-აღკვეთილი პირის მოთავსება ისეთ პირობებში, რომლებშიც მას დროებით ან სრულიად ჩამოერთმევა ისეთი ბუნებრივი გრძნობები, როგორიცაა მხედველობა, სმენა, სივრცეში ან დროში ორიენტაცია. ეს კი ნიშნავს მსჯავრდადებულებზე წამების ანუ სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის გამოყენება არ შეიძლება გამართლდეს არანაირი მიზანმიმართულების დასაბუთებით.

დანაშაულებათა აღკვეთასა და სამართალდამრღვევთა მოპყრობის შესახებ მოწვეულ გაერთიანებული ერების

ორგანიზაციის მერვე კონგრესზე წარმოდგენილი იყო მსჯავრდადებულებთან მოპყრობის ძირითადი პრინციპები. ძირითადი პრინციპების პრეამბულაში საუბარია მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების მნიშვნელობაზე და მათი სრული შესრულების წინააღმდეგობებზე. გამოითქმება იმედი, რომ მათ საფუძველში ჩადებული პრინციპების ფორმულირება ხელს შეუწყობს ცხოვრებაში მათ სრულ დანერგვას. ძირითადი პრინციპები მიღებული იქნა 1990 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასაამბლეის მიერ.

პრინციპები ძირითადად დამყარებულია ადამიანის ღირსების პატივისცემასა და დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე (1-ლი და 2-ე პრინციპები). ისინი ასევე გვახსენებენ, რომ მსჯავრდადებულებს გააჩნიათ გაეროს შეთანხმებებით აღიარებული ყველა უფლება "იმ შეზღუდვების გამოკლებით, რასაც იწვევს თავისუფლების აღკვეთა" (მე-5 პრინციპი).

ამასთან ერთად, მოცემულ დოკუმენტში გაცხადებულია:

- მსჯავრდადებულთა რელიგიური მრწამსისა და კულტურული ტრადიციების პატივისცემა;
- კულტურულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებაში მათი უფლება;
- განცალკევებით თავისუფლების აღკვეთის შეზღუდვის ან გაუქმებისათვის ბრძოლის აუცილებლობა.
- მსჯავრდადებულთა გააზრებული შრომისათვის შესაბამისი პირობების შექმნა და მათი შრომის ანაზღაურება;
- სამედიცინო მომსახურებაზე თანაბარი უფლებები;
- ხელსაყრელი პირობები ყოფილი მსჯავრდადებულების თავისუფლებაში ცხოვრების ადაპტაციისათვის.

მთელი არსებობის მანძილზე მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები ახდენდნენ და ახდენენ საგრძნობლივ ზემოქმედებას იმ ქვეყნების

პენიტენციარულ პოლიტიკასა და პრაქტიკაზე, რომლებიც შეუერთდნენ მათ ძირითად დებულებებს. ამასთან ერთად, გასული 40 წელზე მეტი ხნის მანძილზე, პენიტენციარული პოლიტიკა, მეცნიერება და პრაქტიკა არ მდგარა ერთ ადგილზე. ამიტომაც, სავსებით გასაგებიცაა წესების ავტორიტეტის ამაღლებისაკენ, თავისუფლების აღკვეთის ადგილების სამართავად მათი სტატუსის განმტკიცებისათვის, თანამედროვე პირობებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით მათი გამოყენების პრაქტიკის სრულყოფისაკენ ლტოლვა.

ასეთი მცდელობები წარმატებით ხორციელდებოდნენ ორი მიმართულებით. პირველი - ეს არის თანამედროვე ინტერპრეტაცია მინიმალური სტანდარტული წესების იმ დებულებისა, რომლებიც 1955 წელთან შედარებით უკვე გამოიყურებიან არადამაკმაყოფილებლად ან მოძველებულად. მსგავსი ინტერპრეტაცია ხორციელდება წესების ტექსტის ცვლილების გარეშე, მათი კომენტირებისას იწვევენ პენიტენციარული სისტემის ავტორიტეტული წრის ხელმძღვანელებს, მეცნიერებს, სამართალდამცავი ორგანიზაციების წარმომადგენლებს.[1]

მეორე მიმართულება - ეს არის მინიმალური სტანდარტული წესების რიგი დებულებების სრულყოფა რეგიონალურ დონეზე. ასეთი მუშაობის შედეგად წარმოიშვა ევროპის საპყრობილური წესები. მსოფლიოში დღესდღეობით არსებული აღნიშნული წესები არის ერთადერთი რეგიონალური საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მსჯავრდადებულებთან მოპყრობის ფართო სპეციალურ ნორმებს.

ევროპული საპყრობილური წესები მუშავდებოდა და მიღებული იქნა ევროპის საბჭოს ეგიდით. მის წინაშე მდგომი ამოცანების რაკურსში ევროპის საბჭო დაკავებულია

1. См. Moking standarts work. An International handbook on good prison prachike. 1994

იმ პრობლემებით, რომლებიც წარმოიშვნენ დანაშაულებრივი ან ანტისაზოგადოებრივი ქმედების შედეგად. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 1973 წელს მიიღო რეზოლუცია, რომელიც შეიცავდა მსჯავრდადებულთა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების ევროპული ვარიანტის ტექსტს. რეზოლუციაში სახელმწიფოთა მთავრობებს ეძლევათ რეკომენდაცია, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების შესაბამის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ეხელმძღვანელათ წესებში ჩამოყალიბებული პრინციპებით და ყოველ 5 წელიწადში ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის წარედგინათ ანგარიში აღნიშნული პრინციპების რეალიზაციისა და განვითარების შესახებ.

ევროპის საჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 1981 წელს თანხმობა განაცხადა წინადადებაზე ევროპული საპყრობილური წესების ახალი ვარიანტის შემუშავების შესახებ. ახალი წესები მოწოდებული იყვნენ ევროპული პენიტენციარული სისტემის მიმდინარე და მომოვალი სტანდარტების, მაქსიმალურად შესაბამისობაში მოყვანისათვის.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1987 წლის 12 თებერვლის რეზოლუციაში აღინიშნებოდა, რომ მნიშვნელოვანმა სოციალურმა ცვლილებებმა, რომლებიც ძირითადად ეხებოდა საპყრობილურ დებულებებსა და მართვის პრინციპებს, გამოიწვიეს ევროპის საბჭოს წესების გაახლების აუცილებლობა. კომიტეტმა მიუთითა, რომ სასჯელის ისეთი ზომების შემუშავებაში, რომლებიც არ ითვალისწინებენ თავისუფლების აღკვეთას, გარკვეული მიღწევების მიუხედავად თავისუფლების აღკვეთა სისხლისსამართლებრივი იუსტიციის ეროვნულ სისტემებში რჩება სასჯელის ძირითად სახედ. ითვალისწინებს რა ევროპის საბჭოს წევრი-ქვეყნების სისხლის სამართლებრივი სასჯელის საერთო პრინციპების დადგენის მნიშვნელობას, მინისტრთა კომიტეტმა ამ სახელმწიფოთა მთავრობებს მისცა რეკომენდაცია თავიანთ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ეხელმძღვანელათ ევროპულ საპყრობილურ წესებში ჩამოყა-

ლიბებული პრინციპებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, რომ წესების ტექსტმა ჰპოვოს მაქსიმალური გავრცელება ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში.

ამრიგად, ევროპული საპყრობილური წესები არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციების მიერ მიღებული მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების გადამოწმებული და დამატებითი ვარიანტი. ევროპის საპყრობილური წესების პრეამბულაში ზუსტადაა მინიშნებული მათი დანიშნულება და მნიშვნელობა:

-საპყრობილეთა მართვაში მინიმალური სტანდარტებისა და მსჯავრდადებულებთან მოპყრობის პუმანურობის დაწესება;

- პროგრესიული პრინციპებისა და მართვის სტილის შემუ-შავებისათვის საპყრობილის ადმინისტრაციის სტიმულირება;

- საპყრობილის პერსონალისათვის თავისი მოღვაწეობისადმი ისეთი დამოკიდებულების განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობდა მაქსიმალურ პროფესიონალურ დაკმაყოფილებას;

- ისეთი კრიტერიუმების განსაზღვრა, რითაც მართვის ორგანოებსა და საინსპექციო ინსტანციებს შეეძლებათ მსჯელობა შედარებით მაღალი სტანდარტებისაკენ მსვლელობის ხარისხის შესახებ.

წესების მიზანი ძირითადად მდგომარეობს იმაში, რომ ის იყოს სახელმძღვანელო ცნობარი იმ დაწესებულებების პერსონალისათვის, რომლებიც აღასრულებენ სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით. რიგ შემთხვევებში წესებისადმი მიმართვა შეიძლება გამოყენებული იქნას ეროვნული პენიტენციარული კანონმდებლობის დებულებების ინტერპრეტაციისათვის.

ევროპული საპყრობილური წესები თავის მხრივ წარმოადგენენ საკმაოდ ვრცელ დოკუმენტს. ისინი შეიცავენ 100 მუხლს დაწვრილებითი კომენტარებით.

ევროპული საპყრობილური წესების სტრუქტურა მთლიანობაში პასუხობს მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების სტრუქტურას. ევროპული წესები შეიცავენ მსჯავრდადებულებთან მოპყრობის დეტალურ ნორმებს, მაგრამ არ ყოფენ მათ განსაკუთრებულ კატეგორიებად. დამატებითი წესები დგინდება მხოლოდ ნასამართლობის არმქონე მსჯავრდადებულების, სამოქალაქო სამართლებრივი მსჯავრდადებულების, აგრეთვე სულით ავადმყოფებისა და ფსიქიურად დაავადებული პირების მიმართ.

ევროპული საპყრობილური წესების მეტად განსაკუთრებული თავისებურება არის მათში 6 ძირითადი პრინციპების პრიორიტეტულად გამოყოფა, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მთელი ფილოსოფიის ბაზისურ პუმანისტურ ფასეულობებს. თუმცა მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში ასახვა პპოვეს ანალოგიურმა დებულებებმა, ევროპულ საპყრობილურ წესებში მათ მიიღეს შემდგომი განვითარება პრინციპების სახით სპეციალურ განყოფილებაში (ნაწილი I). ამ პრინციპების დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ ყველა სხვა წესებს მიეცეთ დომინირებადი სტანდარტების ძალა, რომელიც მისაღები იქნება ნებისმიერი საპყრობილის ადმინისტრაციისათვის, რომლებიც ღებულობენ ევროპულ საპყრობილურ წესებს. არანაირ შემთხვევაში არ შეიძლება ამ პრინციპებისაგან გადასვლა ან კომპრომისი მათი პრაქტიკული რეალიზაციის დროს.

ეს ექვსი ძირითადი პრინციპებია:

1. პირველყოვლისა დგინდება, რომ თავისუფლების აღკვეთა უნდა ხორციელდებოდეს ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ღირსების პატივისცემას, ამასთანავე ეს პირობები უნდა შეესაბამებოდეს ევროპული საპყრობილური წესების მოთხოვნებს.

2. წესები უნდა გამოიყენებოდეს ყოველგვარი მიუკერძოებლობისა და დისკრიმინაციის გარეშე, სოციალური ჯგუფების, რომლებსაც ეკუთვნის მსჯავრდადებული, რელიგიური მრწამსისა და მორალური პრინციპების პატივისცემით.

3. თავისუფლებააღკვეთილი პირებისადმი მოპყრობისას შენარჩუნებული უნდა იქნას მათი ჯანმრთელობა და საკუთარი ღირსების გრძნობა. რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა სასჯელის ვადის ხანგრძლივობა, მან უნდა განუვითაროს მსჯავრდადებულებს პასუხისმგებლობის გრძნობა, წაახალისოს და განავითაროს ისეთი დამოკიდებულება და ჩვევა, რომლებიც დაეხმარება მათ საზოგადოებაში დაბრუნების შემდეგ უზრუნველყონ საკუთარი თავი და იცხოვრონ კანონთან თანხმობაში. "მსჯავრდადებულებთან მოპყრობა", როგორც ცნება, აღნიშნულ კონტექსტში გაიგება საკმაოდ ფართოდ. ის მოიცავს ყველა იმ ზომებს, რომლებიც გამოიყენება მსჯავრდადებულის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ან აღსადგენად, მათი შემდგომი რესოციალიზაციისათვის. ასეთი ზომების რიცხვს მიეკუთვნება მუშაობა, სწავლა, პროფესიული მომზადება, თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებისათვის მომზადება და ასე შემდეგ.

4. წესები პრიორიტეტული პრინციპების რიცხვში გამოყოფენ სასჯელ-აღსრულებითი, გამასწორებელი დაწესებულებების რეგულარული დამოუკიდებელი ინსპექტირების აუცილებლობას.

5. ამ წესს მჭიდროდ უკავშირდება მსჯავრდადებულთა უფლებების დაცვის პრინციპი და თავისუფლების აღკვეთის პირობებში კანონების ზუსტ შესრულებაზე კონტროლი იმ იურიდიული და სხვა კომპეტენტური ორგანოების მიერ, რომლებსაც უფლება აქვთ მოინახულონ მსჯავრდადებულები დაწესებულების ადმინისტრაციის ნებართვის მიუხედავად.

6. და ბოლოს, ევროპული საპყრობილური წესების შესაბამისად მათი ტექსტი წარდგენილი უნდა იქნას

მსჯავრდადებულისა და გამასწორებელი დაწესებულებების პერსონალისათვის მათი მშობლიურ ენაზე გაცნობის მიზნით.

ევროპული საპყრობილური წესების დამახასიათებელი თვისება არის მათი უშუალო "მმართველობითი" მიმართულება (რაც არ გააჩნია, მაგალითად, მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებს). თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის აღსრულებისას ძირითადი და მნიშვნელოვანი საკითხები წესებში განიხილება თავისუფლების აღკვეთის ადგილების ეფექტური მართვის მხრიდან. ევროპული საპყრობილური წესები პირველ რიგში მიმართულია თავისუფლების აკვეთის ადგილების ადმინისტრაციისადმი. ისინი ძირითად აქცენტს აკეთებენ საპყრობილის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობაზე და არა უშუალოდ ცალკეული მსჯავრდადებულის უფლებების დაცვაზე. ამასთან ერთად ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების ეფექტური მართვის მიღწევისას არ უნდა შესუსტდეს მსჯავრდადებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.

იმისათვის, რომ გაძლიერდეს ევროპული საპყრობილური წესების მნიშვნელობა, შემსუბუქდეს მათი ინტერპრეტაცია და სრული ფილოსოფიური სისტემის სახით წარმოდგენა, წესებს თან ერთვის განმარტებითი ბარათი. ის შეიცავს ევროპული საპყრობილური წესების ცალკეული მუხლების კომენტარს, და ასევე დამატებით მითითებებს მათი გამოყენების შესახებ.

მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესებისაგან განსხვავებით ევროპული საპყრობილური წესები არ განიხილავენ მსჯავრდადებულების მიღებას როგორც უაღრესად ტექნიკურ ოპერაციას. ეს პროცედურა უნდა შეესაბამებოდეს წესების ძირითად პრინციპებს და დახმარება გაუწიოს მსჯავრდადებულებს მათი გადაუდებელი პრობლემების გადაწყვეტაში.

მსჯავრდადებულის მომზადება გათავისუფლებისათვის უნდა იწყებოდეს უკვე მათი გამასწორებელ დაწესებულებაში მიღებისთანავე. რა თქმა უნდა მისი კონკრეტული შინაარსი დამოკიდებულია სასჯელის ვადის ხანგრძლივობაზე, არსებულ საშუალებებსა და რესურსებზე. ევროპულ საპყრობილურ წესებში აღნიშნულია, რომ მსჯავრდადებულის პირადი პრობლემების შესახებ ინფორმაციის მიღება უნდა იყოს შეზღუდული დაწესებულებების პერსონალთა და იმ პირებით, რომლებსაც აქვთ მიცემული შესაბამისი უფლება კომპეტენტური ორგანოების მიერ (მაგალითად, სასამართლო ან სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულებების ადმინისტრაცია).

მსჯავრდადებულთა სწორი კლასიფიკაცია - აუცილებელი პირობაა მათთან მოპყრობის პროგრამისა და საშუალებების დიფერენციისათვის, სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულებების ეფექტური მართვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, არსებული ძალებისა და რესურსების ოპტიმალური განაწილებისათვის. ევროპული საპყრობილური წესები, ისევე როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები აყალიბებენ კლასიფიკაციის რიგ კრიტერიუმებს, რაშიც შედის მსჯავრდადებულების ამა თუ იმ კრიტერიებად დაყოფა.

თუმცა თანამედროვე მსოფლიოს სისხლის სამართლებრივი სასჯელ-აღსრულებითი დოქტრინა უკვე აღარ მოითხოვს ახალგაზრდა და ხანში შესული მსჯავრდადებულების, ქალებისა და მამაკაცების, მსჯავრდადებულთა და მსჯავრის არ მქონეთა მკაცრ დაყოფას. შესაბამისად, ევროპულ საპყრობილურ წესებში (მუხლები 11-13) აღნიშნული მოთხოვნები გადმოცემულია შედარებით ნაკლებად კატეგორიულად, ვიდრე მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში. კერძოდ, დადგენილია, რომ "მამრობითი და მდედრობითი სქესის პირები პრინციპში განთავსდებიან ცალ-ცალკე, თუმცა მათ შეუძლიათ ერთობლივი მონაწილეობა მიიღონ მსჯავრ-

დადებულებთან მუშაობის დადგენილი პროგრამის მიხედვით განსახორციელებელ სხვადასხვა საორგანიზაციო ღონისძიებებში". გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესებისაგან განსხვავებით, რომლებიც ითვალისწინებენ არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების განთავსებას სრულწლოვანებისაგან განცალკევებით (მუხლი 8, პ "ე"), ევროპული საპყრობილური წესები მხოლოდ განსაზღვარავენ, რომ "ახალგაზრდა მსჯავრდადებულები განთავსდებიან ისეთ პირობებში, სადაც, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ისინი დაცული იქნებიან მავნე ზემოქმედებისაგან და გათვალისწინებული იქნება მათ წლოვანებასთან დამახასიათებელი მოთხოვნილებები".

სპეციფიკური კატეგორიის მსჯავრდადებულების განთავსებისა და მართვის პრობლემების შემსუბუქებისათვის გამოყენებული უნდა იქნას ცალკეული დაწესებულებები ან მათი ცალკეული სექციები.

დაუშვებელია ევროპული საპყრობილური წესების შეუხებლობა იმ მინიმალურ სტანდარტებთან, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის ცხოვრების ჰუმანურ პრინციპებსა და პირობებს. წესებიდან გამომდინარე, მსჯავრდადებულთა ცხოვრებისათვის განკუთვნილი შენობები უნდა იყოს შესაფერისი რესოციაციისადმი დადებითი დამოკიდებულებების ფორმულირებისათვის, მოსახერხებელნი მართვისათვის, საიმედონი უსაფრთხოების პოზიციიდან და საზოგადოებრივი აზრისათვის მისაღები.

როგორც ცნობილია გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები რეკომენდაციას იძლევიან, რომ ყოველ მსჯავრდადებულს (ყოველ შემთხვევაში ღამით) უნდა ქონდეს ცალკე საკანი ან ოთახი (მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტი). აღნიშნული წესიდან უკანდახევა დასაშვებია მხოლოდ "განსაკუთრებული მიზეზებით, როგორიცაა მაგალითად, საპყრობილეს დროებითი გადატვირთვა". ამასთან

ერთად "არასასურველია ერთი და იმავე საკანში ან ოთახში ორი მსჯავრდადებულის მოთავსება".

ევროპულ საპყრობილურ წესებში ანალოგიური დებულება ფორმულირდება ნაკლებად მკაცრად. მსჯავრდადებულების ერთობლივი განთავსება უკვე დაშვებულია არა მხოლოდ "განსაკუთრებული მიზეზების გამო", არამედ ასეთი განთავსების მიზანშეწონილობითაც. თუმცა ერთობლივი ცხოვრების პირობებში საჭიროა მოთავსდნენ ისეთი მსჯავრ-დადებულებები, რომელთაც შეეძლებათ ერთმანეთთან გამონახონ საერთო ენა. მსჯავრდადებულების ერთად ცხოვ-რების პირობებში, აუცილებელია, განსაკუთრებით ღამით, ყურადღება მიექცეს მათ მოქმედებას.

ევროპის საბჭოს წესების მიხედვით ყოველ სასჯელაღსრულებით გამასწორებელ დაწესებულებაში უნდა იყოს, უკიდურეს შემთხვევაში, ერთი კვალიფიციური ექიმი-თერაპევტი მაინც. ევროპული საპყრობილური წესების 27-ე მუხლი კრძალავს მსჯავრდადებულებზე ყოველგვარი ექსპერიმენტების გამოყენებას, რომლებსაც შეუძლიათ მიაყენონ მათ ფიზიკური ან მორალური ზიანი.

წესებში სიახლედ არის მიჩნეული დებულება, რომელიც ამტკიცებს მჭიდრო კავშირს მსჯავრდადებულის ჯანმრთელობის დაცვასა და გათავისუფლების შემდეგ ცხოვრებისათვის მათ მომზადებას შორის. 42-ე მუხლის მიხედვით სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურება "მიმართული უნდა იყოს ნებისმიერი ფიზიკური და ფსიქიკური დეფექტების გამოსავლენად და სამკურნალოდ, რომლებსაც შეუძლიათ უარყოფითად იმოქმედონ გათავისუფლების შემდეგ პიროვნების რესოციალიზაციაზე". საჭიროა მსჯავრდადებულს გაეწიოს ყველა აუცილებელი სამედიცინო, ქირურგიული და ფსიქიატრიული მომსახურეობა, მიღებული რაიონის სამედიცინო საშუალებების ჩართვით. ეს ეხება ასევე მკურნალობის გაგრძელებას, რომელიც დაწყებული იყო თავისუფლების აღკ-

ვეთის ადგილებში მის მოთავსებამდე, ან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში დაწყებულ მკურნალობას, რომლის გაგრძელებაც გათავისუფლების შემდეგ აუცილებელია. კერძოდ, ეს ეხება ალკოჰოლიკებსა და ნარკომანებს.

ევროპული საპყრობილური წესები (მუხლი 35) განსაზღვრავენ დისციპლინარული ზღვევინების პრინციპების შემოღებას, რომლებიც თავისი საფუძვლით მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 29-ე მუხლის ანალოგიური არიან. მნიშვნელოვანი დამატება არის ის, რომ ზემოთ აღნიშნულის გარდა, ევროპული საპყრობილური წესები ადგენენ მსჯავრდადებულებების აუცილებელ დაშვებას აპელაციის პროცესთან. ერთ შემთხვევაში ასეთი პროცედურა შეიძლება დარეგულირდეს კანონის მეშვეობით, სხვა შემთხვევაში ის შეადგენს ადმინისტრაციული ორგანოების პრეროგატივას.

როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები, ასევე ევროპული საპყრობილური წესებიც კრძალავენ სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულებების მომსახურებისათვის მსჯავრდებულთა შრომის გამოყენებას დისციპლინარული სასჯელის სახით.[1] თუმცა ეს წესი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მსჯავრდადებულების მიზიდვას სოციალური, საგანმანათლებლო და რეჟიმით გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებებში.

---

1. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ აკრძალვაზე დამოკიდებულება საერთაშორისო დონეზე არაერთგვაროვანია. ასე, 1994 წლის ნოემბერში ჰაagaში განხილული იქნა პენიტენციალური დაწესებულებების მუშაკთა სახელმძღვანელოს პროექტი, სადაც დისციპლინარული დარღვევისათვის სხვადასხვა სასჯელებთან ერთად განსაზღვრული იყო საპყრობილური შრომაც (იხ. Moking standarts work. An International handbook on good prison prackice. P.29.

როგორც გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები, ასევე ევროპული საპყრობილური წესებიც კრძალავენ ბნელ საკანში მოთავსებას, ფიზიკური, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი სასჯელების გამოყენებას. ამასთანავე წესების 37-ე მუხლი კრძალავს დისციპლინარული დარღვევისათვის მსჯავრდადებულთა "კოლექტიურ დასჯას".

ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტები სხვადასხვაგვარად წყვეტენ კვების შემცირებით დისციპლინარული ზღვევინების საკითხს. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები უშვებენ ასეთი სახის ზღვევინებას, მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ექიმის მიერ შემოწმებული იქნება მსჯავრდადებული და მიღებული იქნება წერილობითი დასტური, რომ მსჯავრდადებულს შეუძლია გადაიტანოს ასეთი სასჯელი. ბოლო წლებში საერთაშორისო პენიტენციარულ პრაქტიკაში ისახება ტენდენცია შეზღუდული კვების გამოყენების არასამართლიანობის შესახებ.[1] ალბათ, შემთხვევით არაა, რომ ევროპული საპყრობილური წესები პირდაპირ არ ახსენებენ ისეთი სახის ზღვევინებას, როგორიცაა კვების შემცირება.

გაეროს მინიმალურ სტანდარტულ წესებთან ერთად ევროპული საპყრობილური წესებიც ადგენენ მისაღებ, დასაშვებ ზღვარს, რომელთა ჩარჩოებში შეიძლება გამოყენებული იქნას მსჯავრდადებულის პირადი თავისუფლების შეზღუდვის საშუალებები. მათ რიცხვში ნახსენებია ხელბორკილები, დამამშვიდებელი პერანგები. ჯაჭვებისა და ბორკილების გამოყენება უნდა აიკრძალოს. თავისუფლების შეზღუდვის საშუალებების გამოყენების ხასიათი და თავისებურება უნდა შეესაბამებოდეს კანონისა და ადმინისტრაციული დებულებების მოთხოვნებს. ასეთი საშუალებების გამოყენება დასაშვებია მანამდე, სანამ ამას აუცილებლობა მოითხოვს.

---

1. იხ. Moking standart work-An International handbook on good prison practtikce. p. 32

ყველა მსჯავრდადებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა დადგენილი წესით საჩივრის წარდგინებისათვის, ყოველ მსჯავრდადებულს უნდა მიეცეს შესაძლებლობა საპყრო-ბილის ინსპექტორებთან ან სხვა შემმოწმებელ პირებთან კონფედენციალური საუბრისათვის. მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში აღნიშნულია, რომ "ზედამხედველობის და არასაგნობრივი განცხადებებისა და საჩივრების გარდა, ყველა სხვა ექვემდებარება სასწრაფო განხილვას, და მათზე პასუხი უნდა გაეცეს ყოველგვარი დაყოვნების გარეშე" (38-ე მუხლის მე-4 პუნქტი). ევროპული საპყრობილური წესები არ შეიცავენ დამატებით შენიშვნებს "ზედამხედველობის ან არასაგნობრივ" საჩივრებთან დაკავშირებით. წესების 42-ე მუხლის მიხედვით "ყოველი თხოვნა თუ საჩივარი, რომელიც მიმართულია საპყრობილის ადმინისტრაციისადმი, აუცილებლად განხილული უნდა იქნას დაუყოვნებლივ და გაეცეს სათანადო პასუხი". ასეთი მიდგომით გამოირიცხება მსჯავრდადებულთა საჩივრების განუხილველობა, მხოლოდ იმ სუბიექტური საფუძვლით, რომ ისინი "ზედამხედველობის ან არასაგნობრივი" არიან.

გაეროს მინიმალურ სტანდარტულ წესებთან შედარებით, ევროპული საპყრობილური წესები გაცილებით ზუსტად აყალიბებენ თავისუფლების აღკვეთის რეჟიმის აღსრულების ძირითად მიზნებსა და მიმართულებებს. ყველა რეჟიმი უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ისე, რომ:

- საპყრობილეში ან თავისუფლების აღკვეთის სხვა ადგილებში ცხოვრების პირობები უნდა შეეხამებოდეს საზოგადოებაში მიღებულ სტანდარტებს და არ უნდა შელახონ ადამიანის ღირსება;

- თავისუფლების აღკვეთის უარყოფითი ეფექტის მინიმუმამდე დაყვანა, მსჯავრდადებულში საკუთარი ღირსებისა და პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის შენარჩუნებით;

- მხარი დაუჭირონ და გააძლიერონ მსჯავრდადებულის ყველა ისეთი კავშირები ნათესავებთან და გარე სამყაროსთან, რომლებიც ავითარებენ მათი და მათი ოჯახების პოზიციურ ინტერესებს;

- უზრუნველყონ მსჯავრდადებულების ჩვევებისა და უნარის განვითარების შესაძლებლობა, რომლებიც გააუმჯობესებენ მათი შემდგომი რესოციალიზაციის პერსპექტივებს.

წესების განმარტებით ბარათში განსაკუთრებული მნიშვნელობით აღინიშნება მსჯავრდადებულებსა და დაწესებულების პერსონალს, გარე სამყაროს შორის ურთიერთთანამშრომლობის განვითარების, კონტაქტების გაფართოების აუცილებლობა, იმისათვის, რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლების შემდეგ შემსუბუქდეს პიროვნების დაბრუნება საზოგადოებაში.

მსჯავრდადებულთა პოზიციური სოციალური კონტაქტების სახეებს შორის ევროპის საბჭოს წესებში მოიხსენიება აგრეთვე საპყრობილური შვებულებები, რომლებიც რამდენადაც ეს შესაძლებელია, "სამედიცინო, საგანმანათლებლო, პროფესიონალური და სხვა სოციალური თვალსაზრისით", აუცილებლად უნდა მიეცეს მსჯავრდადებულს. აღნიშნულ ნაწილში ევროპული საპყრობილური წესები მინიმალური სტანდარტული წესების შესაბამის დებულებებთან განსხვავებით იმყოფებიან წინ, რადგანაც ეს უკანასკნელი მსჯავრდადებულების სოციალური კონტაქტების ასეთ კონკრეტულ სახეს პირდაპირ არ ითვალისწინებენ.

მსჯავრდადებულთა შრომა ტრადიციულად იყო და რჩება მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მთლიანი სისტემის მნიშვნელოვან ელემენტად. ევროპულ წესებში საპყრობილური შრომა განიხილება, როგორც მასში შემავალი სამრეწველო წარმოება (ეს იქნება დაწესებულებების შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ), საშინაო სამუშაოები,

სასოფლო წარმოება, სერვისი, დაწესებულების მომსახურებისათვის მუშაობა.

როგორც უკვე ითქვა მოცემული თავის პირველ პარაგრაფში, ევროპის 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, კრძალავს იძულებით შრომას, თუმცა ასეთს არ მიაკუთვნებს, კერძოდ, სამუშაოს ან სამსახურს, რომელიც უნდა შეასრულოს სასამართლოს კანონიერი განაჩენის საფუძვლით თავისუფლებააღკვეთილმა ან ასეთი სასჯელისაგან პირობით გათავისუფლებულმა პირმა. ნახსენები კონვენციის პრინციპებიდან გამომდინარე, ევროპული საპყრობილური წესები მსჯავრდადებულის შრომაში ჩაბმის მოთხოვნას ფორმულირებენ მეტად კატეგორიულად, ვიდრე გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები. ევროპული საპყრობილური წესების მე-7(2) მუხლში აღნიშნულია: "მსჯავრდადებულებს, რომელთა მიმართაც გამოტანილი არის განაჩენი და თუ მათი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა იძლევა შესაძლებლობას, რაც დადასტურებულია ექიმის მიერ, შეიძლება მოეთხოვოთ, რომ იმუშაონ" (გამოყოფილია ავტორის მიერ). ასეთი მიდგომა სავსებით გასაგებია თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ანაზღაურებადი სამუშაო ადგილების უკმარისობის პრობლემის გათვალისწინებით.

გაეროს მინიმალურ სტანდარტულ წესებთან შედარებით, ევროპის საბჭოს წესები შეიცავენ მსჯავრდადებულთა შრომის ორგანიზაციის გაცილებით ფართო მოთხოვნებს. მათი მუშაობა უნდა "შეესაბამებოდეს თანამედროვე მუშაობის სტანდარტებსა და მეთოდებს, ორგანიზებული უნდა იყოს თანამედროვე მართვის სისტემისა და წარმოების პროცესის მოთხოვნების მიხედვით".

და ბოლოს, პრინციპულად მნიშვნელოვნად ითვლება ევროპული საპყრობილური წესების პოზიცია მსჯავრდადებულთა შრომის შედეგად მიღებული მოგების თაობაზე, როგორც ცნობილია, გაეროს მინიმალური სტანდარტული

წესები ადგენენ, რომ "მსჯავრდადებულთა ინტერესები და მათი პროფესიონალური მომზადება არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუკავშირდეს საპყრობილის წარმოებისაგან მოგების მიღებას". (72-ე მუხლის მე-2 პუნქტი). მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო სტანდარტები კრძალავენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მსჯავრდადებულთა საწარმოო მოღვაწეობისაგან მოგების მიღებას. ნათელია, რომ მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების აღნიშნული დებულება არ კრძალავს მოგების მიღებას როგორც ასეთისა, მხოლოდ დაუშვებლად არის მიღებული მოგების ინტერესის მნიშვნელოვანი ადგილის მინიჭება მსჯავრდადებულისა და მათი პროფესიონალური მომზადების ინტერესებთან შედარებით. ამასთან დაკავშირებით სავსებით არაორაზროვნად გამოიყურება ევროპული საპყრობილური წესების 72-ე მუხლის ფორმულირება: "თუმცა გამასწორებელ დაწესებულებებში ასეთი სამუშაოსაგან მიღებული ფინანსური მოგება წარმოგვიდგება ფრიად მნიშვნელოვნად სტანდარტების, ავრეთვე ხარისხის და ადეკვატური მომზადების ამაღლების მხრით, მაგრამ მსჯავრდადებულთა ინტერესები და მათი გამოსწორების ამოცანები არ უნდა დავუმორჩილოთ აღნიშნულ მიზანს".

რამდენადაც ეს შესაძლებელია, საჭირო არის შეიქმნას შრომისათვის ისეთი შესაძლებლობები და პირობები, რომლებიც მაქსიმალურად შეესაბამებიან გამასწორებელი დაწესებულებების ფარგლებს გარეთ არსებულ შრომის პირობებს. ამასთან ერთად, მსჯავრდებულს გარკვეული ზღვარის ფარგლებში უნდა მიეცეს შესაძლებლობა აირჩიოს და განსაზღვროს შრომის წარმოების ამაღლებისათვის შესაბამისი სტიმულები. სამუშაომ უნდა შექმნას პირობები მსჯავრდადებულის პიროვნების განვითარებისათვის და საზოგადოებრივ ვალდებულებისადმი საპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფორმირებისათვის.

მსჯავრდადებულებთან მოპყრობაში ევროპული საპყრობილური წესები ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ განათლებას. მისი მიზნები უშუალოდ უკავშირდებიან გამოსწორების მიზნებს, ხოლო თვით განათლება (სწავლება) მიჩნეულია რეჟიმის მნიშვნელოვან ელემენტად, რომელსაც გააჩნია "მოცემულ რეჟიმში ისეთივე სტატუსი, როგორიც მუშაობას, იმ პირობით, რომ ის გრძელდება ნორმალური სამუშაო დღის განმავლობაში და არის ინდივიდუალური გამოსწორების პროგრამის შემადგენელი ნაწილი".

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესების მსგავსად, ევროპული საპყრობილური წესები დიდ ყურადღებას უთმობენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მომუშავე პერსონალს. წესების განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ "თანამედროვე საპყრობილურ სისტემაში ყველა საფეხურის პერსონალის მუშაობის მნიშვნელობა, სპეციალიზებულნი მართვაში თუ გამოსწორებაში, ხდება საზოგადოდ აღიარებული. უფრო მეტიც, თანამედროვე საპყრობილურ სისტემაში გაცილებით ლიბერალური რეჟიმის არსებობისას, როცა მსჯავრდადებულს უფლება ეძლევა იქონიოს მეტი კონტაქტები საკანის გარეთ, გამასწორებელი დაწესებულებების პერსონალის მუშაობა ხდება მეტად დაძაბული".

წესები განსაზღვრავენ, რომ აუცილებელია საპყრობილის პერსონალს ჰქონდეს მუდმივი მხარდაჭერა შესაბამისი მომზადების, საკონსულტაციო დახმარებებისა და ხელმძღვანელობის პოზიტიური სტილის მხრივ, რათა თანამშრომლებმა შეითვისონ მაღალი ადამიანური სტანდარტები, იმუშაონ ეფექტურად და ერთგულად მოეპყრან თავიანთ მოვალეობებს.

საპყრობილის ადმინისტრაცია თავის ძირითად ამოცანად უნდა მიიჩნევდეს პერსონალის მუშაობის შესახებ, პენიტენციარული სისტემის როლის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ინფორმირებას, რათა ხელი შეუწყოს

საზოგადოების განვითარებაში თავისი წვლილის მნიშვნელობის გაგების შეტანას, (წესების 53-ე მუხლი).

ევროპული საპყრობილური წესები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პენიტენციარულ საქმიანობაში ურთიერთმოქმედებების ეფექტური ორგანიზების საკითხებს. 59-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ დაწესებულებების ადმინისტრაციამ უნდა შემოიღოს ორგანიზებისა და მართვის ისეთი სისტემები, რომლებიც გაადვილებენ გამასწორებელ დაწესებულებაში სხვადასხვა კატეგორიის პერსონალს შორის თანამშრომლობას, კერძოდ, მსჯავრდადებულებთან მოპყრობისა და მათი შემდგომი რესოციალიზაციის საქმეში.

§3. საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები სასჯელის ცალკეულ სახეებთან და სამართალ დამრღვევებთან დამოკიდებულებაში.

საყოველთაო საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები აცხადებენ სიცოცხლის უფლებას, მაგრამ აკეთებენ გამონაკლისს სიკვდილით დასჯისათვის. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლში საუბარია სიცოცხლის უფლების თაობაზე, რომელიც მთავრდება სიტყვებით: "აღნიშნულ მუხლში არაფერი არ შეიძლება იყოს იმის საფუძველი, რომ ამ პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფომ გადადოს ან არ დაუშვას სიკვდილით დასჯის გაუქმება".

პაქტის მე-6 მუხლი განსაზღვრავს, რომ ქვეყნებში, რომლებსაც არ გაუუქმებიათ სიკვდილით დასჯა, სიკვდილის განაჩენი შეიძლება გამოიტანონ მხოლოდ:

- ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის იმ კანონის შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა დანაშაულის ჩადენის დროს;

- კომპეტენტური სასამართლოს მიერ გამოტანილი საბოლოო განაჩენის შესაბამისად;

- სრულწლოვანი დამნაშავეების მიმართ (18 წლის ასაკის ზემოთ);

- ყველას, ვისაც სიკვდილი მიუსაჯეს, უფლება აქვს ითხოვოს შეწყალება ან განაჩენის შემსუბუქება. სიკვდილის განაჩენი არ მოჰყავთ სისრულეში ფეხმძიმე ქალების მიმართ.[1]

სასჯელის ისეთი სახის მიმართ, როგორიცაა სიკვდილით დასჯა, დამოკიდებულება რეგიონალურ დონეზე არაერთგვაროვანია. ადამიანის უფლებების დაცვის ამერიკული კონვენცია პრინციპში უშვებს ასეთი სახის სასჯელს, თუმცა ადგენს, რომ "სიკვდილის განაჩენი არ შეიძლება აღდგენილი იქნეს იმ ქვეყნებში, სადაც იგი უკვე გააუქმეს".[2] ევროპაში მოქმედებს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისებურებების დაცვის შესახებ კონვენციის ზემოთ ხსენებული №6-ე ოქმის დებულებები.

<u>სასჯელისა და თავისუფლების აღკვეთის გარეშე სხვა სისხლის-სამართლებრივი ზომების დროს მარეგულირებელი საერთაშორისო - სამართლებრივი სტანდარტები.</u>

დანაშაულებათა არიდებისა და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის შესახებ გაეროს 1990 წლის აგვისტოს მერვე კონგრესზე მოწონებული იქნა გაეროს მინიმალური სტანდარტების ისეთი ზომები, რომლებიც არ უკავშირდებოდნენ საპყრობილეში მოთავსებით თავისუფლების აღკვეთას.[3] აღნიშნული წესები შემუშავდა ტოკიოში, გაეროსთან არსებული აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ინსტი-

---

1. Международная зашита прав и свобод человека. с. 35.
2. См. Brifing Penal Reform International. 1993. № 2.P.10
3. Материали Восьмого Конгресса ООН по предупреждению преступности и обращению с провонарушителями. Гавана. 1990.

ტუტის მიერ. აქედან მომდინარეობს მათი შემოკლებული დასახელება - ტოკიოს წესები. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1990 წლის დეკემბერში მიღებული იქნა ტოკიოს წესები.[1]

მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებთან განსხვავებით ტოკიოს წესები ვრცელდება სისხლისსამართლებრივი იუსტიციის მთელ სფეროზე (სისხლის სამართლის საქმის აღძვრის სტადიიდან დამნაშავის შემდგომი რესოციალიზაციამდე). ისინი შეიცავენ ისეთი ზომების მიღების ძირითადი პრინციპების კრებულს, რომლებიც არ ითვალისწინებენ თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე მინიმალურ გარანტიებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართ გამოიყენება ისეთი სისხლის სამართლებრივი ზომები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი რეალურ თავისუფლების აღკვეთასთან.

წესებს აქვთ რეკომენდაციული ხასიათი და უნდა გამოიყენებოდნენ "ყოველი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, აგრეთვე მათი სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების მიზნებისა და ამოცანების მიხედვით" (1-2 მუხლები).

ტოკიოს წესები შეიცავენ თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიულ ღონისძიებების მთელ კრებულს (8.2 მუხლი). ესენია:

1. სიტყვიერი სანქციები, როგორიცაა - შენიშვნა, გაკიცხვა, გაფრთხილება;
2. პასუხისმგებლობისაგან პირობით გათავისუფლება;
3. სამოქალაქო უფლებების აყრა;
4. ეკონომიკური და ფულადი სანქციები, როგორიცაა

---

1. United Nations Standarts Minimum Rules for Noncustadial measures (The Tohyo Rules) \\ Compendium of United nations Standarts and Norms in Crime Revention and criminal Justice. N.Y. 1991. p. 113-126

ჯარიმა (ერთჯერადი და დღიური განაკვეთის ოდენობით);

5. კონფისკაცია ან ექსპროპრიაციის შესახებ დადგენილება;

6. დაზარალებულთათვის ქონების დაბრუნება ან პირობითი სასჯელი, ან სასჯელის გადავადება.

7. პირობით გათავისუფლება და სასამართლო ზედამხედველობა;

8. საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა;

9. გამასწორებელ დაწესებულებებში გაგზავნა აუცილებელი დღის დასწრებით;

10. შინაპატიმრობა;

11. მოპყრობის ნებისმიერი სხვა სახე, რომელიც არ შეკავშირდება თავისუფლების აღკვეთას;

12. ზემოთ ჩამოთვლილი ზომების შეთავსებით გამოყენება.

ზოგადი დებულებების შემცველი შესავალი ნაწილის შემდეგ ტოკიოს წესები ყურადღებას ამახვილებენ სასამართლომდელ და განაჩენის გამოტანის სტადიებზე, სადაც შეიძლება გამოყენებული იქნას სასჯელის ალტერნატიული ზომა ვიდრე თავისუფლების აღკვეთა. წესები განიხილავენ განაჩენის შემდგომ პერიოდსაც და რაღაც ეტაპზე თავისუფლების აღკვეთის შეცვლის შესაძლებლობას სხვა ალტერნატიულ ღონისძიებებით. და ბოლოს, ტოკიოს წესები განსაზღვრავენ იმ მოთხოვნებს, რითაც განისაზღვრება სამართალდამრღვევთან მოპყრობის ნორმები.

ყველა სტადიაზე უზრუნველყოფილი უნდა იქნას სამართალდამრღვევი პირის ადამიანური ღირსების პატივისცემა. ისეთი ღონისძიებების აღსრულებისას, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი თავისუფლების აღკვეთასთან, სამართალდამრღვევის უფლებები იმდენად არ უნდა შეიზღუდოს, ვიდრე ეს სანქციონირებულია პირველადი გადაწყვეტილების გამომტანი კომპეტენტური ორგანოს მიერ.

ზომები, რომლებიც არ ითვალისწინებენ თავისუფლების აღკვეთას, გამორიცხავენ სამართალდამრღვევებზე სამედიცინო ან ფსიქოლოგიური ექსპერიმენტების ჩატარებას, აგრეთვე გაუმართლებელ რისკს მათზე ფიზიკური ან სულიერი ტრავმის მიყენებით. ასეთი ზომების გამოყენების პროცესში დაცული უნდა იქნას სამართალდამრღვევის უფლება პირად და თავისი ოჯახის ცხოვრებაზე (სიცოცხლეზე).

სამართალდამრღვევის პირადი საქმე (დოსიე) უნდა იწარმოოს მკაცრი კონფიდენციალურობის დაცვით. მასში დაშვება შემოიფარგლება იმ პირებით, რომლებიც უშუალოდ განიხილავენ სამართალდამრღვევის საქმეს, ან სხვა განსაზღვრული წესით უფლებამოსილი პირებით. აღნიშნული ღონისძიებების დანიშვნისა და აღსრულების პროცესში, რომლებიც არ ითვალისწინებენ თავისუფლების აღკვეთას, სამართალდამრღვევს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი ორგანოებისათვის სხვადასხვა მოთხოვნებისა და საჩივრების მიწოდების შესაძლებლობა.

ტოკიოს წესები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ სამართალდამრღვევებზე ზედამხედველობას, რომლის მიზანია "რეციდივის შემცირება და სამართალდამრღვევის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს დანაშაულის განმეორებით ჩადენის შესაძლებლობას". იმ ზომათა ჩარჩოებში, რომლებიც არ ითვალისწინებენ თავისუფლების აღკვეთას, უნდა განიხილებოდნენ ისეთი ღონისძიებები, როგორებიცაა ინდივიდუალური მუშაობა, ჯგუფური თერაპია, სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სხვადასხვა პროგრამების შემუშავება.

ტოკიოს წესებში დაშვებულია იმ ზომების შეცვლის ან გაუქმების შესაძლებლობა, როდესაც თავისუფლების აღკვეთის გარეშე სასჯელის მოხდისას ადგილი ექნება მოთხოვნების, პირობების დარღვევას. თუმცა ასეთი გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას საქმის ვითარების

საგულდაგულო გამოკვლევის შემდეგ და იძულებითი ღონისძიებების ეკონომიის პრინციპის გათვალისწინებით.

წესებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თავისუფლების აღკვეთის გარეშე მსჯავრდადებულებთან მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციას. აღნიშნულია მათი პროფესიონალური მომზადების, შესაბამისი სამსახურებრივი მდგომარეობის, სათანადო ხელფასისა და შეღავათების უზრუნველყოფის აუცილებლობა, უნდა მიეცეთ "შესაძლებლობა სამსახურებრივი წინსვლისათვის".

ამავდროულად საჭიროა საზოგადოების მონაწილეობის წახალისება, რაც შეიძლება განხილული იყოს, როგორც საზოგადოების ინტერესების დაცვის საქმეში თავისი წევრებისათვის შესაბამისი წვლილის შეტანის შესაძლებლობა. მსჯავრდადებულებთან მუშაობაში მონაწილე მოხალისეებმა უნდა გაიარონ აუცილებელი მომზადება, დაზღვეული უნდა იქნენ თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს უბედური შემთხვევებისა და სხეულის დაზიანებისაგან. მათ უნდა აუნაზღაურდეთ "თავისი სამუშაოს შესრულების დროს გაწეული ნებადართული ხარჯები".

არასრულწლოვან დამნაშავეებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტები

არასრულწლოვნების განსაკუთრებული მდგომარეობის, მათი ხასიათის არასტაბილურობისა და ჩადენილი დანაშაულისათვის მათი ნაკლები პასუხისმგებლობის გამო საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ შემუშავებული იქნა არასრულწლოვანთა დაცვისათვის ცალკეული დოკუმენტები, სისხლის სამართლებრივი იუსტიციის სისტემაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წელს მიღებული იქნა კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ.[1] აღნიშნული კონვენციის 37-ე

1. Международная защита прав и свобод человека.с. 388-403

მუხლის შესაბამისად წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არც ერთი ბავშვისადმი არ იქნას გამოყენებული წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა და სასჯელი. არც სიკვდილით დასჯა, არც სამუდამო პატიმრობა, რომლებიც არ ითვალისწინებენ გათავისუფლების შესაძლებლობას, არ უნდა დაისაჯოს დანაშაულისათვის, რომელიც ჩაიდინა 18 წლამდე ასაკის პირმა.

არც ერთი ბავშვი არ უნდა იქნეს თავისუფლებააღკვეთილი არაკანონიერი ან თვითნებური სახით. დაპატიმრება, დაკავება, ბავშვის საპყრობილეში მოთავსება უნდა განხორციელდეს კანონის შესაბამისად და უნდა გამოიყენებოდეს როგორც უკიდურესი ზომა, უნდა განისაზღვროს რაც შეიძლება მოკლე ვადით.

ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს, მისი წლოვანების მოთხოვნების შესაბამისად, უფლება აქვს ჰუმანურ მოპყრობაზე და თავისი პირადი ღირსების პატივისცემაზე. კერძოდ, ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი უნდა გამოიყოს უფროსი ასაკის პირებისაგან, თუ არ ჩაითვლება, რომ ამის გაკეთება ბავშვის ინტერესებისაგან გამომდინარე არ შეიძლება, და უნდა მიეცეთ უფლება თავის ოჯახთან კავშირისათვის, ეს იქნება მიმოწერისა თუ პაემანის სახით, განსაკუთრებული გარემოებების გამოკლებით.

ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს უნდა ჰქონდეს უფლება მოითხოვოს დაუყოვნებლივ სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარება.

აღნიშნული კონვენცია ორიენტაციას აკეთებს არასრულწლოვან დამნაშავეებთან ისეთ მოპყრობაზე, "რომელიც უვითარებს ბავშვს თავისი ღირსებისა და მნიშვნელობის შეგრძნებას, აძლიერებს მასში სხვა ადამიანური უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის გრნობას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია ბავშვის წლოვანება, მისი რეინტეგრაციის ხელშეწყობის სურვილი და საზოგადოებაში მის მიერ სარგებლობა".

სისხლისსამართლებრივი იუსტიციის სისტემაში არასრულწლოვნების მდგომარეობისათვის სპეციალურად მიძღვნილია გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები, რომლებიც ეხება მართლმსაჯულების შესრულებას არასრულწლოვნებთან დამოკიდებულებაში. მათ მიიღეს შემოკლებული დასახელება-პეკინის წესები.[1] პეკინის წესები წარმოდგენილი იყო 1985 წლის სექტემბერში, დანაშაულის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის შესახებ მოწვეულ გაეროს მეშვიდე კონგრესის მიერ, რომელიც მიღებული იქნა გენერალური ასამბლეის მიერ 1985 წლის ნოემბერში. პეკინის წესები ატარებენ რეკომენდაციულ ხასიათს და განხორციელებული უნდა იქნენ გაეროს ყველა წევრ სახელმწიფოებში არსებული "ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პირობები კონტექსტში".

წესები იუწყებიან, რომ "არასრულწლოვნად ითვლება ბავშვი ან ახალგაზრდა პიროვნება, რომელიც არსებული სამართლებრივი სისტემის ფარგლებში შეიძლება მიეცეს სამართალდარღვევისათვის პასუხისგებაში ისეთი ფორმით, რომელი განსხვავდება სრულწლოვანისათვის გამოყენებული პასუხისმგებლობის ფორმისაგან". პეკინის წესები არ აზუსტებენ წლოვანებას, საიდანაც არასრულწლოვნები შეიძლება მიცემულნი იქნეს ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში ან აღიარებული იქნენ სრულწლოვნებად, მაგრამ მიუთითებენ, რომ ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს არასრულწლოვნებისა და ახალგაზრდა სრულწლოვანი პირებისათვის განკუთვნილ მართლმსაჯულების პრინციპების განხორციელებისაკენ.

აღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტი განსაზღვრავს არასრულწლოვან - სამართალდამრღვევებთან მოპყრობის პრინციპებს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების ყველა სტადიაზე, სისხლისსამართლებრივი სასჯელის მოხ-

1. დაწვრილებით იხილეთ შემდეგ პარაგრაფებში

დის მხრითაც. პეკინის წესების 1.6 პუნქტში ხაზგასმულია არასრულწლოვნებთან დამოკიდებულებაში მართლმსაჯულების სისტემის სრულყოფის აუცილებლობა და ამავდროულად, არასრულწლოვნებთან დამოკიდებულებაში პროგრესიული სოციალური პოლიტიკის შემუშავებისათვის შესაბამისი ზომების მიღება.

არასრულწლოვნის მოთავსება სასჯელაღსრულებით გამასწორებელ დაწესებულებებში განიხილება, როგორც უკიდურესი ზომა, რაც უნდა განისაზღვროს მინიმალური ვადით.

პეკინის წესები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ გამასწორებელი დაწესებულებებიდან არასრულწლოვნების პირობით გათავისუფლებას. წესების 28-ე პუნქტის თანახმად, პირობით გათავისუფლება "გამოიყენება შესაბამისი ორგანოების მიერ, რაც შეიძლება ფართო მასშტაბებით და შესაძლებლობის მიხედვით ადრეულ ვადაში". პირობით გათავისუფლებულებმა საზოგადოებისაგან უნდა მიიღონ თანადგომა ადრეულ ეტაპში". პირობით გათავისუფლებულებმა საზოგადოებისაგან უნდა მიიღონ თანადგომა და დახმარება, ამავდროულად უნდა იმყოფებოდნენ კომპეტენტური ორგანოს ზედამხედველობის ქვეშ. საჭიროა ძალისხმევის მიმართვა სასჯელის ისეთი შუალედური სახეების ფორმირებისათვის, როგორებიცაა "შემსუბუქებული რეჟიმის გამასწორებელი დაწესებულება, აღმზრდელობითი სახლები, დღის მოსამზადებელი ცენტრები" და სხვა შესაბამისი ანალოგიური ფორმები, რომლებსაც შეუძლიათ დახმარება გაუწიონ "საზოგადოებრივ ცხოვრებაში არასრულწლოვნის სათანადო რეინტეგრაციას".

სისხლის სამართლებრივი სასჯელ-აღსრულებითი პრაქტიკისათვის უშუალო მნიშვნელობა აქვს პეკინის წესების V ნაწილს, რითაც დგინდება გამოსასწორებელ დაწესებულებებში სამართალდამრღვევებთან მოპყრობის პრინ-

ციპები. აღნიშნულია, რომ არასრულწლოვნებთან აღმზრდელობითი მუშაობის ძირითადი ამოცანა არის "საზოგადოებაში სოციალურად სასარგებლო და ნაყოფიერი როლის შესრულებისათვის დახმარების გაწევის მიზნით მათი მეურვეობის, დაცვის, განათლებისა და პროფესიონალური მომზადების უზრუნველყოფა" (26.1 პუნქტი). წესების მიხედვით არასრულწლოვნების განთავსება გამასწორებელ დაწესებულებებში უნდა მოხდეს სრულწლოვნებისაგან განცალკევებით. პეკინის წესები არ აკონკრეტებენ არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების განთავსების (შენახვის) პირობებს. წესები მიუთითებენ მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებზე, რომლებიც უნდა გამოიყენებოდნენ "არასრულწლოვნებთან მოპყრობის პრინციპების შესაბამისად".

თუმცა მოგვიანებით გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დაუბრუნდა აღნიშნულ საკითხს და 1990 წლის 14 დეკემბრის გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით მიღებული იქნა წესები თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დაცვის შესახებ".[1]

მინიმალური სტანდარტული წესების სტრუქტურიდან გამომდინარე, გაეროს აღნიშნული წესები განსაზღვრავენ არასრულწლოვნებისათვის განკუთვნილი დაწესებულებების მართვის, სასჯელის მოხდის ფიზიკური პირობების, შრომის პირობების, დასვენების, რელიგიური სამსახურის, სამედიცინო მომსახურების, დისციპლინარული პროცედურების, პოზიტიური სოციალური კონტაქტების მხარდაჭერის, გათავისუფლების შემდეგ რესოციალიზაციის ხერხების პრინციპებსა და მიზნებს.

---

1. Compendium of United Nations Standarts and norms in Crime Prevention and Criminal Justice. №. 4., 1992. P. 192-208

თ ა ვ ი 5

მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტების განხორციელების მიმართულებები და პრობლემები საქართველოში

§ 1. მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტების გავლენა საქართველოს სისხლისსამართლებრივ სასჯელ-აღსრულებით პოლიტიკასა და კანონმდებლობაზე.

სსრ კავშირის დროს არსებული შრომა-გასწორების კანონმდებლობა მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტებს ანიჭებდა მხოლოდ ინფორმაციულ მნიშვნელობას. ესეც კი იყო შეზღუდული. საკმარისია აღინიშნოს, რომ მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები ოფიციალური გამომცემლობით გამოდიოდა საბჭოთა კავშირში გრიფით "სამსახურებრივი ხმარებისათვის". საერთაშორისო სტანდარტების გამოქვეყნება ბოლო პერიოდში ხდებოდა შენიშვნით, რომ "ჩვენი შრომა-გასწორების კანონმდებლობა არა მარტო შეესაბამება საერთაშორისო წესებს, არამედ უმრავლეს შემთხვევაში უსწრებს მათ". ამის უარყოფა არ შეიძლება, რადგან შრომა-გასწორების პოლიტიკის ზოგიერთი მიმართულება მართლაც სჯობდა საერთაშორისო სტანდარტებს (განათლება, პროფესიონალური მომზადება და სხვა).

90-იანი წლების მეორე ნახევრამდე მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტები საქართველოში არც სახელმძღვანელოში და არც პრესაში გაშუქებული არ იყო, არ მიმდინარეობდა არც სამეცნიერო კვლევა. დაწესებულებათა მართვის ადმინისტრაციულ-ბრძანებლობითი მექანიზმი და სისხლისსამართლებრივი სასჯელაღსრულებითი სისტემის უწყებრივი კარჩაკეტილობა უქმნის დაბრკოლებას საერთაშორისო სტანდარტების პოზიციიდან აღნიშნულ სისტემაში ფაქტიური მდგომარეობის შეფასებას.

ბოლო ათი წლის განმავლობაში მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტების რეალიზაციისაკენ მისწრაფება არაერთხელ იქნა აღიარებული საქართველოს საკანონმდებლო თუ სააღმასრულებლო ორგანოების, ადრე კი - სსრ კავშირის მიერ. ჯერ კიდევ 1989 წელს საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერა ვენის შეთანხმებებს, რითაც თავის თავზე აიღო ვალდებულება, რომ თავისუფლებააღკვეთილ ყოველ პირს მოპყრობოდა ჰუმანურად და ღირსების პატივსაცემად, აგრეთვე დაეცვა გაეროს მიერ მიღებული მსჯავრდადებულებებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები.[1]

ბოლო წლებში მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტებმა და მათი განხორციელების საკითხებმა ჰპოვეს ფართო და შედარებით ობიექტური ასახვა სისხლისა და სასჯელ-აღსრულებითი სამართლის თეორიებში. შეიძლება ითქვას, რომ ეს ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას და სასჯელაღსრულებით სისტემაში მომუშავე პერსონალის პროფესიონალური ცოდნის გაახლებას.

იურიდიული თვალსაზრისით შესაძლებელია სასჯელაღსრულებით სისტემაში საერთაშორისო ნორმების რეალიზაციის ორი გზა. პირველი - მათი პირდაპირი მოქმედება

---

1. См. Международная защита прав и свобод человека с. 84-85.

ეროვნული კანონმდებლობის ნორმებთან ერთად. მეორე - შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტების მოყვანა საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში. აღნიშნული ორივე მიმართულება გათვალისწინებულია საქართველოს დღევანდელ საკონსტიტუციო კანონმდებლობაში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მიხედვით "საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ". აქედან გამომდინარე, კონსტიტუცია "საერთაშორისო ხელშეკრულებებს" და "საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს" ერთმანეთისაგან განასხვავებს. საერთაშორისო ხელშეკრულება არის "საქართველოს საერთაშორისო წერილობითი ფორმით შეთანხმება სხვა სახელმწიფოსთან (ან სახელმწიფოებთან) ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მისი კონკრეტული დასახელების მიუხედავად".

ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო პაქტებისა და კონვენციებისაგან განსხვავებით, მსჯავრდადებულებთან მოპყრობის შესახებ მიღებული სპეციალური საერთაშორისო დოკუმენტები (მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, პეკინის წესები, ტოკიოს წესები, ევროპული საპყრობილური წესები და ასე შემდეგ) წარმოადგენენ არა საერთაშორისო შეთანხმებებს, არამედ საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციების აქტებს. ისინი არ საჭიროებენ რატიფიკაციას, არ გააჩნიათ აუცილებელი იურიდიული ძალა.

რა სახით არის შესაძლებელი მათი მიკუთვნება საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმებისადმი? საერთაშორისო სამართლის თეორიაში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ ნაოლად გამოხატული ან ჩუმი თანხმობის

გარეშე სახელმწიფოს არ შეიძლება თავს მოეხვიოს არავითარი საერთაშორისო ვალდებულება. საერთაშორისო-სამართლებრივ პრაქტიკაში, საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციებზე მითითებანი (მხედველობაშია გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებიც) არ განიხილებიან, როგორც საკმარისნი საერთაშორისო თანამეგობრობისა და კენჭისყრისათვის უფლებამოსილი სახელმწიფოების მიერ აღიარებელი, ამა თუ იმ ნორმის იურიდიული აუცილებლობის დასაბუთებისათვის. საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუცია-რეკომენდაციები არ შეიძლება იყვნენ თვითშესრულებადნი. საერთაშორისო ვალდებულებების პროგრამული, მომავლისაკენ მიმართული, არაკონკრეტული ან "მსუბუქი" ხასიათი, აგრეთვე ეროვნულ კანონმდებლობაზე მითითებები, როგორც განხორციელების ხერხები, გამორიცხავენ დოკუმენტებში შემავალი ნორმების თვითშესრულებას.

მსჯავრდადებულებთან მოპყრობის სპეციალური საერთაშორისო სტანდარტები ატარებენ რეკომენდაციულ ხასიათს, რაც ასახულია მათ შინაარსში. ასე, მაგალითად ევროპულ საპყრობილურ წესებში აღნიშნულია, რომ "ევროპის საბჭოს სტატუსის მე-15 მუხლის მიხედვით მინისტრთა კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს იხელმძღვანელონ თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში და პრაქტიკაში ევროპულ საპყრობილურ წესებში ჩამოყალიბებული პრინციპებით, მათი თანდათანობითი დანერგვის მიზნით. ამასთან ერთად ყურადღებას ამახვილებს იმ მიზნებზეც, რაც დასახულია I ნაწილში ჩამოყალიბებული ძირითადი პრინციპების დებულებებში და პრეამბულაში".

ამავდროულად დაუშვებელია საერთაშორისო სპეციალური სტანდარტების იურიდიული მნიშვნელობის შეუფასებლობა. მართალია მათ არა აქვს საერთაშორისო სამართალში სავალდებულო კანონის სტატუსი, მაგრამ ისინი

ფართოდ არიან აღიარებულნი საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ისეთი წესების სახით, რომლებიც ასახავენ მსჯავრდადებულებთან მოპყრობის პროგრესიულ სისტემაში არსებულ ფაქტიურ მდგომარეობებს. როგორც გაეროს, ასევე ევროპის საბჭოს რეზოლუციებში გათვალისწინებულია საერთაშორისო სტანდარტების რეალიზაციაზე კონტროლი, რათა საერთაშორისო მასშტაბში შენარჩუნდეს მათი მაღალი მორალური და პოლიტიკური სტატუსი.

რეკომენდირებული საერთაშორისო სტანდარტების საერთო აღიარება არ ნიშნავს იმას, რომ მათ მიერ გათვალისწინებულ ყოველ წესს აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა. როგორც ნაჩვენები არის ზემოთ, თვით აქტებიც გამორიცხავენ ასეთ ინტერპრეტაციას. მაგრამ მსჯავრდადებულებთან მოპყრობის სპეციალური საერთაშორისო სტანდარტების ზოგიერთი დებულება ასახავს სხვა იურიდიულად სავალდებულო და რატიფიცირებულ საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების ნორმებს (მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის, 1966 წლის 16 დეკემბერი; სშო-ს 1930 წლის კონვენციის იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ; გაეროს კონვენციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის წინააღმდეგ 1984 წლის 10 დეკემბერი; ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ 1950 წლის ევროპის კონვენციის ნორმებს და სხვა). ამით შესაბამისი კონკრეტული დებულებების იურიდიული მნიშვნელობა იზრდება. ეს პირველყოვლისა ეხება პუმანიზმის, კანონიერების, მორალის, სამართლიანობის და ადამიანის ღირსების პატივისცემის საწყისებზე სისხლის სამართლებრივი სასჯელ-აღსრულებითი სისტემის ფუნქციონირების ძირითად პრინციპებს. ასე, ევროპული საპყრობილური წესების კომენტარებში ხაზგასმულია, რომ პრინციპების დანიშნულება "მდგომარეობს იმაში, რომ ყველა დანარჩენ წესებს, რომლებიც ყოველი საპყრობილის ადმინისტრაციისათვის

მისაღებია, როგორც ევროპული საპყრობილური წესები, ყოველგვარი შენიშვნების გარეშე, მიეცეთ დომინირებადი სტანდარტების ძალა". არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აღნიშნული პრინციპებიდან გადახრა ან მათი ინტერპრეტაციისას რაიმე კომპრომისი.

მსჯავრდადებულებთან მოპყრობის სპეციალური საერთაშორისო სტანდარტების იურიდიული რეალიზაციის მთავარ ხერხად მაინც რჩება საჭირო ორგანიზაციული და სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებებით გამაგრებული სასჯელის აღსრულებისა და მოხდის სამართლებრივი საფუძვლების რეფორმირება.

ბოლო წლებში ჩამოყალიბებული საკანონმდებლო და სამართალგა-მოყენებადი მოღვაწეობის პრაქტიკა შესაძლებლობას იძლევა გამოიყოს, სამამულო სისხლისსამართლებრივ სასჯელ-აღსრულებით კანონმდებლობაზე საერთაშორისო სტანდარტების გავლენის რამოდენიმე გზა.

- პირველყოვლისა, სისხლისსამართლებრივი სასჯელის აღსრულების სამართლებრივი საფუძვლების მაქსიმალური გახსნილობის უზრუნველყოფა.

ყოველი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ეხება ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს, თავისუფლებებსა და ვალდებულებებს, არ შეიძლება მიღებული იქნას თუ ის არ იყო გამოქვეყნებული საყოველთაო ინფორმირებისათვის.

- მეორე, სისხლისსამართლებრივი სასჯელ-აღსრულებითი კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის იურიდიული განსაზღვრა.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1969 წლისა და 1970 წლის შრომა-გასწორების კანონმდებლობებში არ იყო ნახსენები მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტები. ეს არ იყო გაკეთებული აღნიშნული კანონმდებლობის შემდგომ დამატებებში და ცვლილებებში. სისხლისსამართლებრივი სასჯელაღსრულებით კანონმდებლობასა და რატიფიცირებულ საერთაშორისო

ხელშეკრულებებს შორის წინააღმდეგობების შემთხვევაში, აღნიშნული სამამულო კანონმდებლობა მოყვანილი უნდა იქნეს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობაში. სისხლისსამართლებრივი სასჯელ-აღსრულებითი კანონმდებლობა არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო აქტებს მსჯავრდადებულების წამებისაგან და სხვა არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან დაცვის შესახებ. სხვა საერთაშორისო აქტების რეკომენდაციები, რომლებიც ეხება მსჯავრდადებულებთან მოპყრობას და სჯელის აღსრულებას, სისხლისსამართლებრივ სასჯელ-აღსრულებით კანონმდებლობაში ხორციელდება საჭირო ეკონომიკური და სოციალური პირობების არსებობის შემთხვევაში.

- მესამეც, საერთაშორისო სტანდარტების გავლენა სისხლისსამართლებრივი სასჯელ-აღსრულებითი კანონმდებლობის ამოცანებისა და პრინციპების განსაზღვრაზე.

მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო-სამართლებრივმა სტანდარტებმა უნდა მოახდინონ უეჭველი გავლენა ახალი სისხლის-სამართლებრივი სასჯელ-აღსრულებითი კანონმდებლობის პრინციპების განსაზღვრაზე. საქართველოს სასჯელ-აღსრულებითი კოდექსის შემუშავებისას საჭიროა ყურადღება მიექცეს საზოგადოებრივი ფასეულობების პრიორიტეტს, გარანტიის სისტემის უზრუნველყოფას, მსჯავრდადებულთა ადამიანური ღირსების დამცირების გამორიცხვას, აგრეთვე არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში სასჯელის მოხდისა და მსჯავრდადებულებთან მოპყრობის პირობებისა და წესის მაქსიმალურად მოყვანას. სასჯელის აღმასრულებელი ორგანოების ძირითადი ამოცანა უნდა გახდეს მსჯავრდადებულთა გამოსწორება მათი შემდგომი სოციალური რეაბილიტაციის გათვალისწინებით, რაც იქნება შესაბამისობაში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტთან. აქედან გამომდინარე მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტები გადაიქცნენ როგორც თვით

კოდიფიკაციის ამოცანების, ასევე სასჯელ-აღსრულებითი კოდექსის პრიორიტეტული მიზნების განსაზღვრის საწყის წერტილებად.

§2. მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტების რეალიზაციის პრობლემები საქართველოს სასჯელ-აღსრულებით სისტემაში.

ნათელია, რომ საჭიროა სასჯელ-აღსრულებითი კანონმდებლობის პროგრესიული შეცვლა, მაგრამ მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო-სამართლებრივი სტანდარტების რეალიზაციისათვის ჯერ არ არსებობს საკმარისი პირობები. საჭირო რესურსებით უზრუნველყოფის არარსებობას ან უკმარისობას, არაორგანიზებულ, უმიზნო მუშაობას შეუძლია გადააქციოს აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები უბრალო დეკლარაციად, მოახდინოს თვით საკანონმდებლო ნორმების დევალვირებაც.

ალბათ არასწორი იქნებოდა იმის თქმა, რომ საქართველოს სასჯელ-აღსრულებითი სიტემა არანაირი პარამეტრებით არ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. ამასთან, საეჭვოა რომელიმე ქვეყანამ განაცხადოს აღნიშნულ საერთაშორისო აქტებთან სრული ფაქტიური შესაბამისობა. არც ერთი საპყრობილური სისტემის შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ ის სრულად შეესაბამება მინიმალურ სტანდარტულ წესებში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს, ხოლო ზოგიერთი სისტემები აღნიშნულიდანაც შორს არიან.[1] თითქმის ყველა სახელმწიფოსათვის აქტუალურია წამების არიდების და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში

---

1. Making standarts work. An International handbook on good prison prackice. P.20-21.

ლატენტური ძალადობის, მსჯავრდადებულების ანაზღაურებადი სამუშაოთი უზრუნველყოფის, მსჯავრდადებულთა იურიდიული დაცვის უზრუნველყოფის, გათავისუფლების შემდეგ მათი სოციალურ-რეაბილიტაციური დახმარების საკითხები.[1]

როგორც დღეს არის მიჩნეული, ყველა სახელმწიფოში საერთაშორისო სტანდარტების რეალიზაციას აძნელებენ:

- ეკონომიკური სიდუხჭირე და აქედან გამომდინარე მატერიალურ-ფინანსური რესურსების შეზღუდვა;

- დამნაშავეობათა ზრდა, რაც იწვევს დამსჯელი ღონისძიებების გაძლიერებასა და მსჯავრდადებულთა რიცხვის ზრდას;

- ნარკომანიისა და სხვა დავალებათა ზრდა (შიდსი);

- ნაციონალური და ეთნიკური კონფლიქტების აღმოცენება და გამწვავება;

- მსჯავრდადებულთა და პენიტენციარულ დაწესებულებათა პერსონალს შორის ურთიერთობის გაუარესება, პროფესიონალური სასჯელ-აღსრულებითი მოღვაწეობის პრესტიჟის თანდათანობითი დაცემა.

ყველა ჩამოთვლილი ვითარება ახასიათებს საქართველოსაც. ამასთან ერთად არსებობენ საქართველოსათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორები, რომლებიც იძლევიან საფუძველს ვილაპარაკოთ, რომ საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების სრული რეალიზაცია მოითხოვს დიდ და დაუღალავ მუშაობას დასახული ამოცანის გადასაწყვეტად.

პირველყოვლისა ეს ეხება თავისუფლების აღკვეთის სახით სისხლისსამართლებრივი სასჯელის არსს, რომელიც

---

1. დაწვრილებით იხ: Алферов Ю.А. Международный пенитенциарный опит и его реализациа в современных условиях. Домодедово, 1993., PRI NEWS LETTER \\ Penal Reform International. 1996 № 24 და სხვა.

გამომდინარეობს მისი აღსრულების ისტორიულად ჩამოყალიბებული ორგანიზაციული ფორმებიდან. როგორც საქართველოში, ასევე მრავალ სხვა ქვეყანაში თავისუფლების აღკვეთის ხასიათი ფაქტიურად განისაზღვრება იმ დაწესებულებების სახით, სადაც ის აღსრულდება. ევროპის პენიტენციარულ სისტემაში ასეთი დაწესებულებებია - საპყრობილეები. აქედან გამომდინარეობენ როგორც მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, ასევე ევროპული საპყრობილური წესებიც. აღნიშნულის საფუძველზე მათ მიერ განისაზღვრება, მსჯავრდადებულთა კლასიფიკაციის, მათი განთავსების პირობები, მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო-სანიტარული უზრუნველყოფის, დაწესებულებათა მართვის პრინციპების, მსჯავრდადებულთა შრომის ორგანიზაციების მეთოდების, უშიშროების ზომებისა და ასე შემდეგ შესაძლებლობები და კრიტერიუმები.

თავისუფლების აღკვეთის საპყრობილური სახე დაღს დაადებს აღნიშნული სასჯელის აღსრულების თვით ფილოსოფიას. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესების 57-ე მუხლის შესაბამისად "თავისუფლების აღკვეთა, რომელიც უწევს სამართალდამრღვევს ოზოლირებას გარე სამყაროსაგან, აყენებს მას ტანჯვას, რადგანაც ჩამოერთმევა თვითგამორკვევის უფლება, თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდიანრე საპყრობილურმა სისტემამ არ უნდა გააღრმაოს ტანჯვა". ევროპულ საპყრობილურ წესებშიც ანალოგიური მიდგომაა განხილული (64-ე მუხლი): "საპყრობილეში თავისუფლების აღკვეთა უკვე არის პიროვნების დასჯა, ამიტომაც აღკვეთის პირობებმა და საპყრობილურმა რეჟიმმა არ უნდა გააუარესონ მსჯავრდადებულის ტანჯვა".

საქართველოს პენიტენციარულ პრაქტიკაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ თავისუფლების აღკვეთა - არის სასჯელი, რომელიც გამოიხატება მსჯავრდადებულის იზოლირებით სპეციალურ დაწესე-

ბულებებში. მაგრამ მათი სახე და სტრუქტურა შესამჩნევად განსხვავდებიან ევროპულისაგან. საქართველოს სისხლისსამართლებრივი სასჯელ-აღსრულებითი სიტემა, მთელი საბჭოთა პერიოდის მანძილზე, შეიძლება ითქვას ისტორიულად ჩამოყალიბდება, როგორც "კოლონიური". თავისუფლებააღკვეთილი მსჯარდადებულების რიცხვი, რომლებიც სასჯელს იხდიან საპყრობილეში, უმნიშვნელოა. აქედანაც კი ძირითადი მასა გადმოყვანილი იქნა საპყრობილეში, კოლონიაში რეჟიმის ბოროტად დარღვევის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე თანამედროვე საქართველოში არსებული თავისუფლების აღკვეთა ძირითადად განსხვავებული სასჯელია, ვიდრე ეს არის აღნიშნული მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესებისა და ევროპული საპყრობილური წესების აღსრულებით ფილოსოფიაში. როგორც აღნიშნული დოკუმენტებიდან ჩანს, თავისუფლების აღკვეთის აღსრულების რეჟიმის ფუნქციებად აღიარებულია მსჯავრდადებულთა იზოლირება და სეგრეგაცია (კლასიფიკაცია), დისციპლინისა და უშიშროების უზრუნველყოფა.[1] ხოლო სამამულო სისხლისსამართლებრივი სასჯელ-აღსრულებითი დოქტრინისა და პრაქტიკისათვის ტრადიციულად კამათგარეშე რჩება რეჟიმის დამსჯელი ფუნქცია.

სოციალურად იზოლირების ხარისხი კოლონიებში შედარებით დაბალია, ვიდრე საპყრობილეში. აღნიშნული სასჯელის ზოგადი და სპეციალური არიდების ეფექტის უზრუნველყოფისათვის ყოველთვის უნდა არსებობდეს განსხვავება "თავისუფლებასა" და "არათავისუფლებას" შორის. მას გამოხატავს "მსჯავრდადებულთა განთავსების სხვადასხვა პირობებად" წოდებული მატერიალურ - საყოფაცხოვრებო და

---

1. მაგალითად, ინგლისისა და ევროპის სხვა ქვეყნების საპყრობილეებში მსჯავრდადებულთა კლასიფიკაციის ძირითად კრიტერიუმად მათი დაყოფა A, B, C, Д კატეგორიებად რჩება უშიშროების თვალსაზრისით.

სოციალური შეზღუდვების დიფერენცირებული კომპლექსი.

"კოლონიურ" სისტემას გააჩნია არც თუ ისე მცირე დადებითი მხარე. ეს ეხება პირველყოვლისა შრომის ორგანიზაციას, სოციალურ-აღმზრდელობით ღონისძიებებს, მსჯავრდადებულთა მომზადებას თავისუფალი ცხოვრებისათვის. მაგრამ საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული სახელმწიფოს შენების პროცესში არ არის მოთხოვნა მსჯავრდადებულთა შრომის მასშტაბურობასა და ორგანიზაციულ ფორმებში. მსჯავრდადებულთა შრომაში ფართოდ ჩაბმის აუცილებლობის არ არსებობის შემთხვევაში, "კოლონიური" სისტემა გამოაშკარავებს თავის ნაკლს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია უშიშროების დაცვის პრობლემა, პერსონალისა და მსჯავრდადებულების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, უარყოფითი მიმართულების ლიდერების გავლენის ზრდა და სხვა.

საქართველოს სისხლისსამართლებრივ სასჯელ-აღსრულებით სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკული რეალიზაცია არ შეიძლება წარმატებით განხორციელდეს მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებისა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გათვალისწინების გარეშე. მაგრამ, აღნიშნულთან ერთად თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არსებული მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის წინააღმდეგ არსებულ კონვენციას.

საქართველოში მსჯავრდადებულთა რაოდენობა აბსოლიტური და შედარებითი გამოხატვით, გაცილებით მეტია ვიდრე ევროპის განვითარებულ ქვეყნებში.[1] ამასთან ერთად საქართველოს პენიტენციარული ბიუჯეტი გაცილებით მცირეა ამ ქვეყნებთან შედარებით. ინგლისში ერთი მსჯავრ-

1. Inprisonment in Western Europe. some Facts and Figures \\ Nargo Briefing. 1991. 25.

დადებული სახელმწიფოს უჯდება 60 ათასი ფუნტი სტერლინგი წელიწადში. ამერიკის შეერთებულ შტატებში მსჯავრდადებულის ყოველი ახალი ადგილის შექმნა ღირს 75 ათას დოლარზე მეტი (კაპიტალური ხარჯების გარეშე). ერთი მსჯავრდადებულის მიმდინარე შენახვა ღირს დაახლოებით 30 ათასი დოლარი წელიწადში.[1] ევროპის საბჭოს რეკომენდაციით საპყრობილეში ერთი მსჯავრდადებულის შენახვისათვის დანახარჯების მინიმალურმა დონემ უნდა შეადგინოს დღეში 8 დოლარი.[2]

დღესდღეობით საქართველოს სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებებში ერთი მსჯავრდადებულის შენახვა სახელმწიფოს უჯდება 180 ლარი წელიწადში. კანონით დადგენილი მინიმალური ნორმების გათვალისწინების შემთხვევაში ერთი მსჯავრდადებულის შენახვისათვის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში უნდა გამოიყოს 6 ათასი დოლარი წელიწადში. ხოლო საპყრობილეში ერთი ადგილის შექმნისათვის, რომელიც უპასუხებს საერთაშორისო საპყრობილურ სტანდარტებს, საჭირო იქნება 20 ათას დოლარზე მეტი.

ასე რომ, მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტების რეალიზაციას საქართველოს სისხლისსამართლებრივ სასჯელ-აღსრულებით სისტემაში აქვს სპეციფიკური სახე, რისი გათვალისწინების გარეშეც არ შეიძლება სწორი შეფასება მიეცეს არა მხოლოდ მას, არამედ იქ მოქმედ პროცესებსაც. საჭირო არის, ამასთანავე, მხედველობაში მიღებული იქნეს ისეთი გარემოებები, როგორიცაა საზოგადოებრივი აზრის მდგომარეობა, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, ტერიტორიების განსაკუთრებულობა და სხვა.

---

1. Бронштеин А. Обзор проблем, стоящих перед тюрьмами в США \\ Тюремная реформа в странах бывшего тоталитаризма. М., 1993. с. 41-42.
2. Россииская газета. 1996 . 31 октября.

საქართველოს კანონმდებლობაში მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტების რეალიზაცია ახლო მომავალში შეიძლება განხორციელდეს შემდეგი მიმართულებებით:

- მსჯავრდადებულთა შენახვისათვის საჭირო მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფა, როგორც მინიმუმი, შეთავსებული წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის დებულებებთან;

- მსჯავრდადებულთა მიმართ გამოყენებადი გადამეტებული შეზღუდვების მოხსნა, სასჯელის აღმასრულებელი ორგანოებისა და დაწესებულებების პერსონალის მოქმედებებში კანონების მკაცრი დაცვა;

- სისხლისსამართლებრივი სასჯელის აღმასრულებელი ორგანოებისა და დაწესებულებების პერსონალის მომზადების სრულყოფა;

- სასჯელისა და სხვა თავისუფლების აღკვეთის გარეშე სისხლისსამართლებრივი ზომების აღმასრულებელი ორგანოებისა და დაწესებულებების სისტემის სრულყოფა (ტოკიოს წესების სრული რეალიზაციის მხრივ), პრესტიჟისა და აღნიშნული დაწესებულებების თანამშრომლების პროფესიონალიზმის, სოციალურ-სამართლებრივი დაცვის ამაღლება, მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდისა და მსოფლიო გამოცდილების გამოყენების საფუძველზე თანამშრომელთა ოპტიმალური რიცხობრიობის დადგენა.

- მსჯავრდადებულთა უფლებების, თავისუფლების და კანონიერი ინტერესების იურიდიული გარანტიის განმტკიცება, როგორც სისხლის-სამართლებრივი სასჯელის და სხვა სისხლისსამართლებრივი ხასიათით ზომების აღსრულებისას, ასევე მათი მოხდის შემდეგ.

დ ა ს კ ვ ნ ა

დასასრულს მინდა ავღნიშნო, რომ ჩემს მოკლე მიმოხილვაში სპეციალურად არ მომყავს სასჯელის ისეთი მიზანი, როგორიცაა ხელახლა აღზრდა, რადგან, ჩემის აზრით და მრავალწლიანი დაკვირვებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, პიროვნების (რომელსაც, თუნდაც შეუსრულდა 14 წელი) ხელახლა აღზრდა შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია მისი ხელახლა დაბადება. დღესდღეობით საზოგადოება, ტექნიკური პროგრესი, საზოგადოებრივი აზრი ისეთი ტემპით ვითარდება, რომ პიროვნების ჩამოყალიბება (აღზრდა) თითქმის 10 წლის ასაკში უკვე დასრულებულია. აქედან გამომდინარე, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის აღზრდას მცირე ასაკიდან მითუმეტეს, პიროვნების აღზრდის ამოცანის დაყენება სასჯელის აღმასრულებელი ორგანოებისა და დაწესებულებების პერსონალის წინაშე არარეალური და აბსურდულია.

საქართველოში თანდათანობით მატულობს უსახლკარო, მაწანწალა ბავშვთა რიცხვი, იმატა მათში ტოქსიკომანთა, ნარკომანთა რაოდენობამ, რაც რამოდენიმე წელში მოგვცემს დანაშაულებათა მკვეთრ ზრდას. მოსახლეობის რთულ ეკონომიკურ პირობებში სახელმწიფომ უნდა შეიტანოს წვლილი ბავშვის, ახალგაზრდის აღზრდის საქმეში. ამ მხრივ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ცუდი პრაქტიკა არ იყო (ეს ეხება პიონერთა სასახლეებს, ბავშვების სხვადასხვა ტექნიკურ წრეებს და მრავალი სხვა).

საჭირო არის ისტორიული და მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებაც. მაგალითად: "ჰამურაბის კანონები შეიცავენ სასჯელის ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა, დანაშაულისათვის მშობლების, ახლო ნათესავების, მთელი ტერიტორიული თემის პასუხისმგებლობა". ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასმედიას.

უნდა აღინიშნოს, რომ ინგლის-საქსონის სასამართლო სისტემაში ძველთაგანვე არსებობდა დანაშაულის წინასწარი გაფრთხილების პრაქტიკა, რომელიც გამოიყენებოდა იმ პირების მიმართ, რომლებიც ცნობილი იყვნენ თავიანთი ცუდი ქცევით (ალკოჰოლიკები, მუქთახორები, მაწანწალები და სხვა), და იმათ მიმართ ვინც ვინმეს ემუქრებოდა "ანგარიშის" გასწორებით. ამ შემთხვევაში მოსამართლეს შეეძლო მოეთხოვა წერილობითი თავდებობა წესიერი, ნორმალური ქცევისათვის. აღნიშნული პირობების დარღვევა იწვევდა საპყრობილეში დამწყვდევას. საერთოდ დიდ ეფექტს იძლეოდა პირადად მოსამართლის მიერ გაფრთხილება ან რაიმეს აკრძალვა.

პარადოქსული სიტუაციაა, სახელმწიფოსა და სამართლის დაარსებიდან არსებობს დანაშაულის არიდების, დანაშაულებებთან ბრძოლის, სასჯელის აღსრულების პრობლემები, რომლებიც დღესაც შეიძლება ითქვას, ისევე აქტუალურია, როგორც ადრეულ ისტორიულ პერიოდში. ჩვენ წინა თავებში უკვე განვიხილეთ თუ რა სასტიკი სასჯელები არსებობდა, მაგრამ დანაშაულებათა რიცხვი მატულობდა. თანდათანობით გადავდივართ ჰუმანურ სასჯელებზე, მაგრამ დანაშაულებათა რიცხვი მაინც არ კლებულობს. ესე იგი საჭირო არის ახალი, არაორდინალური თეორიების შემუშავება. ამ მიმართულებით კვლევები უკვე მიმდინარეობენ.

ბედნიერი საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის სახელმწიფომ დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს სისხლის სამართლის ისეთ სპეციფიკურ და პრობლემატურ განხრას, როგორიცაა სასჯელის აღსრულება. ყველაფრის თვალახვეული გადმოღება განვითარებული ქვეყნებისაგან არ შეიძლება, მითუმეტეს აღნიშნულ დარგში, რადგანაც დღესდღეობით ვერც ერთი ქვეყანა მსოფლიოში ვერ განაცხადებს იმას, რომ მასთან სასჯელის აღსრულება, დანაშაულის არიდების პრაქტიკა, დანაშაულებასთან ბრძო-

ლა საჭირო დონეზეა. მთელ მსოფლიოში აღინიშნება დანაშაულებათა ზრდის ტენდენცია.

ქვეყანაში უნდა შემუშავდეს და გამოიყოს პრიორიტეტულ რანგში ახალი სისხლისსამართლებრივი სასჯელაღსრულებითი პოლიტიკა. დაუყონებლივ უნდა წარიმართოს მუშაობა ამ მხრივ, რადგანაც შეიძლება ჩვენც შევთავაზოთ მსოფლიოს ახალი კვლევის შედეგები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს შრომა-გასწორების კოდექსი. თბილისი 1971წ.
2. თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბილისი 1976წ.
3. ინწკირველი გ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. თბილისი, 1992 წ.
4. კეჩეკიანი ს.ფ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია.
5. შუშანაშვილი ა., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები, თბილისი, 1998 წ
6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (პროექტი). "საქართველოს რესპუბლიკა" 1997 წ. № 9
7. გაეროს ძირითადი დოკუმენტები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ბათუმი, 1995წ.
8. Ансель М., Новая социальная зашита. Москва, 1985г.
9. Алферов Ю. А. Международный пенитенциарный опыт и его реализация в современных условях. Домодедово,1993г.,PRI NEWS LETTER // penal Reform International. 1996 . № 24.
10. Богданов В. Я., "Об эффективности исправительных работ". Вестник Московского университета. 1973г. №3
11. Гальперин И. М., Наказание: социальные функции, практика применения, Москва, 1983 г.
12. Государство и право; Москва, 1994 г. № 6
13. Демонтьев С.И. Лишение свободы, уголовного-правовые и исправительно-трудовые аспекты. Ростов, 1981 г.
14. Дженис М., Кей Р., Бредли Э., "Европейское право в области прав человека". Практика и коментарии. Москва, 1997 г.
15. Исправительно-трудовое право. Москва, 1971г.

16.Иногамов Ш.Х., Наказание отбыто. Как жить дальше? юдическая литература, Москва, 1990 г.
17.Карпец И.И. Наказание: социальные,правовые и кримина-логические проблемы. Москва, 1973 г.
18. Кристи Н., Пределы наказания, Москва, 1985 г.
19. Костырев В.И., Понятие и цели наказания. Уфа 1995г.
20. Кудрявцев В.Н., Право и поведение. Москва, 1978 г.
21.Материалы Восьмого Конгресса ООН по предупреждению преступности и обращению с правонарушителями. Гавана, 1990г.
22. Марцев А.И., Задачи исправительно-трудовых учреждений. Иркутск, 1970г.
23. Мицкевич С.М., Принцип соответствия наказания общественной опасности преступления в советском уголовном праве. Автореферат дис. канд. юр.наук. Томск, 1985г.
24. Намашев А.Е. , Стручков Н.А., Об эффективности уголовного-правовых мер борьбы с преступностью. Москва,1968г.
25. Никифоров Б.С., "Наказание и его цели". Советское государство и право. 1981г. № 9.
26. Пашуканис Е.Б., Избранные произведения по общей теорий права и гасударства. Москва, 1980г.
27.Познышев С.В., Основные вопросы учения о наказании. Москва 1904 г.
28. Полубинская С.В., Цели уголовного наказания. Москва, 1990 г.
29.Права человека., Сборник муждународных доку-ментов, Организация объединенных нации. Нью-Йорк и Женева,1994г.

30. Стручков Н.А., Бажанов О.И., Ускова И.Б., Обсуждение пенитенциарных проблем на международном уровне. Рязань. 1977г.
31. Сорокин П.А., Человек, Цивилизация, общество. Москва,1992г.
32. Современные тенденции развития уголовного законодательство и уголовно-правовой политики., Государство и право. 1994 г. № 6.
33. Стручков Н.А., Исполнение показания в виде лишения свободы. Москва 1990 г.
34. Сундуров Ф.Р., Эффективность воспитательного процесса в исправительно-трудовых учреждениях. Казань. 1992г.
35. Титов Н.И., Соотношение воспитательной цели наказания и частичного предупреждения. //Проблемы борбы с преступностью. Иркутск. 1970г.
36. Таганцев Н.С., Лекции по русскому угаловному праву, часть обшая, СПБ.1887г.
37. Уголовно-исполнительное право Росии. Москва 1997г.
38. Уголовное право. Обшая часть. Москва, 1993г.
39. Утопический социализм., Москва, Политиздат. 1992г.
40. Устинов В.С., Система предупредительного воздеиствия на преступность и уголовно-правовая профилактика. Москва, 1983г.
41. Фокс В., Введение в криминологию. Москва 1980г.
42. Шмаров И.В. Разработка уголовно-исполнительного законо-дательства в свете международных соглашений о зашите прав человека и документов ООН, определяюших принципы обращения с осужденными. Советское государство и право. 1990 №11.

43. Шаргородский Н.Д., Наказание по советскому уголовному праву. Москва, 1958г. //Наказание, его цели и эффективность. Ленинград. 1973г.
44. Шнаидер Г.И.,Э Криминология. Москва 1994 г.
45. Черниловский З.М., Всеобшая история государства и права. Москва 1996 г.
46. Хачикиян А.М., Исполнение наказания в отношении лиц, впервые осужденных к лишению свободы, Автореферат дис.канд.юр.наук.Москва, 1994г.
47. "Юридический вестник". 1994 г. № 9.
48. Яковлев А.М., Социальнная эффективность уголо-вного закона, Советское государство и право. 1967г. "№10.
49. Briefing Penal Reform International.1993. № 2.
50. Making standarts work.An International handbook on good prison practice. 1994.
51. United Nations Standarts Minimum Rulexs for Noncustodial Measures (The Tokyo Rules) //Compendium of United Nations Standarts and Norms in Crime Pevention and Criminal Justice № .4., 1992.
52. Imprisonment in Western Europe: sone Facts and Figures. Nagro Briefing. 1991. № 25.

ავტორს ბევრ საკითხში რჩევა დარიგება გაუწია მამამ ასლან ფარტენაძემ.

რედაქტორი ვაჟა ხახუტაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი კახა ხინთიბიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ნანული ფარტენაძე

გადაეცა წარმოებას 10.08.98. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.09.98. ქაღალდის ზომა 60X84 1/16.

ტირაჟი 250

დაიბეჭდა შპს "გამა"-ს სტამბაში. მელიქიშვილის ქ. №2